619
1953/2

# დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 5 მაისი 1953





# ლენინის ქალაქი

ალექო შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგას საუკუნეთა
უჭკნობი დიდება,
აკვანი სიცოცხლის
და რევოლუციის,
დგას როგორც კედელი,
როგორც გაფრთხილება,
მშვიდობას უმღერს და
გაზაფხულს უცინის!
იზრდება, იზრდება,
ნარბევი, ნალახი
აღსდგა და განახლდა,
რაც ომში დაინგრა.
კვლავ გამარჯვებული
ლენინის ქალაქი,
შორიდან ხელს ართმევს
ძმადნაფიც სტალინგრადს.
დგას როგორც კედელი,
როგორც გაფრთხილება,
დე, ძრწოდეს ვერაგი,
პირშავი, გულცივი,
დგას ხალხთა იმედად
და უფრო ბრწყინდება
აკვანი მშვიდობის
და რევოლუციის.
ჩრდილოეთს ანათებს
დაღვრილი მზის სხივად
უქრობი ციალი
ბნელის დამლახავი;
ლენინის ქალაქის
ნათელში იხილა
მსოფლიომ პირველად
ქვეყანა ახალი.
ლენინის ქალაქი,
მზეში დაფერილი,
ჩვენი გაზაფხულის
თვალების გახელა:
რადგან მას სახელი
ეწოდა ლენინის,
ძმებო, გაზაფხულიც
დავარქვათ სახელად.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 5 (22) მაისი 1953 წ. გამომცემლობა „კომუნისტი“

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია ქ. თბილისში 1953 წლის 1 მაისს. ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები:
ს. ს. მამულოვი, გ. დ. ჯავახიშვილი, დ. ზ. რომელაშვილი, ი. დ. კოჭლამაზაშვილი, ი. ს. ზოდელავა, ვ. გ. დეკანოზოვი, ვ. მ. ჩხიკვაძე, ვ. გ. ცხოვრებაშვილი, ვ. მ. ბაქრაძე, ა. ი. ანტონოვი, ა. ი. მირცხულავა, გ. თ. სტურუა, მ. ი. ბარამია, ნ. ი. სტურუა.

539





თბილისი. საპირველმაისო დემონსტრაციაზე ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა





# ქართველი ქალის სახელოვანი გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარ უბილავა

ბერლინის იერიში!

ასეთი სახელწოდება აქვს წიგნს, რომელიც საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში სისხლით დაწერა.

ამ წიგნის ფორზაცი გრაფიკოსების მიერ როდია მოხატული. მის ფორზაცზე აღბეჭდილია გამარჯვების დღეს საბჭოთა ადამიანების მიერ რაიხსტაგის კედელზე მინაწერები.

— ჩვენ გავიმარჯვეთ, დიდება მშობლიურ სტალინს!

— მოვედით ბერლინში!

— რაიხსტაგის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, ვაშა წითელ არმიას! — ასეთი პატრიოტული მინაწერებით ააფერადეს გამარჯვებულმა საბჭოთა ადამიანებმა გერმანელ ფაშისტთა ბუნაგი.

ამ წარწერებს რაიხსტაგის დამწვარი კედლების ნახშირით აკეთებდნენ ფრონტელები — რუსები თუ უკრაინელები, ბელორუსები თუ ტაჯიკები, სომხები თუ აზერბაიჯანელები — ყველა ის ადამიანები, ვინც კი შეაღწევდა სანახევროდ დანგრეულ და დამწვარ-დაფერფლილ რაიხსტაგში — იქნებოდა ის ჯარისკაცი თუ ოფიცერი, კაცი თუ ქალი...

რაიხსტაგის კედლის წარწერებს შორის ვხვდებით ქართველი ქალის გალინა ჯაშის სახელს. ისტორია შემოინახავს ახალგაზრდა ექიმის, მედიცინის კაპიტანის პატარა, მაგრამ ბევრის მეტყველ წარწერას: „ვიყავი ბერლინში 9. V. 45. წ. გალია ჯაში—თბილისიდან“...

როცა გალინა ჯაში მტრის ბუნაგში ასეთ წარწერას აკეთებდა, უთუოდ გამოხატავდა ყველა მათ სურვილებს, ვინც გამარჯვების დღეს ბერლინში ვერ მოხვდა, ან ვინც ბერლინის ბრძოლებისათვის მამაცურად დაეცა. ამ წარწერის გაკეთების დროს გალინა ფიქრობდა მეგობრებზე, მახლობლებზე, განსაკუთრებით კი ფრონტელ ძმაზე ნიკოლოზზე, რომლის შესახებაც დიდი ხანია არაფერი იცოდა. გალინა ვარაუდობდა—ვინიცობაა ძმა ბერლინში გამოივლიდა, ამ წარწერით დის კვალს მიაგნებდა და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილები ბერლინში ერთად იზეიმებდნენ მტერზე გამარჯვებას,..

მას შემდეგ რვა წელმა განვლო... გალინა კვლავ მშობლიურ თბილისშია. მისი სამოქმედო ასპარეზია ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სადაც იგი ექიმ-ტრავმატოლოგად მუშაობს.

გალინა, როგორც ფრონტზე, აქაც ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას ემსახურება. მას უსაზღვროდ უყვარს ადამიანი, იღწვის მისი ჯანმრთელობისათვის, მისი გამარჯვებისა და ბედნიერებისათვის, თავისი პატარა ლანცეტით გალინამ ბევრ ადამიანს აჩუქა სიცოცხლე,ბევრჯერ სძლია ულმობელი სიკვდილი. მშრომელებმაც გულწრფელად შეიყვარეს ეს კეთილშობილი ადამიანი, სიცოცხლის მოტრფიალე ბეჯითი ქალიშვილი.

— იცოცხლოს და იდღეგრძელოს ყველა კეთილი ნების ადამიანმა — აი რა სურვილს დაუქვემდებარა გალინა ჯაშმა მთელი თავისი ცხოვრება. ეს სურვილი ამოძრავებდა მას სამედიცინო ინსტიტუტში შესვლის დროს, ამავე სურვილით გაემგზავრა ახალგაზრდა დოსტაქარი ფრონტზე, როდესაც საბჭოთა ადამიანების სიცოცხლეს ვერაგი მტერი დაემუქრა....

ფრონტზე წასვლის დროს გალინა უშანგის ასული ჯაში 22 წლისა იყო, მშობლები სწუხდნენ ერთადერთ ქალიშვილზე, მის ბედზე. რას იფიქრებდნენ მოხუცები — ეს ჯერ კიდევ ცხოვრებაში გამოუცდელი გოგონა ეგზომ შეუპოვარი იქნებოდა მტერთან ბრძოლაში, დაუღალავი სამხედრო სამსახურში; რომ იგი იქნებოდა სიძნელეთა ამტანი და დაჭრილ ჯარისკაცთა უებრო მკურნალი.

რას იფიქრებდნენ მოხუცი მშობლები, რომ მათი პატარა გალინა დაიმსახურებდა ბელადის მადლობას, მთავრობის ორდენებს და ოთხი წლის შემდეგ ბრძოლით შეაღწევდა ალმოდებულ ბერლინში.

ქერჩიდან ბერლინამდე! — ასეთია ის დიდი გზა, რომელიც გალინა ჯაშმა ბრძოლით განვლო. გალინას საბრძოლო ცხოვრებას საუკეთესოდ გადმოგვცემს მისი დაულაგებელი, მაგრამ გულწრფელი დღიურები, დაწერილი წვიმასა და თოვლში, ქარსა და ყინვაში, ბლინდაჟსა და საველე ჰოსპიტალში.

ამ დღიურების გაცრეცილ ფურცლებზე ვხვდებით მრავალი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვარს, რომლებსაც შეეხო ახალგაზრდა დოსტაქრის ხელი, რომელთა სიცოცხლესაც დღე და ღამ თავს დასტრიალებდა გალინა ჯაში.

როდესაც გალინა ჯაშის დღიურებს ფურცლავთ, თითქოს ხედავთ თავდადებულ ექიმებს. გალინას ფრონტელ მეგობრებს — ციმბირელ ვალენტინა კუზნეცოვას, ვორონეჟელ ევგენია ვილიანოვას, კრასნოდარელ სვეტლანა შახგელდიანცს, ხარკოველ რაისა ვისოცკაიას, ექიმის თანაშემწეს თბილისელ ალექსანდრა ბერიაშვილს. მათ გალინასთან ერთად განვლეს სამამულო ომის გზები და 9 მაისს ერთად შევიდნენ ბერლინში, რომლის თავზე ფრიალებდა გამარჯვების დროშა.

— არასოდეს არ დამავიწყდება ის წუთები, — ამბობს გალინა ჯაში, · როდესაც პირველად ვნახე ჩვენი ჯარების მიერ ძლეული ბერლინი! ჩემს ხსოვნაში ვერც დრო და ვერც სივრცე ვერ წაშლის იმ ბედნიერი წუთების სიდიადეს...

გალინას ამ განწყობილებას ჩინებულად გადმოგვცემს მისივე დღიურები, დაწერილი 1945 წელს ბერლინში.

«9 მაისი. 10 საათსა და 00 წუთზე მოვედი ბერლინში. ვეწვიე რაიხსტაგს. გერმანიამ კაპიტულაცია მოახდინა. ეს ყველაზე ღირსშესანიშნავი დღეა ჩემს ცხოვრებაში. გამარჯვება ჩვენია!.. მე ვარ ბერლინში დანგრეულ რაიხსტაგში, რომლის თავზეც ფრიალებს წითელი დროშა.

რა დიდი ბედნიერებაა, რა დიდი სიხარული!..

10 მაისი. სასიხარულო შეხვედრები... ყველა მხიარულობს. ახლა განსაკუთრებით ნათლად იგრძნობა გაზაფხულის მოსვლა. ყველაფერი გაიფურჩქნა, თითქოს ბუნებაც გრძნობს გამარჯვების ზეიმს!..

11 მაისი. მე და ვალია კუზნეცოვა დილით ვიღვიძებთ. ყურს ვუგდებთ ფრინველთა გალობას. როგორ მშვენივრად, როგორ მომხიბვლელად მღერიან ისინი. სასიამოვნოა დილით გამოღვიძებისას გრძნობდე გამარჯვების მოსვლას, გრძნობდე რომ ომი უკვე აღარ არის....

ეს ჩემი მეოთხე გაზაფხულია ფრონტზე. მაგრამ არასოდეს ასე ძლიერად და მომხიბვლელად არ მიგრძვნია იგი, როგორც წელს. ამ გაზაფხულმა მოგვიტანა მშვიდობა, სიცოცხლის სიხარული»..

სიცოცხლის სიხარულისათვის, სიცოცხლის ზეიმისათვის იბრძოდა წლების მანძილზე გალინა ჯაში და რა ბედნიერია ახლა იგი, როდესაც სამეცნიერო დისერტაციას ამზადებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

დიდია გალინა ჯაშის განვლილი გზა, უფრო დიდია მისი მომავალი.



ფოტოზე: ექიმი ტრავმატოლოგი გალინა ჯაში.

ფოტო ი. მღებრიშვილისა

# ყოფილი კოლმეურნე



# მარტენის ღუმელთან

ელ. ყიფიანი

1950 წლის 27 აპრილი. არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა რუსთავში, საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა ქალაქში. თბილის-რუსთავის საავტომობილო შარა-გზაზე უწყვეტ ნაკადად მიჰქრიან მსუბუქი მანქანები და ავტობუსები. რუსთავის ვაგზალზე ყოველ ორ საათში შემოდის ხალხით გადატვირთული მატარებელი. განსაკუთრებული საზეიმო განწყობილება დაუფლებია ყველას, თითქოს რაღაც სასწაულის სანახავად მიისწრაფვიან, რომელიც აუცილებლად შენი თვალით უნდა ნახო, მტკიცედ დაიმახსოვრო და მომავალში უამბო შენს შვილიშვილებს. ყველას სახე უღიმის, ყველა ჩქარობს, ყველა იმ შენობისაკენ მიისწრაფვის, რომლის თავზე აღმართულ მილიდან დღეს პირველად გამოჩნდა კვამლი.

ეს არის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო. აქ მოსულან რუსთავისა და თბილისის მშრომელები; ქართველი კოლმეურნეები ხილით დატვირთული მანქანებით ესტუმრენ რუსთავს, ან კი სხვანაირად როგორ უნდა შეხვედროდნენ აჰ სახალხო ზეიმს — ქართული ფოლადის დაბადების დღეს.

უეცრად წყდება ყრიამული და ხმაური. ყველას ყურადღება № 1 ღუმელისკენაა მიმართული. დამთავრდა ფოლადის დნობის უკანასკნელი პროცესი — რაფინირება. ახალგაზრდა, თითქმის ბავშვური გამომეტყველების ბრიგადირი უკანასკნელ დავალებებს აძლევს თავის თანაშემწეებს. ბრიგადირის მოძრაობაში გაუბედაობა იგრძნობა. ეტყობა იგი არ არის შეჩვეული ხელმძღვანელობას, თითქოს რცხვენია, რომ ყველას ყურადღება მისკენაა მიპყრობილი. აი, ბრიგადირის პირველი თანაშემწე ალებს ფოლადის გამოსაშვებ ხვრელს და... ღარზე მოედინება ელვარე, სიკაშკაშემდე გათეთრებული ფოლადი. დამსწრეთა ათასობით წყვილ თვალში ირეკლება გამდნარი ფოლადის თეთრი წერტილები, როგორც გამოუთქმელი სიხარული, როგორც უდიდესი ბედნიერება. „ვაშას“ ძახილი და ძლიერი ტაში რუსთავის განაპირა ქუჩებამდე აღწევს, და ამ ხმაურზე სახლებში მარტოდ დარჩენილი პატარა ბავშვებიც უკრავენ ტაშს, იზიარებენ მშობლების სიხარულს.

ღარიდან იღვრება ქართული ფოლადის პირველი ტონები. ღუმელის ბრიგადირი დოინჯშემოყრილი დგას, სათვალე ახლა გაოფლილ შუბლზე აუწევია და იღიმება, იღიმება ისე ხანგრძლივად, თითქოს ეს ღიმილი მისი სახის ჩვეულებრივი გამომეტყველებაა.

ეს არის ახალგაზრდა ფოლადისმდნობელი შალვა კუხალეიშვილი — ქართული ფოლადის პირველი გამომდნობელი. მასთან ხან რიგრიგობით მიდიან, ხან კი ერთბაშად შემოეხვევიან მუშები და ართმევენ ხელს, დაუსრულებლივ ართმევენ ხელს და ულოცავენ საერთო ზეიმს, საერთო გამარჯვებას... და შალვას ახსენდება ტაგანროგის მეტალურგიულ ქარხანაში გატარებული წლები, როგორ ჩავიდა იქ სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად ფოლადის საქმის შესასწავლად. რა ძნელი იყო ლეჩხუმის სოფლის მკვიდრისათვის ტექნიკისა და მეცნიერების პირველი საფეხურების დაძლევა. როგორ ჩაიკეტებოდა ხოლმე ოთახში და მთელი საათები ვარჯიშობდა რუსული ენის გრამატიკაში... მერე პირველი მიღწევები, პირველი შექება მასწავლებლებისაგან და ბოლოს გამოცდა. არასოდეს არ დაავიწყდება ის დღე შალვას. მისი საყვარელი მასწავლებლები — ფოლადის საქმის ოსტატები — ევგენი ზაიცევი და ვასილ დიაჩენკო რამდენიმე საათის განმავლობაში თვალყურს ადევნებდენ შალვას მოძრაობას, თვითეულ ნაბიჯს, რაღაცას ინიშნავდნენ ბლოკნოტებში და ხანგამოშვებით ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ბოლოს კი, როდესაც ფოლადის გამოდნობა დამთავრდა, მივიდნენ და ხელი ჩამოართვეს ღირსეულ მოწაფეს — შალვა კუხალეიშვილს მიულოცეს გამოცდის ბრწყინვალედ ჩაბარება.

სწორედ ის მილოცვა, ის ხელისჩამორთმევა ახსენდება ამ წუთში შალვას და სწორედ ამიტომ იღიმება, თითქოს შორიდან მადლობას უთვლის ძვირფას მასწავლებლებს. მისთვის რომ ტაგანროგში ევგენი ზაიცევსა და ვასილ დიაჩენკოს არ ჩამოერთმიათ ხელი და არ მიელოცათ ფოლადისმდნობელის სახელის მიღება, მაშინ ხომ ვერც რუსთავის მშრომელები ჩამოართმევდნენ დღეს ხელს...

შალვა კუხალეიშვილი მოწინავე მოწაფედ ითვლებოდა სოფლის სკოლაში. კარგი ნიშნებით გადადიოდა კლასიდან კლასში. არდადეგების დღეებში კი ენერგიული და სიცოცხლით სავსე ჭაბუკი კოლმეურნეობის ბრიგადას შეუერთდებოდა და მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე 60-70 შრომადღის გამომუშავებას ასწრებდა. ისეთი მუშაობა იცოდა, რომ სამი კაცი ვერ ჯობნიდა ძნის შეკვრაში. შალვას უყვარდა თავის სოფელი, უყვარდა მთის კალთებზე შეფენილი ყანები და ვენახები. უყვარდა კოლმეურნეობა.

მაგრამ ერთ დღეს მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი ამბავი: მეზობელ სოფელში ყოფნისას შალვამ ყურადღება მიაქცია უზარმაზარ მთაზე ალმა-დალმა დამავალ მანქანას, რომელსაც ჩამოჰქონდა მთის კალთებზე მონგრეული ქვები. ეს იყო ბარიტის საბადოების კარიერები. შალვა ისე მოიხიბლა ამ „მთაზე მოსიარულე“ მანქანებით, მტვრით შეგანგლული მუშების საქმიანობით, ისეთი მიმზიდველი მოეჩვენა ეს, რომ გადასწყვიტა რადაც არ უნდა დაჯდომოდა, სამუშაოდ მოწყობილიყო იქ. მართლაც, ათწლედის დამთავრების შემდეგ, შალვამ სამ თვეს იმუშავა ბარიტის საბადოებზე. მაგრამ როდესაც სოფელში მოვიდა ცნობა რუსთაველზე ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყების შესახებ, გახარებული შალვა სოფლის 34 ახალგაზრდასთან ერთად ტაგანროგში გაემგზავრა ფოლადის საქმის შესასწავლად.

შალვა კუხალეიშვილი დღესაც იმ ღუმელის ბრიგადირად მუშაობს, რომელმაც პირველი ქართული ფოლადი გ ა მ ო ა დ ნ ო. მას შემდეგ რუსთავში მრავალი ცვლილება მოხდა. მარტენის საამქროს გარდა, გაშენდა ბლუმინგისა და მილსაგლინავი საამქროს კორპუსები. მეტალურგიული ქარხანა ახლა უკვე მზა პროდუქციას უშვებს, რუსთავში მუშაობის დაწყების პირველ დღეებიდანვე შალვა კუხალეიშვილმა დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეემცირებინა ფოლადის დნობის დრო. ეს განზრახვა მან თავის ბრიგადის წევრებსაც გაანდო. მთელი თვეების განმავლობაში შალვა გულმოდგინედ აკვირდებოდა ფოლადის გამოდნობის თვითეულ პროცესს, თვითეულ დეტალს. სწორედ ამ დეტალებში ეძებდა იგი ძვირფასი წუთების მოგების საშუალებას. შალვა მიხვდა, რომ ფოლადის სწრაფი გამოდნობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსამზადებელ სამუშაოებს: ღუმელის თაღის, ქვედის, ფოლადის გამოსაშვები ხვრელისა და ღარის ტექნიკურ მზადყოფნას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩასატვირთი ჯართის დროზე მომარაგებას. ღუმელში ტემპერატურის რეჟიმის ზუსტად დაცვას. საწვავისა და ჰაერის მიწოდების სწორ რეგულირებას, ფოლადში მყოფი ნახშირბადის სწრაფ წვას და სხვ.

ამ ტექნოლოგიური პირობების მიგნებისა და გაუმჯობესების შემდეგ შალვამ აუცილებელ მიზნად დასახა ბრიგადის წევრების რიტმიული, შეწყობილი მუშაობის უზრუნველყოფა. და მოხდა სასწაული... 12 საათის ნაცვლად ფოლადის დნობა დამთავრდა 8 საათსა და 45 წუთში, შემდეგ 7 საათსა და 30 წუთში, და ასე თანდათან უკან ჩამოიტოვა დრო შალვა კუხალეიშვილმა. 1950 წლის აპრილიდან 1953 წლის აპრილამდე კუხალეიშვილის ბრიგადამ 400 ჩქაროსნული ნადნობი მიიღო და გეგმის გადაჭარბებით მრავალი ასეული ტონა ფოლადი მისცა სამშობლოს.

ქარხნის უზარმაზარ ტერიტორიაზე, საამქროებში და საამქროების დამაკავშირებელ გზებზე, გამოკრულია სხვადასხვა ხასიათის პლაკატები. ზოგი მათგანი ტექნიკური უსაფრთხოების დაცვისაკენ მოუწოდებს მუშებს, ზოგი — სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებისაკენ. ამ ბოლო დროს კი აღიმართა კიდევ ერთი პლაკატი შემდეგი წარწერით: „იმუშავეთ შალვა კუხალეიშვილის მეთოდით“.

მოწინავე ქართველი მეფოლადის სახელი მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი. ამას წინათ ქარხნის შრომის ორგანიზაციის განყოფილებამ დასაბეჭდად გაამზადა წიგნი, რომელშიც აღწერილია შალვა კუხალეიშვილის ჩქაროსნული მუშაობის მეთოდი. საბჭოთა კავშირის მეფოლადეები მალე მიიღებენ ამ წიგნს, გაიცნობენ ქართველი მეტალურგის გამოცდილებას და კიდევ უფრო გააუმჯობესებენ თავიანთ შრომითი მიღწევებს. ასეა ჩვენს სამშობლოში. საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში, არც ერთი ტექნიკური გაუმჯობესება არ რჩება საიდუმლოებად. ერთის გამარჯვება მთელი ქვეყნის გამარჯვებაა.

შალვა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, მაგრამ როდესაც ცოლი შეირთო, ნათელი და მზიანი ბინა მიიღო ახალ სახლში.

შალვას უყვარს წიგნები. მის პატარა ბიბლიოთეკაში აწყვია მ. გორკის „ბავშვობა“, „ხალხში“, „ჩემი უნივერსიტეტები“, ვ. აჟაევის „მოსკოვიდან დაშორებით“, ლ. ქიაჩელის თხზულებანი, გრ. აბაშიძის „ლექსები და პოემები“, ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, ა. უპიტის „მწვანე მიწა“, ალ. დიუმას „სამი მუშკეტერი“, თ. დრაიზერის „ამერიკული ტრაგედია“ და სხვ. ცალკე აწყვია დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის უკვდავი ნაწარმოებები, ამ წიგნებს შორის მაგიდაზე თვალს მოჰკრავთ კიდევ ერთ პატარა წიგნაკს, ეს არის მეტალურგიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტის შალვა კუხალეიშვილის ჩათვლის წიგნაკი. შალვამ გადასწყვიტა, რომ უმაღლესი ტექნიკური განათლებაც მიიღოს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ იგი ყოველ საღამოს ესწრება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორთა ლექციებს.

შალვას ბავშვობიდანვე აინტერესებდა ისტორია. საქართველოს ძველთაძველი ქალაქი რუსთავი ამ მხრივაც აკმაყოფილებს მას. მოწინავე მეფოლადეს კვირა დღეობით ხშირად ნახავთ რუსთავის ციხის ნანგრევებთან. გასულ წლებში აქ არქეოლოგები მუშაობდნენ და ბევრი ძველი, ისტორიკოსებისათვის საინტერესო ნივთი იპოვნეს, ბოლოს მიწაში ჩამარხული, მონღოლების შემოსევისაგან განადგურებული და გადამწვარი ქალაქიც აღმოაჩინეს.

როდესაც საკუთარი ბინის კეთილმოწყობა დაამთავრა, თავისი დანაზოგი ფულით (შალვას ხელფასი თვეში 2000 მანეთამდე აღწევს) შალვამ ნიკელის საწოლები, სკამები და ოჯახისათვის საჭირო სხვა ნივთები იყიდა და ლეჩხუმში ჩაუტანა თავის მოხუც დედას. „სამაგიეროდ“ კი სოფლიდან თავისი უმცროსი ძმა — გიორგი წამოიყვანა. ახლა გიორგიც მარტენის საამქროს მუშაა და უფროსი ძმის ხელმძღვანელობით გულმოდგინედ სწავლობს მეფოლადის ხელობის რთულ საქმეს.

საქართველოს მოწინავე მეფოლადის შალვა კუხალეიშვილის შრომა და ღვაწლი ღირსეულად დააფასეს მეტალურგებმა და 1953 წლის 22 თებერვალს იგი არჩეული იქნა რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

შალვა ყოველდღიურად ზრუნავს თავისი შრომითი მიღწევების კიდევ უფრო ასამაღლებლად. მას არასოდეს არ ავიწყდება საყვარელი მასწავლებლის ევგენი ზაიცევის სიტყვები: „არასოდეს არ დაკმაყოფილდე მიღწეულით“. და იგი ასრულებს ამ დარიგებას. შალვამ იცის, რომ ყოველი ტონა ფოლადი მშვიდობის ფოლადია, ყოველი ტონა ფოლადი ერთი ნაბიჯია კომუნიზმისაკენ, და რომ თვითონაც — კომუნიზმის მშენებელი ერთი მრავალთაგანი მუშაა.

ფოტოზე: ქართული ფოლადის პირველი გამომდნობლები — კუხალეიშვილი (მარჯვნივ) და კვახაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა



# ალიო მირცხულავა (მაშაშვილი)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 27 აპრილის ბრძანებულებით მხატვრულ ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლის თავთან დაკავშირებით მწერალი ალიო ანდრიას-ძე მირცხულავა (მაშაშვილი) დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ა/წ 25 მაისს ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში საზეიმო ვითარებაში ჩატარდა ალიო მირცხულავას საიუბილეო საღამო.

ალიო მირცხულავა არის ქართული პოეტური სიტყვის შესანიშნავი ოსტატი. იგი სამართლიანად ითვლება ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

მგზნებარე პატრიოტიზმით გამსჭვალულმა მისმა ნათელმა, მუსიკალურმა ლექსებმა მკითხველთა ფართო წრეების სიყვარული დაიმსახურა.

ალ. მირცხულავას მებრძოლი პოეტური ლირიკა უაღრესად პოპულარულია. მისი საუკეთესო შედევრები: „ჰიმნი სამშობლოს", „სამშობლო ბელადისა", „დაბადება", „ლენინი" და ბევრი სხვა დიდი ხანია ჩვენი ახალგაზრდების საზეპირო და სასიმღერო ლექსებად იქცნენ.

ასეთივე პოპულარობით სარგებლობენ მისი პოემები „ენგური" და „რუსთავი".

ალ. მირცხულავას მთელი პოეტური ცხოვრება განუყრელადაა დაკავშირებული საბჭოთა საქართველოს ზრდასა და განვითარებასთან.

პოეტის შემოქმედების განსაკუთრებული აღმავლობა ემთხვევა ჩვენი ხალხის ცხოვრების იმ პერიოდს, როცა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას სათავეში ედგა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლავრენტი ბერია.

ალიო მირცხულავას ლექსები სამშობლოსათვის თავდადებისა და გმირობისათვის აღაფრთოვანებდა სამამულო ომის ფრონტებზე მებრძოლ საბჭოთა მეომრებს.

ომისშემდგომ წლებში იგი გატაცებით უმღერის საბჭოთა ქვეყნის განუხრელ წინსვლას კომუნიზმისაკენ, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებითი შრომას, მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანების ბრძოლას მშვიდობის დასაცავად.

# გრ. ნახუცრიშვილი
## ქართველი გამომგონებელი

ნიჭიერი ქართველი გამომგონებლის — გრიგოლ ნახუცრიშვილის შემოქმედებითი ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული გენიალური რუსი გამომგონებლის ა. ს. პოპოვის და სწავლულების — რიბკინისა და სადოვსკის მუშაობასთან.

გრიგოლ (იგივე ნიკოლოზ) ბექანისძე ნახუცრიშვილი დაიბადა 1876 წლის 6 იანვარს გორის სოფელ დირბში (ახლანდელი ქარელის რაიონი). 1900 წელს მან დაამთავრა გორის სასულიერო სემინარია, ხოლო შემდეგ, დიდი გაჭირვებით შეაგროვა ფული და იურიევს გაემგზავრა. იქ იგი პირველად იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა, 1901 წლის მაისში კი ჩააბარა გამოცდები და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მეორე კურსზე გადავიდა. გ. ნახუცრიშვილმა შესანიშნავი ნიჭი გამოიჩინა საბუნებისმეტყველო საგნებში, — განსაკუთრებით ფიზიკასა და ქიმიაში. მას საშუალება მიეცა უნივერსიტეტში მოწყობის დღიდანვე გაცნობოდა უმავთულო ტელეგრაფირების (რადიოს) საფუძვლებს და უნივერსიტეტის ფიზიკურ ლაბორატორიაში წარმოებულ სხვადასხვა ცდებს. გრიგოლი ბევრს კითხულობდა ტექნიკურ ლიტერატურას, ამუშავებდა და ადარებდა მეცნიერთა ნაშრომებს ერთი მეორესთან და ამ ნიადაგზე გამოყავდა თავის შეხედულება საერთო აზრიდან. ხშირად ის მთელ ღამეებს ანდომებდა წიგნების კითხვასა და ცდების ჩატარებას. მან არ იცოდა რა იყო დაღლა.

1902 წლის მეორე ნახევრიდან, გარკვეული გეგმის მიხედვით, გრიგოლს დაებადა ავტომატური საწერი რადიოაპარატის განხორციელების იდეა.

მან ჯერ ხის მასალისაგან ავტომატური საწერი რადიოაპარატის მოდელი გააკეთა იმ ვარაუდით, რომ შემდეგ იგი შეეცვალა ლითონის მასალით, რომელიც გამოცდისას მიცემდა მორზეს ნიშნების ავტომატურად ჩაწერის საშუალებას, წუთის განმავლობაში 120-ზე მეტი სიტყვის რაოდენობით; ამ ჩამწერ ავტომატურ აპარატთან ერთად გამოიმუშავა მორზეს ასოების ქაღალდის ლენტზე წინასწარ აღსანიშნავი ხელოვნური ხის ხელსაწყო. ასეთი ხელსაწყოს საშუალებით, ქაღალდის ლენტზე ხვრის დარტყმით, აღინიშნებოდა მორზეს ასოები თავისი ნიშნების (წერტილ-ხაზების) შესაბამისად, — მთელი გადასაცემი მასალა, რა რაოდენობისაც არ უნდა ყოფილიყო ის. ლენტზე პირდაპირი ნიშანი წერტილს გამოამუშავებინებდა, ირიბული კი — ხაზს და ა. შ.

რაც შეეხება ავტომატურად მომქმედ გადამცემის გაკეთებას, გრიგოლისათვის იგი სრულიად არ წარმოადგენდა სიძნელეს, რადგან გადამცემი უკვე თეორიულად გამომუშავებული ჰქონდა სქემისა და აღწერილობის მიხედვით. გრიგოლის მთავარი მიზანი იყო სიგნალების საწერი აპარატის, ანუ მიმღების, გაკეთება რის შემდეგაც იოლად აიხსნებოდა გადამცემიც. პეტერბურგის სამეცნიერო საბჭოს კი პირველის მიხედვით სულ იოლი წარმოდგენა ექნებოდა მეორეზედაც, ე. ი. ავტომატურ მოქმედების ჩამწერსა და სიგნალების გადაცემაზე.

გრიგოლიც ღრმად იყო დარწმუნებული თავისი ავტომატურ საწერი აპარატის დიდ მნიშვნელობაში, მაგრამ უსახსრობა და სუსტი ჯანმრთელობა არ აძლევდა საშუალებას დროზე და დაჩქარებით განეხორციელებინა იდეა. რადიოს გამომგონებელ ა. ს. პოპოვთან და მის თანაშემწე პ. ნ. რიბკინთან გრიგოლს მიწერ-მოწერა ჰქონდა ჯერ კიდევ ადრიდანვე, თავისი აპარატის მოდელის დამთავრებამდე.

1903 წლის გაზაფხულზე გრიგოლმა წარუდგინა პროფესორ სადოვსკის თავისივე ხელით გაკეთებული აპარატის მოდელი, ვრცელი განმარტებითა და ნახაზით, — თუ როგორ იმუშავებდა მისი აპარატი და ამავე დროს პოპოვისა და რიბკინის წერილები აჩვენა სადოვსკის, იმის დასადასტურებლად თუ როგორ ხელმძღვანელობდა პოპოვის რჩევა-დარიგებით. პოპოვი ამავე დროს თხოვდა ნახუცრიშვილს მომინახულეო. სადოვსკის რჩევით გრიგოლი გაემგზავრა პეტერბურგს. ინახულა ა. ს. პოპოვი და პ. ნ. რიბკინი და გააცნო სამეცნიერო აკადემიის საბჭოს თავისი ექსპონატი. აკადემიამ თეორიულად მოიწონა გ. ბ. ნახუცრიშვილის ექსპონატი და მას პატენტის აღება ურჩია.

გამოგონების უფლების აღებისათვის საჭირო შეიქნა 30 მანეთის გადახდა. ამის გარდა, აპარატის გასაკეთებლად აუცილებლად საჭირო იყო 400-500 მანეთი. უსახსრობის გამო გრ. ნახუცრიშვილმა ვერც ერთის გაკეთება შეძლო და ვერც მეორის.

1905 წელს გრიგოლმა ჩააბარა გამოცდები ყველა საგანში, მაგრამ ავად გახდა და 5 მარტს გარდაიცვალა.

ამხანაგებმა და პროფესორებმა შესაფერისი პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას და რამდენიმე ხნის შემდეგ საფლავზე ძეგლი აუგეს იურიევში (ტარტუ).

გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ მისი ექსპონატები, ნახაზები, ფოტოსურათები, მიწერ-მოწერის სხვადასხვა წერილები მისივე ბარგთან ერთად იურიევიდან გადმოუგზავნეს გრიგოლის დას გორში. ამ მემკვიდრეობიდან ზოგი რამ, კერძოდ, თვით გრიგოლის სურათი, აპარატის ხის მოდელი და სხვა ნივთები შემთხვევით გადარჩა და თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა პირობებში სწრაფი ტემპით განვითარდა რადიოტექნიკა.

დღეს არსებული რადიოტელეგრაფირების ავტომატური აპარატურა გრ. ნახუცრიშვილის აპარატის ანალოგიურ კონსტრუქციას წარმოადგენს. იმ დროისათვის, როგორც ეს პეტერბურგის აკადემიის მეცნიერებათა საბჭომაც შეამოწმა, ასეთი ავტომატური რადიოტელეგრაფირების აპარატურა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ იყო ცნობილი.

მხოლოდ გრ. ნახუცრიშვილის გარდაცვალების 18 წლის შემდეგ იქნა შემოღებული რადიოკავშირისათვის ავტომატური მიღება-გადაცემის საშუალებები. გრ. ნახუცრიშვილის ღვაწლი და დამსახურება ამ საქმეში განსაკუთრებული დაფასებისა და შესწავლის ღირსია.

ინჟ. ვ. თადუმაძე

# ლენინგრადის 250 წელი



ლენინგრადი. სახელმწიფო ერმიტაჟი.



ლენინგრადი. სტალინის პროსპექტი.



ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა «ელექტროსილა». ჰიდროგენერატორის საამქროში.

# სევანის კალმახის ბედი

ია მესხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევანი — სომხეთის ზეგანის უზარმაზარი ტბაა, რომელიც ზღვის დონიდან თითქმის ორი კილომეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ფიქრობენ რომ ეს ტბა წარმოიშვა მდინარესაგან. ოდესღაც, შორეულ წარსულში აქ მდინარე იყო. მთების წარმოქმნის პროცესში მას გზა გადაეღობა და დროთა განმავლობაში ვეებერთელა ღრმული მთის წყლებით აივსო. შემდეგში ტბიდან გზა გაიკვლია ერთადერთმა მდინარემ ზანგამ, რომლის სათავესთან წყალვარდნილი წარმოიშვა. მთის ცივი წყლის მოყვარულმა კალმახმა საუცხოო სამყოფელი იპოვა აქ და პრივილეგირებულ პირობებში აღმოჩნდა — მდინარის წვრილფეხა მტაცებლებს ხძლია, მსხვილ მტაცებლებს კი გზა გადაუკეტა წყალვარდნილმა. გარდა ამისა, კალმახს აქ გააჩნია რიყისქვით მოფენილი უზარმაზარი სატაფობო (ქვირითის საყრელი) ფართობი, ჟანგბადით გაჯღენთილი წყალი, უხვი საკვები. ყოველივე ამან მაღალმთიანი ტბა სევანი გადააქცია მთელ მსოფლიოში კალმახის მოპოვების ყველაზე უხვ ადგილად, კალმახის, რომელსაც მთელ ქვეყნიერებაზე ვერც ერთი სხვა კალმახი ვერ შეედრება ვერც სილამაზით, ვერც ღირსებებით.

მაგრამ აი, გადაწყდა სევანის გადაშვება. მისმა წყალმა უნდა აამოძრაოს ელექტროსადგურების მძლავრი ტურბინები, მოგვცეს ასიათასობით კილოვატი იაფი ენერგია, უნდა მორწყას საუკუნეების მანძილზე გვალვით გატიალებული მიწა და გარდაქმნას ის. ყველაფერი ეს გასტანს 50 წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში ტბის დონე 50 მეტრზე დაიწევს და მისი ფსკერის დიდი ნაწილი გაშიშვლდება.

წყლის გადაშვება დაიწყო და კალმახის ჭერაც ტბაში თანდათან თვალსაჩინოდ შემცირდა. სევანელი მეთევზეები დანაღვლიანდნენ.

გასულ შემოდგომაზე ჩვენ მოვხვდით სევანის სარეწზე, როცა იქ მუშაობის ცხარე დღეები იყო. პატარა მდინარე კიავარჩაი ერთი ნაპირიდან მეორემდე და თვით ფსკერამდე ხის ცხაურით იყო გადაღობილი. მდინარეზე გადებულია ფიცრის ბოგირი, ბოგირსა და ცხაურს შორის ჩაშვებულია თევზის საჭერი დაწნული კალათები, ეგრეთ წოდებული ტარები. ზორბა ტანის მეთევზეები ყოველ 20-30 წუთში ადიან ბოგირზე და სწევენ თევზით ავსებულ ტარებს მიაქვთ ნაპირზე. ხსნიან ძროხ და ცოცხალ, ვარდისფერ ოქროს კალმახს დიდი ხის ყუთში ჰყრიან. ამ ყუთიდან თევზებს იღებენ სათითაოდ და ხელის მოჭერით აყრევინებენ ქვირითს — ნარინჯისფერი ჭავლი ხმაურით სჩქეფს სპეციალურ გობში, როცა გობი ივსება, მეთევზეს მიაქვს ის მდინარეზე და გულმოდგინედ რეცხავს ანკარა მთის წყალში. ამ დროს იგი ოქროს მაძიებელს მოგაგონებთ, რომელიც ოქროს ქვიშრობს რეცხავს. და მართლაც, 35 მილიონი ქვირითი უნდა „გარეცხოს“ მეთევზემ თავის უბანზე და თევზის ქარხანას ჩააბაროს.

ახლა შევიაროთ მეთევზეთა დაბა სევანში. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრობიოლოგიური სადგურის დირექტორი ანდრონიკ გელამის ძე მარკოსიანი გვეპატიჟება ტბაზე გავისეირნოთ კატარღით. მივდივართ სევანის ყოფილ ფსკერზე. ნავსადგური შორსაა, თითქმის მთელ კილომეტრზეა ნაპირიდან დაშორებული და ყოველწლიურად იცვლის ადგილს, სულ იქით-იქით მიდის ტბისკენ, რათა დაეწიოს უკან დახეულ წყალს. უბერავს გამსჭვალავი ქარი — სევანის მუდმივი სტუმარი. ტალღებზე ირხევა „ადმირალი ისაკოვი“ სევანის ჰიდრობიოლოგების კატარღა.

ჰიდრობიოლოგებისაგან ჩვენ გავიგეთ თუ როგორ გადაწყდა კალმახის ბედი.

კალმახი იკვებება კიბორჩხალით. კიბორჩხალი კი — ხავსითა და წყალმცენარით, რომლებიც წყლის ზედაპირის ახლო მდებარეობენ. თუ ტბა დაეშვება და მთელი ეს მცენარეულობა თავს ამოყოფს წყლიდან, საკვებს მოკლებული კიბორჩხალი დაიღუპება, კალმახსაც თავის მხრივ, გამოეცლება საკვები. ასე ფიქრობდნენ წინათ. მაგრამ ჰიდრობიოლოგების გამოკვლევებმა სულ სხვა აჩვენეს. წყლის დაწევასთან ერთად, ზუსტად განსაზღვრულ დონემდე ქვევით იწევს ხავსი და წყალმცენარეც, ზევით არ რჩება, რადგან ამის საშუალებას ზვირთცემა არ აძლევს, ძალიან ქვევითაც არ ეშვება, რადგან წყალში ღრმად ვერ აღწევს სინათლე. კიდევ მეტი — ტბის წყლის დაწევასთან ერთად ფსკერის რელიეფიც იცვლება, ფსკერი უფრო დამრეცი ხდება და „მდელო“ ფართოვდება. მაშასადამე, კალმახის საკვები ბაზა კი არ კლებულობს, პირიქით, მატულობს.

მაგრამ მაშინ რად შემცირდა ასე თევზის ჭერა?

გაჰქრა თევზის სატაფობო ადგილები. კალმახი გასამრავლებლად ირჩევს მხოლოდ რიყისქვის გრუნტს, კუდის მაგარი მოძრაობით გრუნტში იკეთებს ბუდეს და აქ ჰყრის ქვირითს. როცა წყალი ნაპირიდან წავიდა, ნაპირის რიყისქვა გაშიშვლდა და წყლის ქვეშ მხოლოდ სილა და შლამი დარჩა. თევზი აღარ მრავლდებოდა. მაშინ გადაწყვიტეს ხელოვნურად მისი მოშენება. კიავარჩაის მახლობლად თევზის ქარხანაში დაიწყეს მსხვილი, სიცოცხლისუნარიანი ლიფსიტების გამოზრდა და ტბაში ჩაშვება. ცდამ გაამართლა იმედები.

# ახალგაზრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წითელი მზე და მწვანე ბალახი

ვახტანგ ჯავახაძე

მზე გამომზევდა.
გაზაფხული გაგვიზაფხულდა.
ქართლის გორებმა დაიხურეს ოქროს
ჩაფხუტი.

ვნახე სანახი:
გულს ახარებს და თვალს ალაღებს
ბრდღიალა მზე და მწვანე ბალახი.
ქართლიდან წაველ.
მაღალი მთა გადავვლე ლიხის —
მე მისი ნახვა სიცოცხლედ მიღირს.
იქ მშვიდობაში გასაცვეთავ ახალუხივით
ველს ყანა შვენის,
დედამიწა ლაჟვარდს უღიმის.
მამულეთიდან გადავავლე თვალი
დედულეთს.
მზით და ბალახით დედულეთსაც არ
დავემდურე.

იქ მთებს რიონი აჩნდა,
როგორც ნაჭრილობევი.
დავტოვე მარჯვნივ ალპანა და მარცხნივ
ორბელი.

საირმეს აველ,
გადასასვლელს გავეშაირე.
საქართველოში მრავლობს ირემი:
სხვაგან სად ნახავ ამდენ საირმეს...
მე ყველას ვიცნობ ლიხს გადაღმა
და ლიხს აქეთაც.
ლექსივით ვიცი თემურ თარბა თუ რას
აკეთებს.
მე ვიცი კიდევ:
დიდი ვოლგა, თუმცა შორსაა —
დნეპრისპირეთში კარგი პირი უჩანს
მოსავალს.
იქაც და აქაც გულს ახარებს და თვალს
ალაღებს
წითელი მზე და მწვანე ბალახი...
ჩვენს დიად ოჯახს დამწუხრება აღარ
მოელის —
მშვიდობას ითხოვს გლეხკაცი და
მაღაროელი.
პურის მთებს დგამენ სოფლად შრომის
გოლიათები
და მოსამკელი კიდევ იცდის ორი ამდენი.
ჩვენს მზისფერ სამკალს მტერი ავ თვალს
ვერ მიაკარებს.
მკერდით ჩაგრავენ აყვავებულ ზეცის
ვარსკვლავებს
და იფიცებენ მარჯვე ბიჭები:
— იმ დაღლილი მზის მადლს გეფიცებით,
ჩვენს სამკვიდროში ავი კაცის თვალს არ
ვანახოთ
ბრდღიალა მზე და მწვანე ბალახი.

## დედას

სამუელ მოძღვრიშვილი

ჩემი გაჩენა შენ გახსოვს, დედავ,
შენ გახსოვს, დედავ, ჩემი ბავშვობაც,
ოცნებით ახლაც პატარას მხედავ,
თუმცა მრავალი წელი დაგვშორდა!
ოჰ, თურმე მიწას აკოცე მაშინ,
როცა ავიდგი ფეხი პატარამ,
ზე წამოიჭერ, შემოჰკარ ტაში,
მხრებზე შეგერხა თბილი ჭაღარა!
ხელში მომეცი წითელი ბურთი,
მრგვალი ისევე, ვით დედამიწა,
ბუნებას თხოვე:
— ვით მტრედის ხუნდი,
ჩემი პატარა ბიჭი დამიცავ!
დამიცავ, როგორც ნერგი ახალი
და არ მოაკლო მიწის სურნელი,
გაუცისკროვნე ზეცა მაღალი,
ელვა-ქუხილით შეუმუსვრელი...
დედავ, ბუნება შენ გამაცანი,
მკერდზე მასხურე მამულის წყარო,
შენ გამაცანი კერის ნაცარი,
შენ გამაცანი მთელი სამყარო!
მერმე ბუნება დედად ჩავთვალე,
მე შევიყვარე დედაბუნება,
იგი სიცოცხლის არის სათავე,
მასაზრდოებს და მესალმუნება.
იგი არას დროს მე არ მიმუხთლებს,
იგი ხომ შენში განსახიერდა,
სამშობლოს მიწას გულში ვიხუტებ,
თუ სული წამით დაცარიელდა.
და მემატება მკერდში ძალ-ღონე,
მიასკეცდება ცეცხლი მუხლებში,
ვეღარც ქუხილი, დელგმა მაღონებს,
ვეღარც მერევა ქარი უხეში.
მამულის ზრდასთან დღედღე გაზრდილი,
ფიცხელ შრომაში თავდადებული,
ვით შადრევანი ცად ავარდნილი,
რა კარგ დროსა ვარ დაბადებული!
ისე ტურფაა ჩემი ცხოვრება,
ვით მაისობა, ვით სიყმაწვილე,
და, ალბათ, მზესაც ემახსოვრება,
რომ ამ ცხოვრების ვარ მონაწილე.

თამაზ ჭილაძე

## გამოდარება

გასკდება კვირტი...
ზღვა ყვავილებში
თითქო ცურავენ ლურჯი ქედები,
ნაწვიმარია,
დაბურულ ხევში
გადაჩეხილან ცისარტყელები.
კარგია ამ დღის გულით ტარება,
ყური დაუგდე ხეთა სიმღერებს,
ო, როგორ გავხარ გამოდარებას,
გამოდარებას ქარიშხლის მერე...

## ნეტავ, მოვიდა?

ნაპირთან კლდეზე ტალღები სხლტება,
პალმები ლამაზ ასულებს გვანან,
ზღვა საღამოთი თითქოს ნაზდება
და ჩამავალ მზეს უმღერის ნანას.
მზემ ცა ღიმილით გადაიარა,
ზღვასთან მოლურჯო ფერის მთებია,
ეს ზღვა,
ნაპირი,
მთები შრიალა
სამშობლოს სახელს ერითმებიან.
ზღვა ჩამავალ მზის ოქროში ცურავს,
ფრინველს წაავავს ტალღა შორიდან,
ვხედავ ნაპირთან გემი მოსულა,
ჩემი ოცნება
ნეტავ მოვიდა?

მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექან ბარდაველიძე

# თეთრი თავსაფარი

მხატვარი დ. ხახუტაშვილი

მოთხრობა

ოტია დალაქს ბევრი ლაპარაკი უყვარს, როგორც ყველა დალაქს ამ ქვეყანაზე, მაგრამ ახლა ჩაფიქრებულია და შეჩვეული ხელით მარდად პარსავს კოლმეურნეობის ბუღალტერს სიმონ ცხომელიძეს. როცა ამ სიტყვაძუნწმა სიმონმაც ამოღეჭა წელან, მარიამი ამ დღეებში ნამდვილად მიიღებს გმირობასო, ოტიას სიხარულით აევსო გული, მაგრამ შემდეგ... წყეული ეჭვი აეკვიატა: ცოლი არ გამიდიდგულდესო. „აჰ რამ მაფიქრებინა ეს"... თავის თავზე გული მოსდის ოტიას და თავგამოდებით აწკაპუნებს მაკრატელს. სირცხვილია, თავის ერთგულ მარიამზე ასეთი რამ ერთი წუთითაც რომ გაიფიქრა... კაცმა რომ თქვას, არც ოტია კამკამიძეა ურიგო კაცი. მერე რა, ცალი ფეხის ნაცვლად მძიმე ხის პროტეზს თუ დაათრევს და ფარგალივით ზომავს დედამიწას... სამაგიეროდ ოცდაჩვიდმეტი წელიწადი ორი ფეხით დადიოდა ამ მშვენიერ ქვეყანაზე და კარგადაც დადიოდა. კოლმეურნეობის ერთ-ერთ პირველ წევრად და მის უცვლელ ბრიგადირად ითვლებოდა. ცოლი კარგი მოიყვანა, მაღალი ოდა დადგა და ოჯახი სიხარულით სავსე ჰქონდა ოტია კამკამიძეს, როგორც გული ჰქონდა სავსე. შემდეგ... ომი დაიწყო და კავკასიონის ქედიდან მოკიდებული აღმოსავლეთ პრუსიამდე ბრძოლით იარა ზემოქედელმა კოლმეურნემ, ხუთი მედალი დაიმსახურა, ბევრი ნახა და უფრო მეტი გაიგონა. მერე რა, შინ მოსულს გატეხილი ჯანმრთელობა რომ ჩამოყვა, ერთ დროს მკლავმარჯვე მიწის მუშა იძულებული რომ გახდა სამართებელსა და მაკრატელს დამეგობრებოდა... ცოცხალი ხომ დარჩა? ეს არის მთავარი და ვინ იტყვის, ოტიას სიცოცხლე არ უყვარსო? მისი თაოსნობით არ იყო კლუბში ორდანადგარიანი კინო რომ მოეწყო? მისი თაოსნობით არ იყო ჩახრიალაზე ხიდი რომ გაკეთდა? არასოდეს არ გამოწყვეტილა კუთხე-მეზობლებში ოტია დალაქი და ეს არის ყველაფერი! ცოლმა უნაკლოდ დაახვედრა ოჯახი, შვილებიც გაზრდილი ჩააბარა (ორივე ბიჭი თბილისში სწავლობს) და რა უნდა მეტი? ამ ზაფხულს ხომ მარიამმა, ნახევარ ჰექტარზე რვა ათასი კილო ჩაის ფოთოლი მოკრიფა, მთავრობის ჯილდოზე წარადგინეს და დღეს თუ ხვალ სოფელი ზეიმს მოუწყობს თავის პირველ გმირს. ვერ შეეჩვია ოტია დალაქი ამოდენა ბედნიერებას და რა ჰქნას... მას ახსოვს ასეულის სიამაყე, საბჭოთა კავშირის გმირი ილია არამილევი, მუხის ტოლა ვაჟკაცი, ულვაშები სიმინდის ტაროებივით რომ ეკიდა. მარიამი კი... ჰმ, ფარგასავით გამხდარი, ჩუმი, ერთგული მარიამი, ჭიშკართან რომ შეეგებება საღამოს, ამ დილითაც ძლივს სთხოვა, თეთრი აბრეშუმის თავსაფარი წამომიღე რაიონში თუ მოგიხდეს ჩასვლაო... ჰო, მართლა, ის თავსაფარი ვინმეს უნდა ამოატანინოს, თორემ გაიოზს თუ



უყურა, სოფლის კოოპერატივის გამგეს, საპნისა და ჩითის საკაბეების მეტს არაფერს აღირსებს. ამ გახსენებაზე: გაიოზმა გაირბინა ეგერ (სულ ასე ბრუნავს კოოპერატივის გამგე: კოოპერატივიდან საწყობში, საწყობიდან სამკერვალოში, სამკერვალოდან ნავთის ფარდულში და იქიდან კიდევ ვინ იცის სად...)

— გაიოზ! გაიოზ! — გასძახა ოტიამ და ერთი წუთით ხელი უშვა ბუღალტრის ჩამჭკნარ კისერს. გაიოზმა ქაქანით მოირბინა და კარებში გაჩერდა.

— ჩქარა თქვი, ოტია, რა გინდა, თორემ საქმეზე მაგვიანდება. — სახეზე ოფლი მოიწმინდა, სიმონს გადახედა და მწუხარედ დაუმატა:

— ბრუნვის გეგმა მრჩება, მგონი, შეუსრულებელი.

ოტიამ გაწკეპილი, ჭაღარა ულვაშები ააცმაცუნა, ჭროღა თვალებში მხიარული სხივი აუთამაშდა და წვრილი ხმით გამოსცრა:

— გაიოზ, ბატონო, რაც შენ ბრუნავ, კიდევ შეუსრულებელი გრჩება ბრუნვის გეგმა?

ბუღალტერი უცნაურად დაიმანჭა და მხრები აუცახცახდა — იცინის... გაიოზმა საყვედურით შეხედა დალაქს:

— იცინე, ჰო, ოტია, შენ რა გენაღვლება ჩემი საქმე?

ოტია მოიღუშა.

— ჩემი საქმეო, — გამოაჯავრა მან. — ვინ მოგახსენა, რომ კოოპერატივის საქმე მარტო შენი საქმეა? კაცო, მყიდველები ჩვენ ვართ და ერთხელ მაინც რატომ არ დაგვეკითხე რა გნებავთ, რა გჭირდებათო? ხომ ხედავდი, პიანინოს ჩამოსატანად გოგია მდინარაძეს სამი დღე რომ გაუცდა?

— მართალია, — წაილაპარაკა ბუღალტერმა და კისერი დააძვრინა დალაქის სამართებელს. — ამას წინათ არჩილიც გეუბნებოდა ამას, პარტბიუროს მდივანი... სანამ მომხმარებელთა მოთხოვნილების მიხედვით არ შეუდგები მუშაობას, არაფერი გამოგივა...

— მომხმარებელი კი ძალიან მომთხოვნი გყავს, — ჩაურთო ოტიამ. — შენ ჯერ მაგ საქმეში ახალი კაცი ხარ და სწავლება არ უნდა გეწყინოს. რაღაც კარგი თავსაფრები გამოსულა, თეთრი.... ისეთი... აბრეშუმის. ერთი სიტყვით, ძალიან ლამაზი ყოფილა. მარიამმა მთხოვა, მიყიდეო... ჩვენთან კი... შენ ყური დაუგდე, გაიოზ, არ უნდა გეწყინოს...

გაიოზი იდგა და უხერხულად იღიმებოდა.

— რატომ უნდა მეწყინოს? რაც მართალია, მართალია... მე და არჩილმა უკვე მოვილაპარაკეთ — ერთი ეს თვე გავიტანოთ და მერე მე ვიცი, — უცბად რაღაც გაახსენდა, შუბლზე ხელი იტკიცა და გაიქცა. ჰო, სულ ციბრუტივით ბრუნავს ეს კაცი...

ოტიამ ბუღალტერის მელოტი თავი სუფთად გაპარსა და ახლა გულმოდგინედ უზელს სველი სალფეთქით. ბუღალტერი სიამოვნებისაგან თვალებს ნაბავს და ასე გონია, ნელსაცხებლისგან შეხურებული, უცნაურად შემსუბუქებული თავი საცაა ბუშტივით მოწყდება და ჰაერში გაფრინდება.

აჰ, ასე როგორ გაუშვას ბუღალტერი, რომ რამე ამბავი არ დაატოვებინოს... ოტია ცალ ფეხზე შემოტრიალდა, ცალი კი, პროტეზიანი, ბრახუნით გადადგა და უჯრიდან პუდრი ამოიღო, დაუზოგავად აამტვერა და სქლად გაუსვა ბუღალტერს გამხდარ ლოყებზე, კისერში, ყურისძირებზე... მერე თვალებში შესციცინა და შემპარავი ხმით ჩაეკითხა:

— სიმონ, ბატონო, როგორ ფიქრობ, წელს შრომადღეზე რამდენი მანეთი დარიგდება, ა?

სიმონმა წაუყრუა, მაგრამ როცა დალაქმა უფრო სქლად დააყარა პუდრი და შეკითხვა გაუმეორა, ორაზროვნად მიუგო:

— მაგას გამგეობა გადაწყვეტს...

— გამგეობა კი გადაწყვეტს, მაგრამ შენ მანამდე სხვაზე უკეთესად არ იცი? აბა, რის ბუღალტერი ხარ?



ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი მაგრამ კაცო, შენ ყველაფერი წინდაწინ უნდა გაიგო? — აწრიალდა სკამზე სიმონი. — მოითმინე ცოტა და საერთო კრებაზე გაირკვევა...

— კარგი, ბატონო, თუ მასეთი საიდუმლოა...

ოტიამ წარბი შეიკრა. ბუღალტერმა შეატყო, რომ აწყენინა კაცს. მართლა, თავი დაიფასა, თორემ რა იყო დასამალი?

— ეხ, ჩემო ოტია, შენ სულ ერთია მაინც გაიგებ საიდანმე... დარიგდება ასე, ოცდახუთ მანეთამდე...

— მართლა, კაცო? — შეხტა სიხარულისაგან ოტია.

— ნამდვილად. მხოლოდ სანამ საერთო კრებაზე არ გამოცხადდება, ჩვენს შორის დარჩეს.

ოტიამ აღუთქვა და ბუღალტერიც დაჯერდა, თუმცა ორივემ იცოდა, რომ ეს ამბავი იმ დღეს თუ არა, მეორე დღეს მაინც, მთელს სოფელს ეცოდინებოდა.

როდესაც ჭარხალივით თავგაწითლებული ბუღალტერი სადალაქოდან გავიდა, ოტიამ ხელსაწყო მიალაგა და მაგნოლიის ქვეშ პატარა სკამზე ჩამოჯდა.

მაგნოლიის ჩრდილი სადალაქოს ეცემა. იგი პატარა მოედნის კუთხეშია მოთავსებული, სამკერვალოს გვერდით. პირდაპირ კი კოოპერატივია, რომლის ფართო ვიტრინიდან კოხტად ჩაცმული, ფერმკრთალი მანეკენი დილიდან საღამომდე მიჩერებია სადალაქოს. „ქვეყანა სამუშაოდაა გასული. კაცი არ ჭაჭანებს ახლომახლო“ — გაიფიქრა ოტია დალაქმა და წინ უხერხულად გაშვერილ პროტეზს დახედა. იქ, სადაც ჩვეულებრივ ფეხს მუხლის თავი აქვს, ხელი დააჭირა და როდესაც სქელი ტყავი უსიამოვნოდ აჭრიალდა, მოიღუშა. მანეკენი კვლავ მხიარული სახით მიჩერებია. „ატუზულა აქ უსაქმოდ“... უცბად გული მოუვიდა ოტიას. „ლამაზად კი აცვია, კულტურულ კაცად მოაქვს თავი, მაგრამ ულვაშები რას უგავს? კარგი დალაქი ვერ იშოვნა? მიგლესილი აქვს პირდაპირ ცხვირქვეშ... ულვაში ისე უნდა გაპარსო, რომ სულ ბიბინებდეს“. მოსახვევში მაღალი ჭაბუკი გამოჩნდა, ქურდულად მიიხედ-მოიხედა და სადალაქოსკენ მოაპირდაპირა.

— აჰა, მოვიდა სოფლის ამშენებელი...

შეაგება ოტიამ ახალმოსულს, როდესაც იგი სარკესთან დაჯდა და დალაქს მიმართა, შენი ჭირიმე, ჩქარა გამპარსეო. ოტიამ თვალი შეავლო ჭაბუკის ჩასქელებულ კისერს, განიერ მხარბეჭს და მსხვილ წვივებს, შარვალი ზედ რომ ასკდება.

— ო — ხო, ხო, ხო, შენი ჯანმრთელობა მომცა, ოთარ, თორემ რა დამიდგებოდა წინ... — თქვა ოტიამ. — გაფიცებ ყველაფერს, შენით ადექი ამ შუადღეზე თუ დაგაფეთა ვინმემ? ალბათ, არჩილი მოგელანდა ძილში, შენი ბიძაშვილი...

ოთარი ჩუმად იჯდა და მორჩილი სახით უცქერდა დალაქს, რომელიც აუჩქარებლად უწყობდა პირს სამართებელს.

— თმის მოსავალი კარგი ცოდნია თქვენში...

— ოტია, თუ კაცი ხარ ჩქარა გამპარსე...

— ჩქარა, თორემ, საქმეზე არ გაგვიანდებოდეს სადმე... ბიჭო, მთელი სოფელი სამუშაოდაა გასული, მარტო არ მოგეწყინება მაინც? ჩრდილში კოტრიალით გვერდები მაინც არ გეტკინება?

— გაიგეთ, კაცო, ერთხელ და სამუდამოდ: უმაღლესში შესასვლელად ვემზადები, უმაღლესში...

— კი, მაგრამ, ბიჭო, ყოველთვის? აგერ ახლა არ იყო გაწბილებული რომ ჩამოდი? ერთხელ არ მიგიღეს, ჩემო ძმაო, მეორედ, მესამედ... ალბათ, არ ვარგიხარ და ვეღარ მოეშვები?

ოთარი მოუთმენლად შეირხა სკამზე.

— არა, ძმაო, შენ არჩილის ბიძაშვილი არა ხარ, — განაგრძობდა დალაქი და კვლავ აუჩქარებლად ლესავდა სამართებელს. — კაცი პარტბიუროს მდივანია, მოწინავე ბრიგადასაც ხელმძღვანელობს და ოჯახშიც დაუსვენებლად მუშაობს. მაინცდამაინც იმ მანეკენს გამოემსგავსე სიზარმაცეში ძმასავით, ეგერ უსაქმოდ რომ დგას ვიტრინაში. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ერთგვარი საქმე მაგასაც კი აქვს...

— ოტია, ჩქარა, თორემ დავლეწე აქაურობა! — ოთარმა თვალები დააბრიალა და სკამმა ლაწუნი დაიწყო მისი სიმძიმის ქვეშ. დალაქი დაფაცურდა. სიმთვრალეში ხომ ურევს და ურევს ეს დალოცვილი, მაგრამ არც სიფხიზლეში დაუშლის ჭკუა. ერთადერთი არჩილია, რომლისაც ასე თუ ისე ეშინია ოთარს, სხვას კი ვის მოერიდება... დალაქი დაიხარა და უჯრიდან სურნელოვანი საპნის ფხვნილი ამოიღო, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და უბრალო საპონი ააქაფა. ის იყო ჯაგრისი დაასველა, რომ ოთარი უეცრად წამოიჭრა და სადალაქოს უკანა კარებში გავარდა. სადალაქოში არჩილი შემოვიდა. „აი, თურმე რატომ ეჩქარებოდა“ გაიფიქრა დალაქმა და გულიანად გადაიხარხარა. არჩილმაც გაიღიმა.

— გაიქცა ის უბედური ხომ? კიდევ კარგი მაგდენი სირცხვილი რომ შერჩა, — თქვა მან და სკამზე დაჯდა. გახუნებული ჯარისკაცული გიმნასტურა ოფლისაგან განიერ ზურგზე ეწებებოდა. ფართოყელიან ჩექმებზე ტალახი ქონდა მიმხმარი. ეტყობა, ბრიგადირი პირდაპირ პლანტაციებიდან მოდიოდა, მას ჩაის ფოთლისა და მიწის სუნი ასდიოდა. — აბა, ოტია, ერთი შენებურად გამასუფთავე, ამ საღამოს რაიკომში ვარ წასასვლელი.

— ახლავე, ჩემო არჩილ, ახლავე... ისე გაგალამაზებ, რომ შენმა გულიკომაც ვერ გიცნოს, ხე... ხე... ხე.. — მხიარულად მიუგო ოტიამ და სავარცხელს დაავლო ხელი. გულიკოს ხსენებაზე არჩილი მორცხვად შეიშმუშნა და ოტიამ შეამჩნია, როგორ გაუწითლდა ყურები სახელოვან ბრიგადირს. ოტიამ ჩაიღიმა და განგებ სიტყვა გადაიტანა:

— მიკვირს, კაცო, ვის გამოემსგავსა გირკელიძეებში ოთარი, ა?

— მომკლა მაგან, ოტია, სისხლი გამიშრო. „ბიჭო — ვეუბნები — სხვაზე ნაკლები სიგრძე არა გაქვს და განი. მოკიდე შრომას ხელი, ხალხში გაერიე მეთქი“. არ გამივიდა არაფერი. წავა ყოველ ზაფხულს თბილისში, მისაღები გამოცდები უნდა ჩავაბაროო. თუ რამე წაილო შესვამს, შეჭამს და ჩამოვა. არც სწავლისაა და არც მუშაობის...

— პა, პა, პა... — გაიქნია თავი ოტიამ და მაკრატელი ააწკარუნა. — კაცი რომ შრომას გადაეჩვევა, ძნელია. ცოცხლად გადაყვება ხელს.

იგი გულმოდგინედ პარსავდა ბრიგადირს. ოტიას უყვარდა ეს შრომისმოყვა-

რე, დაუღალავი ახალგაზრდა, პარტბიუროს მდივნად რომ აირჩიეს სოფლის კომუნისტებმა. სუფთად გაპარსა, პუდრი სქლად წაუსვა და საიდანღაც უმაღლესი ხარისხის ნელსაცხებელიც ამოიღო... ასეა, კარგი კაცისთვის არაფერი არ ეზოგება. არჩილმა სახეზე ფრთხილად მოისვა ხელი და დაკოჟრებულ ხელის გულზე სასიამოვნო სირბილე რომ იგრძნო, ბავშვივით გაიღიმა.

— ოტია, შენი მარიამი მიდის და მიდის წინ... დღეს რვაათას შვიდასზე აიყვანა ნაკრეფი. მალე, ალბათ, სოციალისტური შრომის გმირის წოდებასაც მიიღებს და მაშინ სამახარობლო შენზეა... დღეს „კომუნისტის“ კორესპონდენტი იყო მარიამთან, პირდაპირ ნაკვეთში ინახულა.

— ჰოო...

განგებ გულგრილად გააგრძელა დალაქმა და ნელსაცხებლის შხაპი მიუშვა ბრიგადირის თავზე.

გვიან საღამომდე იმუშავა ოტიამ და კარგად შელამებულში გაემართა შინ. ჭიშკარი შეაღო და მაგრად შეირახუნა. ასეა ყოველთვის: ჭიშკრის ხმაურზე მარიამი აუცილებლად გამოეგებება ქმარს. ახლაც, ელექტრონის შუქზე ოტიამ დაინახა სამზადი სახლიდან როგორ გამოვიდა მარიამი და სწორი, მოზომილი ნაბიჯებით ჭიშკრისაკენ გამოემართა. მარიამი ყოველთვის ასე დადის: სწორად, წელში გამართული.

— შენ ხარ, ოტია? — იკითხა მარიამმა, როგორც ყოველთვის და ხელსაწყოებიანი კალათა ჩამოართვა ქმარს. ოტიამ არაფერი უპასუხა და ოდის წინ ჯირკოზე ჩამოჯდა.

— მარიამ, წყალი...

მარიამმა სწრაფად გამოიტანა თუნგით ახალი მოტანილი წყალი. ოტიამ მოსვა და ცოლი კვლავ სამზადში შებრუნდა. ისმოდა როგორ ატკაცუნებდა ცომს ხელისგულებზე მარიამი. ოტია იჯდა და რაღაცას ფიქრობდა, მერე უცბად წამოიძახა:

— მარიამ, პროტეზი...

როდესაც მარიამმა ცოტა შეაგვიანა, გულმოსულად, ბრძანების ხმით გასძახა:

— მარიამ, არ გესმის!...

— კარგი, ახლა, კაცო, მოვდივარ...—მოისმა წყნარი პასუხი. ჩაფიქრებული დაცქეროდა ოტია ცოლს, რომელიც წელში წახრილი, მზრუნველი ხელებით უხსნიდა პროტეზს და ნელა, დაბალი ხმით ყვებოდა როგორ გადაუღო თბილისელმა კორესპონდენტმა სურათი. ყველაფერი გამოკითხა თურმე, ოჯახური ამბებიც...

„აჰ, რამ მაფიქრებინა ის ამ დილით...“

მარიამი ჩვეულებრივი, წყნარი, მშობლიური, მისი მარიამი იყო...

***

მერე ის იყო, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მზე ისევ მაღლა იდგა, გარშემო გორაკებზე ნაძვის ხეები ირხეოდნენ და ნიავს ჩაის ფოთლისა და ციტრუსების მძაფრი სურნელი მოჰქონდა, მთელი ზემოქედი ფეხზე დადგა. დიდი და პატარა სიხარულისაგან ბრწყინავდა. არ იყო სასიხარულო? გუშინ გაზეთმა ამბავი მოიტანა და ზემოქედსაც ჰყავს თავისი გმირი! რით არის, აბა, ზემოქედი წითელმთაზე ნაკლები? სწორედ ასე უთხრა ზემოქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნესტორ დაბაღუამ მოსალოცად მოსულ წითელმთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, პირში უთხრა და წითელმთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დაეთანხმა, თუმცა იქვე დაუმატა: პირველად მაინც ჩვენმა წევრმა მიიღო გმირობაო. რაიკომის ცისფერი „პობედაც“ მოვიდა და სტუმრები მოიყვანა. რაიკომის მდივანმა და თბილისელმა კორესპონდენტმა — შავტუხა, მოუსვენარმა ახალგაზრდამ, ფოტოაპარატი ყოველთვის გამზადებული რომ აქვს — გულთბილად მიულოცეს მარიამს და ოტიასაც ხელი ჩამოართვეს. დატრიალდა არჩილი, კომკავშირელები დაიხმარა და კლუბის ეზოში [illegible] ტრიბუნა გამართეს. დგას ახლა ოტია დალაქი ხალხში, ხუთივე მედალი მკერდზე უკეთია, აბრეშუმის ყაბალახი თავმომწონედ გადაუგდია მხარზე და უსმენს, რა კარგ სიტყვებს ამბობენ მის მარიამზე, ეგერ, მორცხვად რომ ზის. ტრიბუნაზე არ ავიდა წელან ოტია, მეტიჩრობაში არ ჩამომართვანო. ახლა კი უნდა ოტიას, ძალიან უნდა, ავიდეს ტრიბუნაზე, თვალებში ჩახედოს თავის მარიამს და უთხრას რაღაც ისეთი, კარგი... ძალიან კარგი... სხვა რომ ვერ იტყვის, ისეთი. მარიამის წარმატება მთელი კოლმეურნეობის წარმატებააო, თქვა ამხანაგმა კოტემ, რაიკომის მდივანმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიამოვნებისაგან გაწითლდა, სიტყვა აიღო და სიტყვაძუნწი ნესტორი ახლა ისე ლაპარაკობს, რომ ხელებსაც და ფეხებსაც იშველიებს. არჩილმაც კარგად ილაპარაკა, კარის მეზობლებმაც ბევრი რამ თქვეს, მაგრამ ოტიას სათქმელი ვის შეუძლია თქვას? ვიღაცამ მკლავზე ხელი შეახო. ჰო, გაიოზია... ულვაშებს ასე ირიბულად მის გარდა არავინ იპარსავს. გაიოზმა ქაღალდში გახვეული რაღაც ჩაუდო ხელში.

— ის არის, ამას წინათ რომ მეუბნებოდი. ახლახან დიდძალი საქონელი მოვიტანეთ კოოპერატივში...

რა დროს ეგ არის... ხალხი გაიწ-გამოიწია, ოტიას ეძახიან და მოფიქრებაც ვერ მოასწრო, უკვე ტრიბუნაზე აღმოჩნდა.

— ოტია, აბა, შენებურად ერთი მოხდენილი სიტყვა თქვი... — ისმის აქეთ-იქიდან. რას მერჩით, მეზობლებო, რა დაგიშავეთ, კეთილებო, რატომ მარცხვენთ ამ დროულ კაცს? სად გაგონილა, ქმარმა საჯაროდ სიტყვა თქვას ცოლზე? მარიამმა თავი დაღუნა, ხალხი კი არ უსვენებს ოტიას. და დაიბნა ოტია დალაქი, პირველად დაება ენა თავის სიცოცხლეში... მედლები ააწკარუნა, თვალები დაახამხამა, მაგრამ ამაოდ: ყელში რაღაც აწვება, სიტყვას ვეღარ ახერხებს სხარტი მოსაუბრე. ორი წინადადება წაილუღლუღა და მესამე ეგ იყო: მე დავამთავრე, ამხანაგებო... გაახსენდა. ქაღალდი გახსნა და თეთრი თავსაფარი ცოლს გაუწოდა.

— მშვიდობაში ატარე, ჩემო მარიამ...

მარიამს თვალები გაუბრწყინდა:

— უიმე, ოტია, ძალიან გამახარე, კაცო... — წამოიძახა და ის თავსაფარი იქვე მოიხვია, კისერთან განასკვა და მადლიერად შეხედა ქმარს.

რაიკომის „პობედით“ წაიყვანეს სახლში ოტია და მისი ცოლი. მანქანა დაიძრა თუ არა, ოტიამ თეთრი ყაბალახის კალთა, თითქოს შემთხვევით, ფანჯარაში გამოჰყო და სრბოლისგან აღენილმა ქარმა ტკაცუნით ააპარპალა ყაბალახის კალთა. აბა, როგორ! ქვეყანამ დაინახოს მათი ბედნიერება...

ოტიამ ჭიშკარი გაუღო საპატიო სტუმრებს და ის იყო თვითონაც უნდა შესულიყო, რომ გვერდზე გადგა და წინ გმირი გაატარა. მარიამმა მზრუნველობით დაუჭირა ჭიშკარი ქმარს და ოტია დალაქი წელში გაიმართა, ცალი ფეხით ფარგალივით მოზომა დედამიწა და ეზოში შევიდა.



# ჩეხოსლოვაკია სოციალიზმის გზაზე

მ. ჯინჭველაშვილი

რვა წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიის უშუალო დახმარებით ჩეხოსლოვაკიის ხალხებმა დაამსხვრიეს იმპერიალისტური ჩაგვრის უღელი და დაიწყეს ახალი, თავისუფალი ცხოვრების შენება.

განვლილი რვა წლის მანძილზე განთავისუფლებული ჩეხოსლოვაკიის ხალხებმა წარმატებით დასძლიეს ახალი ცხოვრების შენებასთან დაკავშირებული სიძნელეები და უდიდესი წარმატებები მოიპოვეს ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. რეაქციული ძალები ყველა ღონისძიებას ხმარობდნენ, რათა ჩაეშალათ წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაცია და აგრარული რეფორმა, ძირი გამოეთხარათ საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მეგობრობისათვის. ამ ბინძური მიზნის მისაღწევად რეაქციული ძალები არ მოერიდნენ 1948 წლის თებერვალში ავანტიურისტული შეთქმულების მოწყობასაც კი, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა პირისპირ ბრძოლაში დაამარცხა სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მტრები, აღმოაჩინა და მოსპო უცხოეთის ჯაშუშური ბუდეები და უზრუნველყო სახალხო დემოკრატიის გამარჯვება.

განვლილი წლების მანძილზე ჩეხოსლოვაკიის ხალხებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა სოციალისტურმა სექტორმა. მსხვილი მრეწველობა, ტრანსპორტი, ბანკები, მაღაროები, კავშირგაბმულობის საშუალებანი და მეურნეობის სხვა მბრძანებელი მწვერვალები სახელმწიფოს ხელში გადავიდა. გამოცხადდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია.

წარმოების საშუალებათა წამყვან დარგებში სოციალისტური საკუთრების განმტკიცებამ შესაძლებელი გახადა სახალხო მეურნეობის გეგმიან განვითარებაზე გადასვლა. ამის შესაბამისად 1946 წლის ოქტომბერში, ჩეხოსლოვაკიის ისტორიაში პირველად, შემუშავდა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ორწლიანი გეგმა. მიუხედავად შინაური რეაქციისა და საერთაშორისო იმპერიალისტური ბანაკის გააფთრებული წინააღმდეგობისა, ორწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, რის შედეგადაც 1948 წლის ბოლოსათვის წარმოების დონე 1937 წლის დონესთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა. ამ პირველმა სერიოზულმა წარმატებებმა ჩეხოსლოვაკიის ხალხებს შესაძლებლობა მისცა დაესახათ უფრო გრანდიოზული ამოცანები. 1949 წელს ისინი შეუდგნენ პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას. 1949-1953 წ. წ. ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანას შეადგენს სოციალიზმის ეკონომიკური საფუძვლის აგება, რაც გულისხმობს უპირველეს ყოვლისა ინდუსტრიის, პირველ რიგში, მძიმე მრეწველობისა და მისი გულის — მანქანათმშენებლობის განვითარებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ახალი ტექნიკით შეიარაღებისა და ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის.

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ჩეხოსლოვაკიის სახალხო შემოსავალი გაიზრდება 50 პროცენტით, წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით გაიზრდება 57 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება სამჯერ გადააჭარბებს ომამდელ დონეს, გაიზრდება ქვანახშირის ამოღება, ლითონის გამოდნობა.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის თებერვლის პლენუმმა მიიღო დადგენილება მრეწველობის რეკონსტრუქციის შესახებ. ამ დადგენილების მიხედვით, მრეწველობის პროდუქცია ხუთწლედის ბოლოსათვის 70 პროცენტით უნდა გაიზარდოს. მანქანათმშენებელი მრეწველობის უდიდესი ზრდა ჩეხოსლოვაკიის მრეწველობას საშუალებას მისცემს აღიჭურვოს ახალი ტექნიკის საფუძველზე და დააჩქაროს სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. ამავე დროს იგი შექმნის ჩეხოსლოვაკიიდან სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში მანქანების ექსპორტის პირობებს და ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა რესპუბლიკის წინათ ეკონომიურად ჩამორჩენილი რაიონის — სლოვაკიის სამრეწველო განვითარებას. ჩეხიის მრეწველობის მხრივ განვითარებული რაიონებიდან 1948 წელს სლოვაკიაში გადაიტანეს 200 მსხვილი საწარმოო, რის შედეგად სლოვაკიის ინდუსტრიალიზაცია სწრაფად წავიდა წინ.

საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებით ჩეხოსლოვაკიის ხალხები წარმატებით ასრულებენ ხუთწლიან გეგმას, ქმნიან მრეწველობის ახალ-ახალ დარგებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხოსლოვაკია ომის შედეგად დიდად დაზარალდა, სამრეწველო პროდუქციის წარმოების ომამდელი დონე 1951 წელს გადამეტებულ იქნა 1,7-ჯერ. დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული გასულ წელს. 1952 წელს მთლიანად მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შეასრულა 98,5 პროცენტით, რაც 1951 წელთან შედარებით 18 პროცენტით ნამატს შეადგენს. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1952 წელს 1937 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გადიდდა და 1948 წელთან შედარებით 83 პროცენტით გაიზარდა. სახელმწიფო კაპიტალური მშენებლობის მოცულობა 1951 წელთან შედარებით გაიზარდა 16,7 პროცენტით. 1952 წელს ჩეხოსლოვაკიაში ახალი საწარმოო სიმძლავრეები ამუშავდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 2.222 ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი. აგებულ იქნა ათასობით ახალი საცხოვრებელი სახლი.

1952 წელს გრძელდებოდა საბჭოთა კავშირთან და ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება და განმტკიცება.

ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური შემოსავალი 1951 წელთან შედარებით გაიზარდა 15 პროცენტით. ნაციონალური შემოსავლის 70 პროცენტი მოხმარდა მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ნაციონალური შემოსავლის დაახლოებით 30 პროცენტი ასიგნებულ იქნა სოციალისტური წარმოების შემდგომი გაფართოებისა და სხვა საჭიროებებისათვის.

უდიდესი ძვრები მოხდა ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობაში. სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო აგრარული რეფორმის განხორციელება, რის შედეგადაც გლეხებმა ერთნახევარ მილიონამდე ჰექტარი მიწა მიიღეს. წარმატებით ვითარდება სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორი, რომელსაც მიწის ფართობის 30,6 პროცენტი უკავია. სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოოპერირებული წარმოება. გლეხები აწყობენ კოოპერაციულ ამხანაგობებს მიწის შეერთებული ძალით დასამუშავებლად. 1951 წლისათვის ჩეხოსლოვაკიაში იყო 3.279 ასეთი გაერთიანება, რომლებიც მთელი რესპუბლიკის სახნავი მიწის საგრძნობ ნაწილს ამუშავებდა. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდება 39 პროცენტით, სოფლის მეურნეობა დამატებით მიიღებს 45 ათას ტრაქტორს და მრავალ სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანას.

საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით ჩეხოსლოვაკიაში მოეწყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რომელთა რაოდენობა ჯერ კიდევ 1951 წელს 505 უდრიდა. გასულ წელს რესპუბლიკამ სერიოზული წარმატებები მოიპოვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ქსელის გადიდებაში. შეიქმნა მუდმივი საწარმოო ბრიგადები და განმტკიცდა შრომის დისციპლინა. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ტექნიკური კულტურების წარმოება, მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული მეცხოველეობის დარგში.

გადიდდა კაპიტალური მშენებლობა. მწყობრში ჩადგა ბევრი საწარმოო, ფაბრიკა და ქარხანა. გაფართოვდა საბინაო მშენებლობა. მშრომელებმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მიიღეს 5.000 ახალი ბინა.

ჩეხოსლოვაკიის საწარმოებში ფართოდ ინერგება საბჭოთა ნოვატორების შრომის მოწინავე მეთოდები. ქ. გრადეც კრალოვში ქარხანა „ძლევამოსილი თებერვლის" მოწინავე მუშები წარმატებით იყენებენ საბჭოთა ჩქაროსანი ხარატის ვასილ კოლესოვის მეთოდებს. ამ მეთოდების გამოყენებით შრომის ნაყოფიერება აქ 6-8 ჯერ გადიდდა. თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა ქალაქ ტრჟინეცის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ნოვატორმა კ. ჰაშეკმა, რომელმაც შეასრულა მე-13 წლიური ნორმა და ახლა პროდუქციას იძლევა მესამე ხუთწლედის მეოთხე წლის ანგარიშში. მისი რაციონალიზატორული წინადადებანი განხორციელებული და დანერგილია სხვა მეტალურგიულ საწარმოებშიც.

ეს ბრწყინვალე წარმატებები ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ მოიპოვა საბჭოთა კავშირის უანგარო, ძმური დახმარებით.

მომხდარმა საზოგადოებრივმა და ეკონომიკურმა გარდაქმნებმა, სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობამ გამოიწვია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შეუნელებელი აღმავლობა. 1952 წლისათვის ომამდელ დონესთან შედარებით მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი გადიდდა 26 პროცენტით, ხოლო გლეხთა შემოსავალი 19 პროცენტით. სოციალისტური ინდუსტრიის ბაზაზე სახალხო მეურნეობის განვითარებამ ამ ქვეყანაში სამუდამოდ მოსპო უმუშევრობა, უზრუნველყო საბინაო და კულტურული მშენებლობის სისტემატური ზრდა, ფართო მოხმარების საქონელზე ფასების თანმიმდევრული შემცირება.

დიდი მიღწევებია მოპოვებული მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლებაში. მშრომელთა ახალგაზრდობისათვის ფართოდ გაიღო უმაღლეს სასწავლებელთა კარები, წარმატებით მიმდინარეობს წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში სულ უფრო და უფრო ფართოვდება თეატრების, კინოების, კლუბების, კულტურის სახლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებო დაწესებულებათა ქსელი. 1938 წელს სლოვაკიაში იყო მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობდა 2.270 სტუდენტი. ამჟამად სლოვაკიაში არის 8 უმაღლესი სასწავლებელი. მიმდინარე სასწავლო წელს უმაღლესი სასწავლებლების 28 ფაკულტეტზე სწავლობს 11.158 სტუდენტი. განსაკუთრებით ფართო გაქანება მიეცა ტექნიკური კადრების მომზადებას.

ჩეხოსლოვაკიაში 14 ათასზე მეტი სახალხო ბიბლიოთეკაა, თითქმის თვითეულ სოფელში შექმნილია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრი. სახალხო ბიბლიოთეკების განვითარება ჩეხოსლოვაკიაში მოწმობს ჩეხოსლოვაკიის სახალხო კულტურული დონის ზრდას.

ჩეხოსლოვაკიაში არნახულად ვითარდება ლიტერატურა და ხელოვნება. ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფიამ მოკლე ხნის განმავლობაში შექმნა მთელი რიგი მაღალიდეური და პოლიტიკურად მახვილი ფილმები, რომლებშიც ასახულია ჩეხი და სლოვაკი ხალხების გმირული ბრძოლა ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ და ომისშემდგომ წლებში გაწეული თავდადებული შემოქმედებითი შრომა.

კულტურის საერთო აღმავლობაში უდიდეს როლს ასრულებს ბეჭდვითი სიტყვა. იყენებენ რა, საბჭოთა კავშირის გამოცდილებას, ჩეხოსლოვაკიაში ყოველწლიურად აფართოებენ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემას. მასობრივად ვრცელდება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოები. მარტო 1945-1950 წლებში ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები გამოიცა ხუთი მილიონი ცალი საერთო ტირაჟით.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაზე ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა კულტურა, იზრდება და მტკიცდება ეკონომიკური და კულტურული კავშირი საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის. სსრ კავშირის ძმურ დახმარებასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობით, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების გამოყენებით ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. აი ამიტომ ჩეხოსლოვაკიის ხალხი საბჭოთა კავშირის უსაზღვროდ მადლიერია. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ბელადი კლემენტ გოტვალდი ამბობდა: „... ჩვენ ვიცნობთ ჩვენს მეგობრებს, რომელთა იმედი შეგვიძლია ყოველთვის გვქონდეს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის ჩვენი დიდი გამანთავისუფლებელი და მოკავშირე — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ჩვენი დიდი მეგობარი გენერალისიმუსი სტალინი. ჩვენ ვიცით, თუ რას უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა კავშირს, ჩვენ ვიცით, ვინ დაგვიჭირა მხარი მიუნხენის დროს, საბედისწერო 1939 წლის მარტის დღეებში, ოკუპაციისა და ომის მრისხანე წლებში. ჩვენ ვიცით, ვინ დაღვარა ყველაზე მეტი სისხლი, რათა თავისუფლება დაებრუნებინა ჩვენთვის ღირსსახსოვარ 1945 წელს. ჩვენ ვიცით, ვის უნდა ვუმადლოდეთ უანგარო დახმარებას რესპუბლიკის მშენებლობასა და ომისშემდგომ სიძნელეთა დაძლევაში. ხოლო რადგან ყოველივე ეს ვიცით, ვერავინ და ვერაფერი დაგვაშორებს საბჭოთა კავშირს".

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და სხვა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მიღწევები მოწმობენ სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ძალების ზრდას, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია დაუღალავად ზრუნავს თავისი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. ყოველდღიურად ამაღლებს მშრომელი მასების რევოლუციურ სიფხიზლეს, ფუშავს შინაურ და გარეშე კონტრრევოლუციის ხრიკებს, განამტკიცებს სახალხო-დემოკრატიულ წყობილებას, განუხრელად იბრძვის მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. ჩეხოსლოვაკელ ხალხებს მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა სურთ.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა მტკიცე და განუყრელი კავშირი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯთან — საბჭოთა კავშირთან ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების მტკიცე საწინდარია.

ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი. სმოლნის ფასადი. →
ფერადი ფოტო ი. ბერლინერისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსული მხატვრობა და ქანდაკება

## საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი დამსახურებულად ამაყობს მის ფონდებში არსებული რუსული სახვითი ხელოვნების ნიმუშებით, რომელთა დიდი ნაწილი (უმთავრესად გრაფიკული ნამუშევრები) ტექნიკური პირობების გამო ჯერჯერობით არ არის შესული მუზეუმის მხატვრული ფონდების მუდმივ გამოფენაში. მიუხედავად ამისა, დაახლოებით 300 კვ. მეტრის ფართობის შემცველ 6 ნათელ დარბაზში ფართოდ არის წარმოდგენილი XIX — XX საუკ. რუსული რეალისტური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები.

გამოფენაზე მაყურებლის ყურადღებას იპყრობს გამოჩენილი რუსი რეალისტი მხატვრების ვ. ა. ტროპინინის, პ. ა. ფედოტოვის, ვ. გ. პეროვის, ი. კ. აივაზოვსკის, პ. პ. ჩისტიაკოვის, ი. ნ. კრამსკოის, ი. ი. შიშკინის, ვ. ი. სურიკოვის, ი. ე. რეპინის, ვ. ა. სეროვის და სხვა მრავალთა ფერწერულ-მხატვრული ტილოები.

მუზეუმში იმთავითვე არსებული ძირითადი ფონდის შესავსებად 1939 — 40-იან წლებში სახელმწიფო რუსულმა მუზეუმმა საქ. სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გადმოსცა საკმაოდ დიდი რაოდენობის რუსული მხატვრული ნიმუშების კოლექცია; ამის გარდა ადგილობრივ შეძენილ იქნა მრავალი ექსპონატი. მათ შორის აღსანიშნავია ზოგიერთი ისეთი ნამუშევარიც, როგორიც არის ამჟამად გამოფენაზე წარმოდგენილი ვ. ა. სეროვის (1865 — 1911) საუკეთესო ფერწერული ტილო „მოროზოვის პორტრეტი" და ი. ე. რეპინის (1844 — 1930) „პორტრეტი უცნობი ქალისა" (აკვარელი). ამ ორ ნამუშევარში ორივე მხატვარმა, თუმცა ტექნიკურად სრულიად განსხვავებული გზით, შესძლეს გადმოეცათ ადამიანის სულიერი ცხოვრება და მისი ინდივიდუალური სახე.

სახელმწიფო რუსულ მუზეუმიდან გადმოცემულ ნამუშევართაგან მრავალს დაეთმო ადგილი ექსპოზიციაში. მათ შორის აღსანიშნავია ხატვის უბადლო ოსტატისა და პედაგოგის პ. პ. ჩისტიაკოვის (1832 — 1919) „ნატურა", რომელიც აკადემიურ ნამუშევართა კარგი მაგალითია და ახალგაზრდა მხატვართათვის საყურადღებო ტილო.

XIX საუკუნის მოწინავე იდეებით გამსჭვალული მხატვრის „პერედვიჟნიკების" ხელმძღვანელის ი. ნ. კრამსკოის (1837 — 1887) ხელს ეკუთვნის ოსტატურად შესრულებული „ქალის პორტრეტი", რომელიც კარგად ხსნის ხელსაქმით გართული ქალის ფსიქოლოგიურ ხასიათს. ქალი საკერავს ჩასცქერის ფიქრებში გართული და მაყურებელი მისი მარჯვენა ხელის მოძრაობასთან ერთად თითქოს უხილავ ნემსსა და ძაფსაც ხედავს.

თავისი დროის ქალაქის ცხოვრების უბადლო ამსახველი მხატვარი კ. ე. მაკოვსკი (1846 — 1898) თავის ნამუშევარში „დაილალა", გაგრძნობინებთ, თუ რამდენად დაიქანცა სკამზე ჩამოძინებული გოგონა სამუშაოს საძებრად ქალაქის ქუჩებში სირბილით.

პორტრეტებისა და ჟანრული სურათების გარდა გამოფენაზე არის პეიზაჟებისა და ბატალური სცენების ამსახველი ტილოები ი. კ. აივაზოვსკის (1817 — 1900), ა. პ. ბოგოლიუბოვის (1824 — 1896), გ. გ. ჩერნეცოვის (1801 — 1865), ი. ი. შიშკინის (1831 — 1898), ი. ს. ოსტროუხოვის (1858 — 1929), ბ. პ. ვილევალდეს (1818 — 1903) და სხვ. გამოჩენილი რუსი მხატვრების.

XIX საუკუნის რუსულ მხატვრულ ნამუშევართა შორის ფერწერასთან ერთად ვხვდებით რუსული ფაიფურის შესანიშნავ ნიმუშებს და აგრეთვე ქანდაკებებს. მათ შორის ოთხი ქანდაკება დიდ რუს მოქანდაკეს მ. მ. ანტოკოლსკის (1843 — 1902) ეკუთვნის.

საჭიროა გავიხსენოთ აგრეთვე დაუმსახურებლად მივიწყებული რუსი მოქანდაკის პ. პ. ტრუბეცკოის სახელიც, რომლის ნამუშევარი „ამაზონკა" (1896 წ.) ყურადღებას იპყრობს გამოფენაზე. „ამაზონკა" ერთ-ერთი მისი საუკეთესო ნამუშევართაგანია. იგი ერთ მთლიან კომპოზიციაში კარგად გადმოსცემს ცხენისა და მასზე თავისუფლად მჯდომი ქალის მოხდენილ ფიგურას.

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თვითეული განყოფილება, მათ შორის რუსული ხელოვნებისაც, გამუდმებით მდიდრდება ახალ-ახალი ექსპონატებით, რომლებიც შემდეგში კიდევ უფრო შეავსებენ და სრულყოფილ სახეს მისცემენ მუზეუმის მხატვრული ფონდების მუდმივ ექსპოზიციას.

**ბ. ჯაფარიძე**

**რედაქციისაგან:**

**„დროშის" რედაქცია ამით იწყებს და მომავალში სისტემატურად დაბეჭდავს საქ. სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამოფენილ რუსული მხატვრობისა და ქანდაკების ნიმუშების რეპროდუქციებს.**



მ. ანტოკოლსკი. მეფისტოფელი.

მ. ანტოკოლსკი. ქალის პორტრეტი.



პ. ტრუბეცკოი. ამაზონკა.





ელექტრონული ბიბლიოთეკა

მ. ანტოკოლსკი. იოანე მრისხანე.

მ. ანტოკოლსკი. მემატიანე ნესტორი.






ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გაზაფხულის დილა

**რევაზ ჯაფარიძე**

კარლო სირაძის პაწია ეზოში საკენკს მისეოდნენ ნაადრი ჭრელჭრულა ვარიები. სალორის ღია კართან ყურცქვიტა ფინია ჩასაფრებულიყო და გახევიერებულ დედალორს ულრენდა. ეკალმოვლებული ხიმის გადაღმა ფერმის ძროხებმა გაიარეს. კლდეკარის საძოვრებისაკენ მიერეკებოდნენ ჩანთიახი მწყემსი ბავშვები. კუნტრუშა, შარშანდელი უშობლების ზმუილს ეჯვნების გაბმული ჟღარუნი ერთვოდა.

უცებ მოტორის თუხთუხი გაისმა. ფინიამ თავი მიანება ღრუტუნას და ჭიშკრისაკენ მოჰკურცხლა. ახლადგამომწვარი აგურით დატვირთულმა მანქანამ ჩაიარა. ძაღლი ეზოს გარედ გამოიჭრა, ყეფით დაედევნა მანქანას, მაგრამ ამ უკანასკნელმა სიჩქარე შეცვალა, გზაზე ბოლი დააყენა და გულადი მყეფარიც ამ ბოლში გახვია.

ორი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ მანქანამ თვრინის აღმართი აათავა და სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ჭიშკართან გაჩერდა. კაბინიდან ტყავის ქუდიანი ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა, შოფერს მადლობა გადაუხადა და ჭიშკრისკენ გასწია.

მანქანას აღარ დაუცდია, ერთი კიდევ ათუხთუხდა და ჯიყჯიყით გადავიდა ყამირში. აქვე, გზისპირას კოლმეურნეები მუშაობდნენ. გრძელი, ოთხკუთხი თხრილები გაეჭრათ. სამი თუ ოთხი ახალგაზრდა მანქანისაკენ წამოვიდა აგურის გადმოსაცლელად.

აივნიდან კანტორის დარაჯმა გადმოიხედა.

— გამარჯობა, ძია კაცო! — ასძახა ტყავის ქუდიანმა ახალგაზრდამ.

დარაჯს ახლადდაჩეხილი შეშა ამოეღლიავებია. ალბათ ცეცხლის დასანთებად მიდიოდა. შორიდან სტუმარი ვერ იცნო. ისევ უკან გამობრუნებას აპირებდა, მაგრამ ახლა შეშა მორიდებით დააწყო და ნიჩაბივით ხელები ულვაშებზე გადაისვა.

— ამხანაგი ყანჩაველი მინდა, — ისევ ასძახა მას ახალგაზრდამ, — მოსულია?

— სიმონი არ გახლავს, გენაცვალე, — დატკბა კანტორის დარაჯი, — აგერ ნახევარი საათის წინ გამოიარა, მგონი გოგილას წყაროს ვენახებში უნდა იყოს წასული. დღეს წუნწუხი შეაქვთ და... უკაცრავად, თქვენ გაფრინდაშვილი არ ბრძანდებით?

გოგილას წყაროს ვენახები სამხრეთის მხრიდან აკრავდა კანტორის მოშორებით აღმართულ სერს, რომელსაც ძველთაგანვე წალკოტს ეძახდნენ. წალკოტის თხემზე თხელი ნისლი იდო. ნისლში ბუნდოვნად მოჩანდა მეფრინველეობის ფერმის წვრილფეხობა, რომელიც შარშანდელი კალოების სხვადასხვა მხარეს მოსდებოდა.

კანტორის დარაჯს დოინჯი შემოედგა. კეთილი ღიმილით გაჰყურებდა ჭიშკრისაკენ აუჩქარებლად მიმავალ ჭაბუკს. „რა ახალგაზრდაა და უკვე მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურის სწავლულ მდივნად ითვლება, — ფიქრობდა იგი, — ჯერ ხუთი წელიც არ გასულა, უმაღლესი დაამთავრა. ამბობენ, სულ მალე დისერტაციას დაიცავსო. შეხედავ და ვითომც აქ არაფერი! მეცნიერს არაფრით არა ჰგავს. არც თავმოკაუჭებული ყავარჯენი უჭირავს და არც ოქროსძეწკვიან სათვალეებს ატარებს. თავი კი ვინ იცის რა ფიქრებით აქვს გამოტენილი!"

იმ ახალგაზრდას კი აზრადაც არ მოსვლია, რომ მასზე ასე მსჯელობდნენ. ერთი ისკუპა, ჭიშკართან დამდგარ გუბეს გადაახტა და გზაზე გავიდა. ქვემოდან აჩეჩა-ურმების ქარავანი მოჭრიალებდა. მეწინავე ურმის ახმახ მეხრეს ჩოხისმაგვარი პალტოს კალთები ბალთიან ქამრის ქვეშ ამოეკეცა და მძიმედ მოაბიჯებდა. გაფრინდაშვილმა იცნო სავლე ყანჩაველი და შორიდანვე მოაძახა:

— საით ეზიდებით, ბიძია, ამ ნაკელს?

— გოგილას წყაროსაკენ, მამა და შვილო, — მშვიდად უპასუხა მეურმემ და ხარებს დასჭყივლა: — ხიო, წიქარა! ჰაიტ, შე შერცხვენილო!

— თავმჯდომარე იქ არის თუ იცი?

— დილით იქ იყო, ახლა კი რა მოგახსენო, — ამ სიტყვებით მეურმემ მშენებლობისაკენ გაიხედა და როგორც კი თვალი შეასწრო აქეთ მომავალ კიტელიან ახალგაზრდა კაცს, ისევ გაფრინდაშვილს მიმართა: — საბჭოს თავმჯდომარე აგერაა. ამას ეცოდინება სიმონის ასავალ-დასავალი.

კიტელიანმა გზა გადაუჭრა სავლე ყანჩაველის ხარებს.

— აკი სიღნაღისკენ იყავი? — მეგობრულად ჰკითხა მან აგრონომს და ხელი ჩამოართვა.

— ჩამოვედი.

— გურჯაანელები აპირებენ ჩამოსვლასო, მართალია?

— მართალია. შეჯიბრებაში გვიწვევენ. ხელშეკრულების გასაფორმებლად ჩამოვლენ. ეს რა, აშენებთ რასმე?

— ვაშენებთ, — თქვა თავმჯდომარემ და გვერდიდან გახედა ვაჟკაცის სიმაღლეზე ამოთხრილ ბალავერს, — ზოგიერთი ჭირიც მარგებელიაო. უამინდობაში ამის ამოთხრა მაინც მოვასწარით. აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები ფარდულისთვის გვინდა. ერთ თვეში მოვრჩებით.

შარაზე უკანასკნელმა ურემმაც გაიარა. ამ დროს გაქაფული ცხენი მოაგდო კისერჩამყნილმა ტანსრულმა კაცმა.

— კარგია, — თქვა გაფრინდაშვილმა, მაგრამ თვალი მოახლოებულ ცხენოსანზე ეჭირა. მხედარი დაქვეითდა. ხაკისფერი ქუდი გაოფლილ კეფაზე მოიგდო და სულმოუთქმელად მიაყარა საბჭოს თავმჯდომარეს:

— აბა, შოთა, მანქანა გამოიყვანონ გზაზე. საჩქაროდ! ზესტაფონში მივდივარ.

— ზესტაფონში? ზესტაფონში კი არა, აგურია ამოსატანი ქარხნიდან. სამი გზალა დარჩა.

— რას ამბობ, კაცო, რას?! — გაცეცხლდა მოსული, — აგური კი არა, დანა და ყელი ერთად გვაქვს, ეე, ალიოშა, გამოიყვანე-მეთქი, მანქანა. არ გესმის ჩვენი ლაპარაკი? — მერე ისევ საბჭოს თავმჯდომარეს მოუბრუნდა კოლმეურნეობის საწყობის გამგე გიორგი არსენაშვილი და განაგრძო: — სოფლმომარაგების საწყობიდან ოთხი ტონა სასუქი მაქვს გამოსატანი. ეს სასუქი, რომ საღამომდე არ ჩავაბარო ბრიგადირებს... მაგრე, წინ წააყენე, ბიჭო! ვინ არის მანდ?! ეს ცხენი გამომართვით, თქვე ეშმაკის კერძებო! მიყურე ახლა! პატარა გაატარ-გამოატარე ეზოში. ხომ ხედავ, გაოფლილია! — ყვირილზე მორბენილ ბავშვს მიუგდო გიორგიმ და შოფერს გვერდით მიუჯდა.

გოგილას წყაროს ვენახები ხელისგულივით მოჩანდა წალკოტის სერიდან. ვენახს ორ დიდ ნაწილად ჰყოფდა ათიოდე მეტრის სიგანის გრძელი, გამწვანებული მინდორი. მინდვრის შუაგულში ლერწის კონები დაემწკრივებიათ, ვენახში თავსაფრიანი ქალები გაფანტულიყვნენ. წალამს აგროვებდნენ.

შოთამ და აგრონომმა გაფრინდაშვილმა ლერწის კონებთან შენიშნეს ქოკის ქუდიანი კაცი, რომელსაც ხაკისფერი კიტელი ეცვა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სიმონ ყანჩაველი.

აგრონომი სათავცემო საქმეზე იყო მოსული. მან გზაშივე გააცნო შოთას თავისი მოსაზრება. საქმე ეხებოდა თვით სოფლსაბჭოს თავმჯდომარის მამას მოხუც კარლო სირაძეს, სოციალისტური შრომის გმირს. გასულ წელს კარლოს 100 ცენტნერი ყურძენი მოეყვანა გაპიროვნებული ნაკვეთის თითოეულ ჰექტარზე. რადგანაც ალავერდის ვენახები შარშან გვალვამ დააზარალა, ეს ციფრი სარეკორდო აღმოჩნდა. წელს კარლო სირაძე სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მთელს კავშირში ცნობილმა მევენახემ სოციალისტური შრომის გმირმა ევგენ ჭანკვეტაძემ.

კარლომ გადასწყვიტა ვაზის უმაღლეს დატვირთვისათვის მიეღწია, რაც თავის მხრივ ვენახის ფორმის მთლიან შეცვლას გამოიწვევდა. ეს ეწინააღმდეგებოდა საერთო კრებაზე წინასწარ მიღებულ დადგენილებას. დადგენილება უნდა გადასინჯულიყო. როცა გამგეობაში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, კარლომ საცდელი სადგურის დირექციას მიმართა რჩევისა და დახმარებისათვის. აგრონომი გაფრინდაშვილიც სწორედ ამის თაობაზე იყო მოსული. თვითონ ის დისერტაციას წერდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში ყურძნის მოსავლიანობის გადიდების თემაზე და კვლევით მუშაობაში სწორედ იმ დასკვნამდე იყო მისული, რა დასკვნამდეც მოხუცი სირაძე მივიდა.

შორიდანვე მოესმათ ხმამაღალი ლაპარაკი. თუშურქუდიან მაღალმაღალ მოხუცს, რომელსაც ჭაღარა წვერი პირწმინდად ჩამოეფხიკა, მარჯვენა ხელში სასხლავი მაკრატელი ეჭირა და თავმჯდომარის დასანახავად ერთი თითის დადებაზე ჭრიდა ლერწის თავებს.

მოსულნი მიუახლოვდნენ და მშვიდობის დილა უსურვეს დამხვდურებს. პირჩამოფხეკილმა მოხუცმა თავი უკმაყოფილოდ ჩაიქნია და ლერწის წვერს უჩქმიტა.

— გაყინავსო! — თითქმის გაჰყვიროდა მოხუცი, — ადამიანისა არაფერი გესმით. აგრონომები ვართ და უკეთ ვიცითო. კი, ბიძია, კი, იცით, მაგრამ ჩვენც დაგვიგდეთ ყური ხანდახან. ვაზი შემოდგომაზე უნდა გაისხლას. მე ახლა სხვა საქმეს უნდა ვაკეთებდე, მაკრატელს კი ვუწკაპუნებ ვენახში.

აგრონომი გაფრინდაშვილი კარგად იცნობდა ამ თუშურ ქუდიანს. ეს იყო სოციალისტური შრომის გმირი ევგენი ჭანკვეტაძე. ევგენი ისეთი გაცხარებით განაგრძობდა მტკიცებას და თანაც იმგვარი სისწრაფით სხლავდა ვაზს, რომ ძნელი იყო ერთბაშად შეკამათებოდით.

— გაყინავს! რა გაყიხავს, — გაიძახოდა იგი, — თუ გაყინავდა, რატომ არ გაყინა ეს! — ნოემბერში საცდელად გასხლულ ვაზზე მიუთითა მან.

— წელიწადი დაიჭირა იმისთანა, — თავი იმართლა პირმრგვალმა კაცმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— წელიწადიო! — დამცინავად გაიმეორა ჭანკვეტაძემ, — მაშინდლური ყინვები თუ დაიჭირა ღვინია რომ გადაიჩეხა, ვაზსაც მოყინავს და კაკალსაც!

სიმონ ყანჩაველის წვრილი ცისფერი თვალები ახლა გაფრინდაშვილს შესცქეროდნენ. უბიდან, მან, ოთხად მოკეცილი რაიონული გაზეთი ამოიღო და თქვა:

— წავიკითხე.

სიტყვა ეხებოდა საქარის საცდელი სადგურის აგროტექნიკოსის რობაქიძის წერილს, რომელიც ამ უკანასკნელის მიერ ოთხი წლის მანძილზე ჩატარებულ ცდებს ასახავდა. რობაქიძე აღწერდა ოლიხნარის წესით დაყენებული ვენახის ავკარგიანობას და მთავარ დაწოლას ახდენდა ვაზის კვების არის სიდიდეზე, რაც მისი ცდების მიხედვით, ორ კვადრატულ მეტრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. თითქმის ამავე აზრზე იდგა კარლო სირაძეც, მაგრამ ამას კიდევ უფრო გაბედული წინადადება შემოჰქონდა. იგი მოითხოვდა ოლიხნარის ტალავერად გადაკეთებას, სადაც კი ძველი ვენახების განლაგება ამის საშუალებას იძლეოდა.

— მოგეწონათ? — გამომცდელად ჰკითხა გაფრინდაშვილმა თავმჯდომარეს.

ყანჩაველმა არაფერი უპასუხა. გაზეთი ისევ გულის ჯიბეში შეინახა და ნაპირ-ნაპირ გაჰყვა ვენახს.

ოდნავ შეფერდებაზე თუთის გადაბელილი ხეები გასდევდნენ მინდორს. ნაპირა თუთებთან ნედლი სარის ხორები იდგა. უწვერულვაშო, თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილი ხორაზე ასულიყო და ძირს ყრიდა ახლად მოტანილი სარის კონებს.

თავმჯდომარე თანამგზავრებს მიუბრუნდა და თქვა:

— რომ ვერ გაუძლოს მიწამ?

— მოვლის საქმე არ არის? — გაისმა უცებ მინდვრის მარჯვენა მხარეს და ჯერ კიდევ გაუსხლავ ვაზებში მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი გამოჩნდა. საცრისოდენა კეთილი თვალები მოსულთათვის მიეპყრო და ოდნავ მაღალფარდოვნად იღიმებოდა. თუკი ოდესმე მისი გარეგნობის შესახებ რაიმე გსმენოდათ, ძნელი არ იყო გეცნოთ სოციალისტური შრომის გმირი კარლო სირაძე.

უსიტყვოდ შევიდნენ ვენახში. საფერავის ჯიშის ოლიხნარი წარმტაცი სანახავი იყო. მოზვრის სიმაღლე დაკლაკნილი. ვაზებიდან ქოლგის კალთებად გადმოფენილიყო ჯერ კიდევ გაუსხლავი შარშანდელი ლერწი. ოციოდე წლის წინათ გაშენებულ ვრცელ ვენახს შეთხელება დასტყობოდა. აქა-იქ საწინდარი გადაეწვინათ. მწკრივსა და მწკრივს შორის ნაპადი გაიშლებოდა.

— აქამდე ორ სანაყოფეს და ექვს სამამულეს ვტოვებდი, ბიძიკო, — აგრონომ გაფრინდაშვილს მიმართა მოხუცმა სირაძემ, — აწი მე ვიცოდე და ამ ვენახმა. ექვს სანაყოფეს დავტოვებ. აი, აქ გადავაწვენ ხარიხაზე, რომ ყურძნის სიმძიმემ მავთული არ ჩამომიგლიჯოს. მე ვიცოდე და ამ ვენახმა! მამაშვილობას, ნუ გაგვიჟინდები! მერე თუ გინდა მთელი საფრანგეთი გამომეჯიბროს. აჰა ხედავ ლერწს? ცერის სიმსხოა, ეს დალოცვილი.

მახლობლად წვერწამახული სარის კონები გაატარეს. ის პირტიტველა ჭაბუკი ახლა ძირს ჩამომხტარიყო და დახეული ტომრიდან კანაფის შეკვრებს იღებდა. მოხუცმა სირაძემ თვალი მოიჩრდილა და დაიძახა:

— რად გინდა, ბიჭო, კანაფი?!

— ბოლოზე მავთული გააბეს, ბაბუ. ლერწს მივაკრავ.

— ერთი, უკაცრავად! — გაჯავრებით თქვა მოხუცმა და თუთებისკენ წავიდა. გზადაგზა, ნოტიო მიწაზე ვეება ტერფის კვალი რჩებოდა. ერთიორად მაღალი და **მძლავრი მოჩანდა იგი ამ დიდებული** ვენახის ფონზე. თავმჯდომარეები გარინდებული იდგნენ და იმ კვალს გაჰყურებდნენ, რომელიც ის-ის იყო მოხუცმა დასტოვა.

— ასეა, ა, — თქვა უცებ ყანჩაველმა, — მოვლენ, გთხოვენ და სანამ პასუხს მოასწრებდე, მაგათ თავიანთი საქმე განაღდებული აქვთ.

მწარე მსხალთან სატვირთო მანქანა გაჩერდა. სოფლმომარაგებიდან სასუქი მოიტანეს.

ზესტაფონი, აპრილი.



← ლენინგრადი. პეტრე I-ის მონუმენტი.
ფერადი ფოტო დ. ბალტერმანცისა.



ს ა თ ა ფ ლ ი ა. სტალაქტიტების გვირაბში შესასვლელთან.

# სათაფლია

**ნ. ნადირაძე**

ქუთაისის სიძველეების გასაცნობად ჩამოსული, უპირველეს ყოვლისა იკითხავს ამხ. პეტრე ჭაბუკიანს. ეს გახლავთ განათლებული ადამიანი, პედაგოგი უმაღლესი ცოდნით, რომელიც ქართველი ხალხის ისტორიულ ძეგლების დაცვას ემსახურება. სისპეტაკე, დაუშრეტელი ენერგია, უანგარობა და სრული ინდიფერენტიზმი თავის გამოჩენისა და პირადი კეთილდღეობისადმი — აი რა მხიბლავდა და მხიბლავს ამ უბრალო, თავმდაბალ ადამიანში.

შევდივარ დაწესებულებაში, სადაც ამხ. პეტრე მუშაობს სიძველეთა დაცვის ინსპექტორად. მასთან ერთად ვაწყობთ სათაფლიაში წასვლისა და ფოტოგადაღების გეგმას.

დანიშნულ დღეს, დილით, ჩვენ მივემართებით სათაფლიისაკენ. საბარგო მანქანა სტალინის ქუჩიდან წყალტუბოს შარაგზამდე გადის და სათაფლიისაკენ უხვევს. ნათელი დღეა. მარცხნივ ჩვენს თვალწინ იშლება ათასფერად აჟღერებული რიონის ველი; მას აქაიქ შეთოვლილი მცირე კავკასიონის ქედის მწვერვალები გვირგვინივით უმკობენ ჰორიზონტს. ბუნების სიტურფის მრავალსხვაობით მდიდარ საქართველოში უმთავრესად ორი ველი გამოირჩევა თავისი მშვენიერებით. ეს გახლავთ ალაზნისა და რიონის ველები. ისინი არ გვანან ერთმანეთს. გრანდიოზულ და დიად სანახაობას წარმოადგენს ალაზნის ველი სიონალის მაღლობიდან, რომელსაც იგი იფარება შირაქიდან შემოჭრილი ზღვასავით ცისფერი ჯანღით, რომელიც მას ფანტასტიურ ფიორდად აქცევს. მზით ალხივოსნებულ ჯანღს კავკასიონის მოოქროვილი მწვერვალები დაჰყურებენ ზევიდან, თითქოს დარაჯად უდგნენ ამ ტურფა და მდიდარ მხარეს, რიონის ველი უფრო რბილი ხაზებით და ნაზი ფერებით წარმოგვიდგება. იგი უფრო ვრცელია და ფართო კავკასიონის მცირე და მთავარ ქედებს შუა მოქცეული. შავი ზღვის სურნელებით გაჟღენთილი საამური ნიავი დანავარდობს ამ ველზედ და აბიბინებს ჩაის პლანტაციებით და ციტრუსებით დაფარულ მდელოს. ზამთარი აქ უფრო რბილია და ხანმოკლე. აქ უფრო ადრე იწყება გაზაფხული შაშვების ოდნავ სევდიანი სტვენით და იისფერი საღამოებით, რომელნიც ნეტარებასა და მშვიდობას ჰგვრიან ადამიანის გულს...

მანქანამ სათაფლიის სერს მიაღწია. ყველანი, გარდა იმ პირთა, რომელთაც ევალებათ საქმის მოწესრიგება გვირაბის გაშუქებისათვის, ვტოვებთ მანქანას, რომ დინოზავრების ნაკვალევი დავათვალიეროთ. რაოდენი ძიებისა და სიყვარულის შედეგს წარმოადგენს ყოველივე ის, რასაც ჩვენს ირგვლივ ვხედავთ! ამხ. პეტრე ჭაბუკიანის მიერ 1924 წ. ქვის ეპოქის ადამიანთა სადგომის „თეთრა მიწასთან“ აღმოჩენის მომენტიდან სათაფლიის გვირაბისა და დინოზავრების ნაკვალევის მის მიერვე აღმოჩენის მომენტამდე დიდმა პერიოდმა განვლო. ეს მთელ ეპოქას წარმოადგენს ამ ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც ხასიათდება შეუნელებელი ბრძოლით და დაუცხრომელი ენერგიის გამოვლინებით. რამდენიმე ათეული წლის წინათ აქ არაფერი არ იყო, გარდა საქონლის მიერ გათელილ და გატიალებულ ჩირგვნარისა — ამხ. პეტრეს ინიციატივით ეს მიდამოები გამოცხადებულ იქნა ნაკრძალად და ახლა აქ სამასი ჰექტარის ფართობზე შესანიშნავი ნორჩი ტყე შრიალებს. ძელქვა, ბზა, ურთხელი, წაბლი, რცხილა და მუხა ხარობენ აქ და ახარებენ ადამიანის თვალს. ტყე იმდენად დაცულია და მოვლილი, რომ გაკვირვებას იწვევს. აი დინოზავრების ნაკვალევიც... მაგრამ ჩვენამდე აქ უკვე სხვები მოსულან. ეგ წყალტუბოდან ჩამოსული ექსკურსანტები არიან. ვათვალიერებთ დინოზავრების ნაკვალევს. პეტრე იძლევა ახსნა-განმარტებას ამ ნაკვალევთა უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ და გვიამბობს, თუ როგორ შესძლო მან ამ ნაკვალევის აღმოჩენა. 120-125 მილიონი წლის წინათ აქ ზღვის ნაპირი იყო, ზღვის უბე. მთელი სივრცე, რომელსაც თქვენ ხედავთ დასავლეთით და სამხრეთით დაფარული იყო ზღვით. ადამიანი კიდევ არ არსებობდა დედამიწაზე და მაშინ აი,

აქ, ეს, ახლა უკვე გადაშენებული გიგანტები დასეირნობდნენ და საკვებს დაეძებდნენ...

120 მილიონი წლის წინათ... როდესაც დედამიწაზედ კიდევ ადამიანი არ არსებობდა!.. ვის შეუძლია გაზომოს დროის ეს თავბრუდამხვევი უფსკრული!

ნაკვალევის დათვალიერებისა და ფოტოგრაფირების შემდეგ სწრაფი ნაბიჯით მივემართებით სათაფლიის გვირაბისაკენ, რომელიც აქედან დაახლოებით ნახევარი კილომეტრით არის დაშორებული.

გვირაბში შესასვლელთან, რომელიც ამხ. პ. ჭაბუკიანის ინიციატივით დახშულია ვებერთელა რკინის კარებით (სწორედ ამან გადაარჩინა დამტვრევისაგან გვირაბის სტალაქტიტები და სტალაგმიტები), უკვე მუშაობაა გაჩაღებული. ძრავის გუგუნი ერთდება წყაროს ჩუხჩუხს. ეს ის წყაროა, რომელმაც რამდენიმე ათეული ათასი წლის მანძილზე გათხარა ეს გვირაბი ამ კლდოვან მთაში და შიგ ფანტასტიური დარბაზები გააშენა. ყველანი ვიწყებთ მუშაობას, რათა დავეხმაროთ ტექნიკოსებს მავთულის გაშლაში და გაბმაში. გულის ცახცახით შევდივარ გვირაბში. წინ ამხ. პეტრე მიგვიძღვება ჩირაღდნით ხელში. ქვიანი და დაქანებული ჩასასვლელი საფეხურებით მალე ფართო კორიდორად იქცა. აქა-იქ მაღალ თაღებიდან წვეთავს. გვერდით ცივი წყაროს ჩხრიალი გვესმის. ჩირაღდნის ალის ლაპლაპი ფანტასტიური ლანდებით მოსავს ამ ზღაპრულ სანახაობას. აი პირველი დარბაზიც გიგანტური სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით. მეორე დარბაზიც ასეთივე გრანდიოზული და გასაოცარია. ერთი კუთხე ამ დარბაზისა ქაჯეთის ციხის წარმოდგენას ჰბადებს. იგი თითქოს ზღაპრული ჯადოქარის ხელით არის გაშენებული. სტალაქტიტების და სტალაგმიტების მრავალგვარობა სჭრის თვალს. ალაგ-ალაგ ისინი შეერთებულან ფეერიულ ფერებად. აგერ ვეებერთელა სტალაქტიტს, წვეტიანი თავით მთასავით დაქანებულს მაღლიდან ქვევით, ასეთივე ვეებერთელა სტალაგმიტი ეგებება ქვევიდან, ისინი ლამის შეერთდნენ, მაგრამ ამისათვის კიდევ რამდენიმე ათეული საუკუნეა საჭირო... ყველაფერი უკვე მოწესრიგებულია გვირაბის გასაშუქებლად და, აი, პირველად დღიდან ამ გვირაბის გაჩენისა, ელექტროშუქი ანათებს მას. აღტაცებულნი, ჩვენ პირველად ვხედავთ გვირაბსა და მის დარბაზებს სავსებით განათებულს. სულგანაბულნი ვუცქერით ბუნების ამ სიდიადეს' ფოტოკორესპონდენტი აჩქარებით ამზადებს თავის ფოტოაპარატს და იწყებს დარბაზების გადაღებას...



სათაფლია.
სტალაქტიტების გვირაბში.
ფოტო პ. ლუცენკოსი

# ხელოვანი მებაღე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი უჩა ჯაფარიძისა

ქართველი ხალხი ძველთაგანვე მისდევდა მებაღეობას, ვარდ-ყვავილნარით და ვაზის ხეივნებით ამკობდა თავის კარ-მიდამოს. მრავალსაუკუნოვან საბაღო კულტურაზე მეტყველებს ეზოების სადა და მომხიბვლელი სილამაზე, მწვანედ აბიბინებული მოლით, ვაზის ფანჩატურებით, ნიგვზისა და ცაცხვის საჩრდილობელში შეფარებული თლილი ქვის ჩამოსაჯდომებითა და მაგიდებით...

მაგრამ საბაღო კულტურამ ნამდვილ გაფურჩქვნას ხაბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიაღწია, როდესაც საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და პირადად ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ — განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ქალაქების სოციალისტურ რეკონსტრუქციას, ქალაქების გამწვანების საქმეს. ზედიზედ გაშენდა ახალი თბილისის სიამაყე და მშვენება სტალინის სახელობის პარკი, კიროვის სახელობის და ვაკის პარკები, კომკავშირის ხეივანი, სანაპირო სკვერები და ხეივნები.

ამ დიდ მუშაობაში, განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ხელოვან-მებაღეებს. ქართველ მებაღეთა უხუცესი წარმომადგენელია მიხეილ მამულაშვილი. ის ნამდვილი მხატვარია ცოცხალი ბუნებისა, დიდი ოსტატი და მცოდნეა დეკორატიული მცენარეებისა. მ. მამულაშვილი გემოვნებას და მხატვრულ ალღოს იჩენს მცენარეების შერჩევა-გაშენების საქმეში. მას ბავშვობიდანვე იტაცებდა ბუნების სილამაზე. 7 წლისა თუ იქნებოდა, როდესაც პირველად გაახარა ყვავილის ნერგი, მაგრამ მამა, შვილის გატაცებას არაფრად აგდებდა. ოცნებობდა. რომ მიხეილი მოხელედ ან კარგ ხელოსნად გამოეზარდა. რათა შვილისათვის ვარდ-ყვავილნარისადმი ტრფობა გაენელებინა, მამამ იგი კავკავის პროგიმნაზიაში მიაბარა. ბავშვმა იქ ვერ გასძლო და ისევ მცხეთაში დაბრუნდა. როდესაც ილია წინამძღვრიშვილმა პატარა მიხეილის ყვავილებით გატაცების ამბავი გაიგო, როგორც იქნა დაიყაბულა მამამისი პატარა ბავშვის წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში გაგზავნაზე. შემდეგ კი მიხეილი წინამძღვრიშვილმა თბილისში ჩაიყვანა და საბაღოსნო სკოლაში მოაწყო.

მიხეილი იმდენად გატაცებული იყო დეკორატიული მცენარეებით, რომ სულ მალე უკან მოიტოვა თავის თანატოლები და წვერულვაშიანი მოსწავლეებიც... სულ მოკლე ხანში მან ზეპირად იცოდა 1000-ზე მეტი მცენარის სახელწოდება ქართულ, რუსულ და ლათინურ ენებზე. ამიტომაც იყო, რომ მასწავლებლებმა ნება მისცეს უფროსი კლასების მეცადინეობას დასწრებოდა სპეციალურ საგნებში. მიხეილ მამულაშვილმა საბაღოსნო სასწავლებელი დიდი წარჩინებით დაასრულა და მაშინვე დანიშნულ იქნა სასახლის ბაღში მებაღე დეკორატორად. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მიხეილი მცხეთაში დაბრუნდა. აქ რის ვაი-ვაგლახით შეიძინა მიწის ნაკვეთი და დეკორატიულ მცენარეთა სანიმუშო ბაღი გააშენა. მცხეთელმა მამულაშვილმა მთელ მაშინდელ რუსეთში მოწინავე ხელოვან-მებაღის სახელი გაითქვა. მისი საყვარელი „სოლეილ დორ" თბილისში არაჩვეულებრივი ოსტატობით და გემოვნებით შეკრული სურნელოვანი თაიგულებით საზღაპროდ ხდიდა ქართველი მებაღის ხელოვნებას. მამულაშვილის ყვავილები და მათგან შეკონილი თაიგულები, თუ მორთულ-მოკაზმული სადღესასწაულო კალათები საერთო აღტაცებას იწვევდნენ.

90 წელს მიღწეული მოხუცი მებაღე დღესაც ახალგაზრდული გატაცებით შესტრფის ვარდ-ყვავილნარს. მის პატარა ყვავილნარში ქვებიც კი მცენარეებით არიან ამეტყველებულნი; თიხის ჭურჭლის ნატეხებიდან თავს იწონებენ საოცარი სილამაზის და მიმზიდველი ფერადების მთოველი ყვავილები. მ. მამულაშვილი საზღაპრო გუმანით უხამებს ერთმანეთს ხეს, ქვას, ფოთოლსა და ყვავილს. ეს ბუნების მხატვარი თითქოს აცოცხლებს გემოვნებით შერჩეულ ქვებს და ამღერებს ყვავილებს. ამ შესანიშნავი ოსტატის სურვილისდა მიხედვით მცენარეები ჰქმნიან თაღებს, აღიმართებიან გრეხილ სვეტებად, აგებენ ტალავრებს და ფანჩატურებს, საჩრდილობელს უქმნიან ხის ქერქისაგან დაწნულ მაგიდებს და ხის კუნძებს — ჩამოსაჯდომად რომ გიწვევენ ამ ყვავილოვანი ხალიჩების ზღაპრულ სამყაროში. ამ პატარა ბაღნარში ხშირად ნახავთ საბაღო ხელოვნებით გატაცებულ ახალგაზრდებს, სტუდენტობას. დღას მათ შორის ეს მხცოვანი მებაღე და გატაცებით უამბობს მცენარეთა სამყაროს სიმშვენიერეზე, მისი გამოყენების ოსტატობაზე ადამიანის ბედნიერი და ხალისიანი ცხოვრებისათვის.

დ. ჯანელიძე

# ხანგრძლივი მეგობრობა

ნათელა ჯავახიშვილი

ფართო საზოგადოებისათვის უცნობია ის ახლო ურთიერთობა, რომელიც ორ დიდ ქართველ მოღვაწეს — ზაქარია ფალიაშვილსა და ივანე ჯავახიშვილს აკავშირებდა.

ახალგაზრდობაში ეს ორი სრულიად სხვადასხვა ბუნების ადამიანი, ერთი მეტად დინჯი, დაკვირვებული, მშვიდი და გარეგნულად აუშფოთებელი, მეორე კი მუდამ აღელვებული, მშფოთვარე და მოძრავი, ერთმანეთში ჰპოვებდა — ერთი მიუღწეველი მიზნის და ოცნების პასუხს, ხოლო მეორე — სიმშვიდეს, სიმტკიცესა და გამხნევებას. ამავე დროს მათ ერთნაირი თვისებებიც ახასიათებდათ — თავდადებული შრომის უნარი, ბუნებრივ ნიჭთან, პოეტურ აღმაფრენასთან და მეცნიერულ ალღოსთან შეზავებული. ივანე ჯავახიშვილის შრომებს ეს გაქანება მეცნიერულ ღირსებას არამცთუ არ უკარგავს, არამედ მეტ სიმკვეთრესა და დამაჯერებლობას მატებს, ასევე მეცნიერული სიღრმით დამუშავებული ქართული მუსიკალური ფოლკლორი ზაქარიას შემოქმედებას დიდ თავისებურებას და ემოციურობას ანიჭებს, რითაც იგი კლასიკური მუსიკის მწვერვალებს აღწევს.

ზაქარია ფალიაშვილში ივანე ჯავახიშვილს ხიბლავდა ქართველი მუსიკოსის დანიშნულების ღრმა შეგნება, ქართული ხალხური მუსიკის თავისებურების შეუბღალავად ხორცშესხმა ჰარმონიზაციის საყოველთაოდ მიღებულ ფორმებში, რითაც მან მსოფლიო მწვერვალებს მიაღწია. თავის მხრივ ზ. ფალიაშვილი ივანე ჯავახიშვილში ღრმა ცოდნასთან და ბუნებრივ მეცნიერულ ალღოსთან ერთად ხელოვნების მოტრფიალესა და თვით ხელოვანის ბუნებას ხედავდა. ამიტომაც სწერდა იგი ივ. ჯავახიშვილს ჯერ კიდევ სულ ადრე: „ჩვენში კარგისა თუ ავის აზრის გამომთქმელად მე თქვენ გაფასებთ უფრო, ვიდრე „დიპლომანტებს“, ანუ ჩვენს ქართველ მუსიკოსებსო“.

ცხოვრების სარბიელზე ამ ორი ადამიანის შეხვედრა შემთხვევითი როდი იყო. ივანე ჯავახიშვილს ბავშვობიდან განსაკუთრებით უყვარდა მუსიკა. სწავლობდა ·კიდეც ვიოლინოზე დაკვრას და სკოლის გუნდის დამწყებიც იყო. ზაფხულობით, სოფ. ხოვლეში თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავდა ახალგაზრდობა და განსაკუთრებით ქართულ ხალხურ სიმღერების შესწავლასა და გავრცელებას უწყობდა ხელს. თავისი ქვეყნის მრავალფეროვანი წარსულით დაინტერესებული ი. ჯავახიშვილი, თავდაპირველად ქართული მუსიკის ისტორიაზე აპირებდა მუშაობას. მაგრამ სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლიდანვე იგი დარწმუნდა, რომ ქართულ მეცნიერებას პირველყოვლისა საერთო საძირკვლის ჩაყრა ესაჭიროებოდა და მასაც, როგორც ქართველ მეცნიერს, ასე ვიწროდ შემოფარგვლა არ შეეძლო.

მუსიკის დიდი მოყვარული, საერთოდ, და განსაკუთრებით კი ქართული მუსიკალური საგანძურის არა მარტო მოტრფიალე, არამედ ჩუმი მოამაგე ივანე ჯავახიშვილი რუსეთში ყოფნის დროსაც სულ იმას ცდილობდა, რომ იქ მყოფ ქართველ ახალგაზრდობისათვის მშობლიური მუსიკისადმი ინტერესი და სიყვარული შთაენერგა, გაეღვიძებია რწმენა ეროვნული მუსიკისადმი, რომელიც მოდაში შემოსულ ევროპული მუსიკის ბრმა თაყვანისცემით სრულიად მიძინებული იყო.

ი. ჯავახიშვილი ფალიაშვილს ცხრაასიან წლებშივე გაეცნო და დაუახლოვდა კიდეც. როცა ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, მათ მიწერმოწერა ჰქონდათ, ხოლო ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით, ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდგომ, ივ. ჯავახიშვილი მშობელ მხარეს დაუბრუნდა და ზაქარია მისი ოჯახის ხშირი და სასიხარულო სტუმარი გახდა. ზაქარია ფალიაშვილი თავის გულისნადებს ყოველთვის უზიარებდა ხოლმე ივანე ჯავახიშვილს. მისთვის ივანეს აზრი გადამწყვეტი იყო და ამიტომ ხშირად მიმართავდა რჩევისა და დარიგებისათვის.

1907 წელს ზაქარია ფალიაშვილმა თავის მიერვე შეკრებილი „ქართული საეკლესიო-სახალხო სიმღერები“ დაამუშავა და მოასმენინა ი. ჯავახიშვილს, რომელმაც სიმღერების გამოცემის საქმეში კომპოზიტორს დახმარება აღუთქვა; რადგან თვით ზაქარიას უსახსრობის გამო მათი გამოცემა, ცხადია, არ შეეძლო, ზაქარიამ თხოვნით მიმართა ივ. ჯავახიშვილს, რათა მას აეხსნა თავადაზნაურობისათვის „მნიშვნელობა და საჭიროება ამ გამოცემისა. რაც შეეხება ღირსებას ჩემი მუშაობისას მე იმედი მაქვს, რომ თქვენ იმდენად დაინტერესებული ხართ საზოგადოდ მუსიკის კითხვებში და მომეტებულად ქართულ მუსიკაში და იმდენად განვითარებული — სწერს ფალიაშვილი, — რომ ადვილად შეგიძლიათ გადასწყვიტოთ ღირს თუ არა მათი გამოცემა, როგორც პირველი ნაბიჯი ჩვენი ისედაც დავიწყებული ქართული სახალხო მუსიკის ევროპიელ ხალხში გასაცნობად და გასავრცელებლად... თუ ეს საჭირო არის, ამისათვის ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ეს მუშაობა იყოს გამოცემული, ამისათვის მოგმართავთ თქვენ“... ხელი შეგვიწყო ამ საქმეშიო. ამავე დროს (1908 წ) სასულიერო საზოგადოებას გადაწყვეტილი ჰქონია კონცერტის მოწყობა, რათა შესრულებული ყოფილიყო ფალიაშვილის საგალობლები. მუსიკოსთა აზრის გასაგებად და საგამომცემლო სახსრების აღმოსაჩენად ისინი წ. კ. გ. საზოგადოებისა და ქართულ სათავადაზნაურო ბანკებსა, სხვადასხვა სამეურნეო დაწესებულებებს და კერძო პირთ მიმართავდნენ დახმარებისათვის... „ამისათვის საჭირო არის, რომ თქვენი აზრი რაც შეიძლება დროზედ აცნობოთ მათ (ე. ი. თავად-აზნაურთა ბანკს) მით მომეტებული, რომ როგორც მე შევიტყე და გადმომცეს აქ თქვენს აზრს დიდი მნიშვნელობა ექმნება ამ საკითხის გადაწყვეტაში“-ო. როგორც ეს დამახასიათებელი იყო ივანე ჯავახიშვილისათვის, მან მალე და პირნათლად შეასრულა ზაქარიას ეს თხოვნა.



ივანე ჯავახიშვილი (1895)

იმავ წელს, როგორც ივანესთან მოწერილ ზაქარიას წერილიდან ირკვევა, ზაქარია ძალიან მოუცლელი და საქმით დატვირთული ყოფილა, „მთელი დღე დილიდან საღამომდე საქმეში ვარ გართული და ასე გასინჯეთ, ხანდახან სადილის ჭამასაც კი ვერ ვასწრებ. ამას კიდევ ზედ დაერთო ილია ჭავჭავაძის საღამოს გამართვა, აკაკის იუბილეი და ქართული თეატრის გახსნა“, სადაც სამუსიკო ნაწილის პროგრამის შედგენა ზაქარიას ჰქონია მინდობილი. ზაქარია დაწვრილებით აღწერს ამ საღამოებს, სადაც თვით ზაქარიას მიერ მომზადებული ას კაცამდე „ხორო იყო და მშვენიერი დიდი ორკესტრი. ძალიან გულით მინდოდა, რომ თქვენ აქ ყოფილიყავით და მოგესმინათ ეს სიმღერები“ („მურმანო“, „ნეტავი გოგო“, „ინდი მინდი“, „ალი ფაშა“ და სხვ.).

აკაკი წერეთლის იუბილესთვის ზაქარიას „მრავალჟამიერი“ დაუწერია და კიდეც დაუბეჭდვინებია. „ეს მრავალჟამიერი იმდენად სადღესასწაულო ხასიათის გამოვიდა, რომ უკეთესი არ შეიძლება და საზოგადოებაც მეტად კმაყოფილი დარჩა. ეს არის ჩემი პირველი ცდა ქართული მუსიკის შეთხზვაში, აქამომდეს მარტო სახალხო (იგულისხმება ხალხური ნ. ჯ.) სიმღერების შემუშავების ცდაში ვიყავ და ეხლა კი გავბედე შეთხზვა და ვგონებ, რომ ნახავთ და გადაათვალიერებთ. ქართული ელფერი მეტად დაცული უნდა იყოს... გთხოვთ გადაათვალიეროთ და თქვენი აზრი დროზედ მაცნობოთ“-ო.

ზაქარია თავდადებითა და დიდი ენერგიით იღწვის თავის მიერ ჩაწერილ და დამუშავებულ ქართულ ხალხურ სიმღერათა გამოსაცემად, მაგრამ არა მარტო პირადად მისი, არამედ ფილარმონიული საზოგადოების უსახსრობაც მას საქმეს უფერხებს.

ზაქარია ფალიაშვილი ი. ჯავახიშვილს მუდამ აცნობებდა საქართველოში მუსიკალური ცხოვრების წვრილმანებსაც კი. — „დარწმუნებული ვარ გესიამოვნებათ, რომ შეგატყობინოთ შემდეგი: გავლილი თვის 26-ში ე ი. 1909 წ. 26/I ჩვენმა საორკესტრო სამუსიკო სასწავლებელმა ჩვეულებრისამებრ გამართა სიმფონიური საღამო, რომლის ხელმძღვანელობაც მე მქონდა ჩაბარებული... თუმცა მეტად დავიღალე მის მომზადებაში, მაგრამ ზნეობრივად როგორც ხალხის მხრივ — თეატრი სავსე იყო, ისიც კრიტიკოსების მხრივ დაჯილდოვებულ ვიქმენ, ეს პირველი ცდა იყო ჩემი მთელი საღამოს ხელმძღვანელობისა... იმისდა მიუხედავათ, რომ დიდი დაბრკოლება აქვს ჩვენს ახლად გახსნილ ფილ. საზ. სამუსიკო სკოლას, ჩვენ მაინც ენერგიას არ ვკარგავთ და სკოლის საქმე კარგად მიდის 70-დე მოწაფე გვყავს კიდეც ფორტეპიანოზე, ჭიანურზე, და თეორია-გარმონია და სოლფეჯიოს კლასებში“.

ამავე წლის ზაფხულში ივანე ჯავახიშვილს ზაქარია ფალიაშვილი თავის სოფელ ხოვლეში მიყავს, სადაც ზაქარია ფონოგრაფზე იწერს ქართულ ხალხურ სიმღერებს ძმები კავსაძეების გუნდის შესრულებით, რომელშიაც თვით ივანე და მისი ძმა დათაც მღეროდნენ. სიმღერათა შერჩევასა და მათი შესრულების სიზუსტეს ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. ხოვლედან, სადაც ზაქარიამ ერთი კვირა დაჰყო, იგი ქართლის სხვა სოფლებში გამგზავრებულა. იმ დროსვე ჩაიწერა ზაქარიამ „აბესალომ და ეთერის“ ლეკური, რომელსაც შემდეგში, შინაურობაში, ხუმრობით ივანეს ლეკურს უწოდებდა.

ასე მიდიოდა წლები, ზაქარია ფალიაშვილი თბილისში, ხოლო ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგში ერთი მიზნისთვის — ქართული კულტურის, ქართველი ხალხის დიდი და ნათელი მომავლისათვის სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვა საშუალებებით თავდადებითა და მომავლის ღრმა იმედით იღწვოდნენ.

ზაქარია კვლავ განაგრძობდა დაწვრილებით წერილების გზავნას. ივანე ჯავახიშვილი თავის მხრივ მისთვის ჩვეული გულისხმიერებით და ყურადღებით უპასუხებდა. ზაქარიას ქართული საგალობლების, ხალხური სიმღერებისა და მისი რომანსების გამოცემების გავრცელებას რუსეთში ივანე ჯავახიშვილმა შეუწყო ხელი.

1911 წლის წერილებში ზაქარია თავის პირმშოს „აბესალომ და ეთერს“ უკვე იხსენიებს: „ჩემ „აბესალომ და ეთერის“ საქმისას თუ იკითხავთ საუბედუროთ, რასაკვირველია დროის უქონლობის გამო ვერა მიუმატე რა იმის გარდა, რომ იმ სამ სურათს, რომელიც ამ ზაფხულს დავწერე, მეორე რედაქციას ვუკეთებ და სუფთად ვწერ, მაგრამ რა ვქნა როცა სამსახურები ნებას არ მაძლევს და ეს ჩემი დაწყებული საქმე ზაფხულისათვის (როცა თავისუფლობა ბევრი მაქვს) გადააქვს, არა უშავს რა იმედი მაქვს ნელ-ნელა ბოლო მოეღოს, სჯობს ნელა იყოს და გვარიანი, ვიდრე ჩქარი და სულ უვარგისი“. შემდეგ წერილშიაც გულის წუხილით ამავეს იმეორებს და

კვლავ დიდ დატვირთვას უჩივის, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ სიმფონიური კონცერტებიცა და პედაგოგიური მოღვაწეობაც დიდ ზნეობრივ კმაყოფილებას ანიჭებს და დაღლილობასა და „უქეიფობას“ არაფრად თვლის რაკი გრძნობს რა დიდი და სასარგებლო საქმე კეთდება ამით.

წერილების გარდა ზაქარია ივანე ჯავახიშვილს ყველა თავის გამოცემებს უგზავნის.

„რაც შეეხება „ნანა შვილოს“, რომელიც მე თქვენ გიძღვენით, მადლობად არა ღირს, დამერწმუხეთ, თქვენ,როგორც ერთადერთი გულწრფელი მოტრფიალე ქართული ხელოვნებისა ბევრად მეტის ღირსი ხართ“.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის წლებში ივანე ჯავახიშვილი თავის ქვეყანას უბრუნდება და თავისი უდიდესი ოცნების განხორციელების საქმეს სათავეში უდგება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დგება დრო, როცა ყველა პირობა იქმნება ამ ორი დიდი ადამიანის ნიჭის გასაფურჩქნად. ივ. ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტს, ქართულ მეცნიერებას უდგას სათავეში, ზაქარია ფალიაშვილი თბილისის კონსერვატორიის, ქართული მუსიკის მესაჭეა.

ბუნებრივია, უფრო მჭიდრო ურთიერთობა მყარდება მათ შორის.

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ივანე ჯავახიშვილს კატასტროფიულად უსუსტდებოდა ყურთა სმენა, ბუნებამ ამ დიდი ნებისყოფის ადამიანს შეუბრალებელი გამოცდა გაუმართა. ივანე ჯავახიშვილისათვის უკიდურესად მძაფრი შრომის დღეებში ერთადერთი დასვენება მუსიკის მოსმენა იყო; არამარტო დასვენება, ეს იყო მისი დიდი ფიქრების მასაზრდოებელი, წარმმართველი და დამამშვიდებელი; სმენა კი იმდენად სწრაფად უსუსტდებოდა, რომ დროდადრო ხმამაღალი ლაპარაკიც ძნელად ესმოდა. როგორცა ჩანს ეს განცდა მისთვის ძნელად ასატანი გახდა და კონცერტებსა და ოპერაში სიარულს თავი დაანება.

ნათელი მზის სხივივით შემოანათა ზაქარია ფალიაშვილმა ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში; ამ დროს ზაქარია ფალიაშვილი უკვე გატაცებითა და მთელი თავის ძალღონით მუშაობდა „აბესალომ და ეთერზე“, ამთავრებდა მას. ეს იყო 1919 წლის თებერვალი. ქართული ოპერის სცენაზე მეორე ქართული ოპერა იდგმებოდა. ზაქარიამ თავის ხელით მოუტანა ოპერის ბილეთები ივანეს; იგი აღფრთოვანებული იყო და თანაც დიდი მღელვარება ემჩნეოდა. ივანე ჯავახიშვილს არა ერთხელ ჰქონდა მოსმენილი ფორტეპიანოზე ზაქარიას შესრულებით აბესალომიდან სხვადასხვა ადგილები და მთელი აქტებიც; ხშირად მიუღია ზაქარიას მისგან საგულისხმო მითითებები, რომელთაც ყოველთვის გულისყურით ექცეოდა და ანგარიშს უწევდა.

ივანე ჯავახიშვილი დიდის მღელვარებით მოელოდა ოპერის დაწყებას.

უკვე სუსტად ესმოდა, მაგრამ იგი. მაინც წავიდა ამ წარმოდგენაზე და მთლად სმენად იყო გადაქცეული. „აბესალომ და ეთერის“ პირველი წარმოდგენა ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო. ოპერა ღამის 2 საათზე დამთავრდა მაგრამ დაღლილობა არავის ეტყობოდა. ივანე ჯავახიშვილი ბავშვივით აღტაცებული იყო, იგი, ისეთსავე სიხარულს განიცდიდა როგორსაც მისი პირმშოს, ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს. მას კარგად ესმოდა, რომ ქართული კულტურის საქმეში ეს მოვლენა ახალ ერას ქმნიდა: საფუძველი ჩაეყარა ქართულ საოპერო კლასიკურ მუსიკას.

პრემიერის დამთავრების შემდეგ ზაქარიამ ივანე ჯავახიშვილს მიაშურა, ერთხელ კიდევ უნდოდა დაენახა ივანეს აღფრთოვანებული, შუქმოსილი სახე, რომელსაც დიდი კმაყოფილებისაგან სიტყვებიც არ ყოფნიდა — „ეს მარტო თქვენი გამარჯვება კი არა, მთელი ქართველი ხალხის გამარჯვებაა“-ო შეაგება ივანე ჯავახიშვილმა ზაქარიას თავის აღტაცებული შეძახილი... „აბესალომ და ეთერ“-ს ივანე ჯავახიშვილის გულში ვერც ერთმა სხვა ოპერამ ვერ გაუწია მეტოქეობა და მას იგი საოპერო მუსიკის შედევრად მიაჩნდა...

ზაქარია ფალიაშვილმა „დაისზე“ მუშაობა დაიწყო. ეს უკვე ის წლები იყო, როდესაც ზაქარიასა და ივანეს დამოკიდებულებაში ღრმა სითბო და სიახლოვე დამყარდა. თითქმის არ იყო ისეთი თვე, რომ ზაქარია ივანეს სტუმარი არ ყოფილიყო. დასწერდა თუ არა რომელიმე აქტს, ან რაიმე არიას, დუეტს, იგი ივანესაკენ მიაშურებდა. ასეთი დღეები ნამდვილი დღესასწაული იყო ივანესათვის, მას უკვე საკრავთან ახლო მყოფსღა შეეძლო მოსმენა, ამიტომ ყველაზე უდიდეს სულიერ კმაყოფილებას მოკლებული, იგი მოუთმენლად მოელოდა ზაქარიას მოსვლის წუთებს.

„პირველად თქვენ უნდა მოისმინოთ, ბატონო ივანე!“ ამბობდა ზაქარია ყოველთვის და ამ, მისთვის კანონად ქცეულ სულიერ მოთხოვნილებას არასოდეს არ ღალატობდა.

ივანე ჯავახიშვილი, საერთოდ დიდი სტუმართმოყვარე მასპინძელი, გაახალგაზრდავებული და აღფრთოვანებული ეგებებოდა ზაქარიას და მაშინვე ფორტეპიანოსაკენ მიემართებოდა. ზაქარიას არაჩვეულებრივად ცოცხალს, მოძრავს და მოუსვენარს, ქარბუქივით შემოჰქონდა სიცოცხლე, სიხარული და თავისი შემოქმედებითი აღტყინება, მთლიანად განცდად ქცეული, ამღერებული, თვითონაც დიდი სიამოვნებით მიაშურებდა ხოლმე საკრავს. უკრავდა, თან უხსნიდა და უმარტავდა ამა თუ იმ ადგილს, თან მღეროდა, და ზოგჯერ თითები და ხმაც აღარ ყოფნიდა ხოლმე — ღელავდა, შფოთავდა და მაშინ ივანეც ცალი თითით იწყებდა მოხმარებას. იგი გვერდზედ უჯდა ხოლმე ზაქარიას, ცალი ხელით ყურს იფარებდა, რომ არც ერთი ბგერა არ გამოჰპარვოდა, მეორეთი — ნოტებს უფურცლავდა. სახეზე უდიდესი კმაყოფილება ეხატებოდა. ადგილ-ადგილ აჩერებდა, რჩევას აძლევდა, ან უკვე თავშეუკავებლად აღტაცებას გამოსთქვამდა; და როცა უკანასკნელი აკორდი აჟღერდებოდა. დაქანცული ზაქარია სკამს მიეყუდებოდა, რამდენიმე ხანს სრული სიჩუმე ჩამოვარდებოდა, რომელსაც ისევე ზაქარია დაარღვევდა ხოლმე. მათ დამოკიდებულებაში არაჩვეულებრივი პირუთვნელი პირდაპირობა იყო, ამიტომაც ივანე ჯავახიშვილი ურჩევდა ზაქარიას „დაისი“-დან ამოეღო მალხაზის არია „თავო ჩემო“, რადგან მისი შემოქმედებისათვის შეუფერებლად მიაჩნდა, მუდამ ანგარიშგამწევმა ზაქარიამ ვეღარ დაუთმო, რადგან თვითონ ძალიან მოსწონდა და აღტაცებული იყო სახელდახელოდ ჩამატებული ადგილით...

...საოპერო დარბაზი ჩაბნელებულია, მხოლოდ ფარდის იქით სცენა განათებული ჩანს, ისმის კაკუნის, სირბილის და დეკორაციების გადატანის ხმაური და შეძახილები. ორკესტრში საკრავებს მართავენ. თეატრი ცარიელია და პარტერის წინა რიგში დროდადრო ერთი-ორი ადამიანი თუ ჩნდება. ზაქარია ფალიაშვილი ჩვეულებრივად მშფოთვარე დარბის აქეთ იქით და კარებისაკენ იყურება, თუმცა ჯერ ადრეა, მაგრამ მაინც ვერ ისვენებს, ჩანსვიღაცას ელის; ამ დროს კარი იღება და შემოდის ივანე ჯავახიშვილი. იგი ჩვეულებრივი თავაზიანობით ესალმება იქ მყოფთ. ზაქარია გახარებული ეგებება, ადგილს უთითებს და თვითონ დირიჟორის პულტისკენ მიეშურება. „დაისი“-ს უკანასკნელი რეპეტიციაა. ზაქარიას სურს ივანემ სხვაზე ადრე მოისმინოს მისი ოპერა, მას სულ სხვა გრძნობით უყვარს „დაისი“, შესტრფის და ეალერსება მას... იგი თვითონ დირიჟორობს. გაისმის უვერტურის მომჯადოებელი ხმები, ყველას სახეზე კმაყოფილი გატაცება იხატება, ზაქარია თვითონ მთლად მუსიკადაა ქცეული. ფარდა ნელა იხდება და შორიდან მოისმის სარაჯიშვილის ბულბულივით ტკბილი „ურმული“. ნახევარი ხმით მღერის, ხმას უფრთხილდება, ზამთარია, ცივა. იგი გამოჩნდება ჩვეულებრივად ყელმოღერებული, ნაცრისფერ ფაფახიანი თავი ოდნავ გადახრილი აქვს, ხელები პალტოს ჯიბეში აქვს ჩაწყობილი. მას თავისი ტანისამოსი აცვია. ზაქარიამ მისთვის დასწერა ეს ოპერა. „დაისის“ არაჩვეულებრივი ნაზჰანგიანობა სარაჯიშვილში განსახიერებული კიდევ მეტად მომაჯადოებულია. ...როდესაც სცენაზე ორსართულიანი ფერხულები ჩნდება, ივანეს აღტაცებას საზღვარი არა აქვს, აქაც, ქართული ცეკვების დადგმაშიც, მისი კონსულტაციის კვალი მოჩანს, დავით ჯავრიშვილი ივანეს რჩევებს დიდად აფასებს... რეპეტიცია დამთავრდა. ზაქარიას ულოცავენ, აქეთ-იქიდან ესაუბრებიან, მაგრამ იგი პირველად ივანესაკენ მიაშურებს, კიდევ ერთხელ უნდა მოისმინოს მისი პირდაპირი შეფასება... ივანე ერთხელ კიდევ ურჩევს ამოიღოს „თავო ჩემო“, მაგრამ ამაოდ. ივანეს გულში კვლავ გაუჟღერდება „აბესალომი“, არა, „აბესალომ და ეთერისნაირ“ კმაყოფილებას სხვა ვერაფერი მიანიჭებს. მაგრამ „დაისის“ ჯადოსნური სიტკბო მასაც ხიბლავს.

წლები გადის. ივანე სრულიად მოწყვეტილია მუსიკის მოსმენის საშუალებას კონცერტებზე და ოპერაში, მაგრამ ზაქარია გრძნობს, რომ ივანე ჯავახიშვილს მუსიკის გარეშე არსებობა არ შეუძლიან. ამიტომ ივანე ოპერა „ლატავრას“ მუდმივი მსმენელია; ზაქარია ხშირად მიეშურება ხოლმე, ილლიაში ნოტებით, ივანეს ბინისაკენ. ივანეს დაისზე მეტად „ლატავრა“ მოსწონს, ამ ოპერაში იგი იმ სიძლიერეს გრძნობს, რაც „აბესალომს“ ასე ახასიათებს.

უკანასკნელად ზაქარია თავისი „კანტატით“ ესტუმრება ვანო ჯავახიშვილის ოჯახს. თვითონ აღტაცებულია ამ ახალი ნაწარმოებით, რომელშიაც მისი დიდი გრძნობებია გამოხატული, თავისი აყვავებული სამშობლოს გამო.

ამავე დროს, ზაქარია თავს არ ანებებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და ახლა კიდევ უფრო მეტი თავდადებით მუშაობს, მაგრამ ავადმყოფობა თავს იჩენს და ზაქარიას, ამ ცოცხალ, მოძრავ ადამიანს ლოგინში აწვენს. ივანე ჯავახიშვილი ზაქარიას ყოველი ნახვის შემდეგ სულ უფრო და უფრო მძიმე გრძნობით ბრუნდება სახლში; იგი გრძნობს, შემოქმედების ყველაზედ მომწიფებულ ხანაში, ახალ ქართულ მუსიკალურ კულტურას ხელიდან ეცლება მისი დედაბოძი; იგი გრძნობს, რომ უკვე აღარასოდეს აღარ შემოაღებს ქარბუქივით ზაქარია მისი სახლის კარებს და აღარ დაირხევა ზაქარიას მომჯადოებელი ჰანგები ივანეს ბინაში. ზაქარიას სიკვდილი ეს ერთ-ერთი უმძიმესი დანაკარგი იყო ივანესათვის, მან დაჰკარგა თავისი ბავშვობის ოცნების განსახიერება, სულიერი მეგობარი, დიდი ქართველი ადამიანი და მუსიკოსი, რომელმაც მასავით თავისი ქვეყნის თავდადებულ სიყვარულში დალია სული.

...ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, ივანე მუდამ ცდილობდა თავისი ზრუნვა და ყურადღება არ მოეკლო ფალიაშვილის მემკვიდრეობისათვის, ამიტომაც იყო, რომ, როდესაც რეჟისორმა კვალიაშვილმა, ივანე ჯავახიშვილის მოსკოვში ყოფნის დროს (1939 წ.) საკონსულტაციოდ მიმართა „აბესალომ და ეთერის“ მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე დადგმისათვის, მან არამცთუ სიამოვნებით, არამედ დიდი გატაცებით, საათები შესწირა ამ საქმეს, რათა ამ ოპერის ქართული კოლორიტი არ შებღალულიყო.

ზაქარიას სიკვდილის შემდეგ, ვანო ჯავახიშვილი უფრო ხშირად, ვიდრე უწინ, საათობით უჯდა ხოლმე საკრავს და სამი თითით ჩუმი ღიღინით აწყობდა სხვადასხვა ქართულ ჰანგებს. თავისებურად ქღერდებოდა „თამარ მეფე და ხონთქარი“, „ალიფაშა“, „მზე შინა და მზე გარეთა“ და სხვა ქართული ძველი სიმღერები ივანე ჯავახიშვილის ამ გატაცების წუთებში. ეს ერთგვარად შემოქმედების წუთები იყო ხოლმე, რომელიც ყოველთვის ერთი და იმავე სინანულის გრძნობის დაუმთავრებელი გამოთქმით მთავრდებოდა: „მე რომ ფორტეპიანოზე დაკვრა შემძლებოდა...“

ასეთი იყო ამ ორი დიდი ქართველის ურთიერთობა.

**სურათზე: ზ. ფალიაშვილი (მარჯვნივ), ივ. ჯავახიშვილის მშობლები, ძმა და ქალიშვილი ნათელა.**

ფოტოსურათი გადაღებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ სოფ. ხოვლეში 1909 წელს.



# საზღვარგარეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ გიგინეიშვილი

ჯემილ საით ბარლასს კარგად იცნობენ თურქეთში. იცნობენ, როგორც რეაქციის ერთ-ერთ ბურჯს და ოკეანისგაღმიდან მოსულთა ერთგულ მსახურს. ამიტომ ეჭვს ვერ შევიტანთ იმაში, თითქოს ბარლასს სურდეს გააზვიადოს თურქეთში არსებული მძიმე მდგომარეობა. უნდა ვიფიქროთ, რომ პირიქით, იგი დიდი სიამოვნებით მიმართავდა ვარდისფერ საღებავებს, მაგრამ რაკი ეს ვერ შესძლო და თურქეთი მის სიტყვებშიაც გაპარტახებული წარმოგვიდგა, ეს იმას ნიშნავს, რომ მდგომარეობა ბარლასის მსგავსთათვისაც მეტად საგანგაშო ყოფილა.

„თურქეთის ხალხი ღარიბია — განაცხადა ბარლასმა — იგი ცხოვრობს გამოქვაბულების მსგავს მიწურებში. ჩვენ გვყავს მოქალაქეები, რომლებიც სიცოცხლეში ერთხელაც არ იბანენ პირს. შეხედეთ რა მდგომარეობაშია ჩვენი გლეხობა. მოსახლეობა პირუტყვთან ერთად ცხოვრობს. თურქი მუშის მდგომარეობაც საშინელია. ჩვენი მთავრობა ამაზე არ ფიქრობს. ფლანგავენ სასოფლო-სამეურნეო ბანკის თანხებს, გლეხობას კი ატყავებენ და ატყუებენ“.

მაგრამ ის რაც ხდება საერთოდ თურქეთში არაფერია იმასთან შედარებით რასაც ადგილი აქვს თურქეთის შავიზღვისპირა და აღმოსავლეთის ვილაიეთებში. აი მეჯლისის ტრიბუნაზეა დეპუტატი ყარსიდან აბას ჩეთინი. „მე შემეძლო მომეყვანა მრავალი მაგალითი — განაცხადა მან — იმის დასამტკიცებლად, რომ ყარსი თურქეთის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი კუთხეა. მთელ თურქეთში არის გზების, ხიდების, სასმელი და სარწყავი წყლების ნაკლებობა, მაგრამ ყველაზედ მძიმე მდგომარეობა ამ მხრივ მაინც ყარსის ვილაიეთშია. არის თურქეთში უწყლო ადგილები, მაგრამ არსად არ სვამენ ისეთ ბინძურ წყალს, როგორც ყარსში, რაც სპობს მოსახლეობას. ვილაიეთის ერთ ბოლოდან მეორე ბოლომდე მისასვლელად (დაახლოებით 100 კილომეტრი ო. გ.) მთელი კვირა გჭირდებათ. ზამთრობით კი სოფლებს შორის საერთოდ წყდება ყოველგვარი მოძრაობა, მოსახლეობა მოწყვეტილია გარე სამყაროს. თურქეთში განთქმულია ადანური ბამბა, იზმირული ყურძენი, ბურსას ატამი, მალათიური გარგარი, თოსიური ბრინჯი, ხილი და ბოსტნეული, მაგრამ ყარსის ვილაიეთში — ფოცხოვსა და შავშეთში, არტაანსა და ნაჰჯევანში ადანაზე უფრო ხარისხოვანი ბამბა, იზმირზე უკეთესი ყურძენი, ბურსაზე უმჯობესი ატამი, მალათიაზე გემრიელი გარგარი, თოსიურზე უკეთესი ხილი, ბრინჯი და ბოსტნეული იცოდა. მართლაც შესანიშნავი ადგილებია, მაგრამ მოუვლელია და გავერანებული. ხელუხლებელია მადნები, ოქროს საბადოები, შესანიშნავი ქვა-მარილი“. და ბოლოს აბას ჩეთინი დასძენს: „ყარსის ვილაიეთი გაპარტახებულია მატერიალურად, მორალურად და ეკონომიურად. ხალხი ტოვებს იმ მიწებს, რომლებზედაც შეიძლება შესანიშნავი მოსავლის მიღება, და გარბის“.

მარმარილოს ზღვიდან მომავალი გემი უახლოვდება ლაზისტანის მარად მწვანე ნაპირებს, სადღაც შორს ღრუბლების თეთრ ქულებში ეხვევიან პონტოს ქედის მწვერვალები.......

გემბანზე სტამბოლის გაზეთის „ჯუმჰურიეთის“ კორესპონდენტი ესაუბრება გემის ექიმს. ექიმი სულ ახალგაზრდაა, მას ჯერ კიდევ ბავშვის იერი გადაჰკრავს, მაგრამ უკვე მრავალი ტრაღედიის მოწამე გამხდარა ლაზისტანის ნაპირებთან. „თქვენ აქ ბევრ რამეს ნახავთ — ეუბნება იგი კორესპონდენტს — დიახ ბევრ რამეს, დასაწერიც ბევრი გექნებათ... მახსოვს, პირველ რეისიდან, რომ ვბრუნდებოდი გემბანზე გამომიძახეს ავადმყოფ მგზავრთან. იგი საშინლად გასიებულიყო. ქვევით ჩავიყვანე. დაახლოებით 50-55 წლისა იქნებოდა. საწყალს მთელი სხეული ტკივით გაბეროდა. გემზე ზურგით ამოიყვანა რომელიღაც მგზავრმა. უცებ ვერ მივხვდი, რისგან მოუვიდა ეს — ღვიძლი იყო მიზეზი, გული თუ სხვა რამ. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამხანაგმა მომაძახა — ფრთხილად მოექეც ეს ადამიანი მშიერიაო — მივხვდი რაშიც იყო საქმე. ჯერ კიდევ მოწაფე ვიყავი, როდესაც ჩემმა მასწავლებელმა დამანახა შიმშილით გასიებული ადამიანი. ესეც ზუსტად ისეთი იყო... გამოვკრთხე და შევიტყვე, რომ ამ უბედურს ათი დღის განმავლობაში არაფერი ეჭამა.

აბა რა გითხრათ მეგობარო, — განაგრძობდა ექიმი, — ტრაპიზონში, მის იქით და აქეთ ყველა ნავსადგური მშიერი ხალხითაა სავსე. გემებს უცდიან, მთელი მათი იმედი ის არის, რომ ზონგულდაკსა ან სტამბოლში გაიხიზნონ და თავი შიმშილით სიკვდილისაგან გადაირჩინონ, მაგრამ როგორ წავლენ, როდესაც ჯიბეში ორი გროშიც არა აქვთ. თუ გემს 500 კაცის წაყვანა შეუძლია, მასზე 1000 კაცს მაინც მოაქვს იერიში. როდესაც ასწევთ გემბანის კიბეს, ლუზის ჯაჭვით მოძვრებიან და მაინც ავსებენ გემს. ამ 1000 მგზავრიდან 100 მაინცაა უბილეთო. კაპიტანი ბრძანებას იძლევა, რომ ყველა უბილეთო მგზავრები ჩამოსვან პირველსავე ნავსადგურში, მაგრამ მოდი და სცადე. პირქვე ემხობიან, გიჩოქებენ და ტირილით გემუდარებიან.

— მომკალი, გემიდან ჩამოსმას მირჩევნია, რომ აქვე მომკლა... მაგრამ არც იმ დანარჩენი 900 მგზავრის მდგომარეობაა უკეთესი. ფული, რომლითაც ბილეთი შეიძინეს, მათი უკანასკნელი გროშები იყო. გემზე ამოსვლისას ერთ ხელში უჭირავთ გამხმარი, ქვასავით მაგარი ჭადის ნატეხი, მეორეში ბოთლი წყლით. შემდეგ ამ ჭადს ფშვიან ნამცეცნამცეცებად და ისე სჭამენ, თან წყალს აყოლებენ. სახელმწიფომ, მთელმა ერმა, მთავრობამ უპირველეს ყოვლისა ეს ადამიანები უნდა გადაარჩინოს შიმშილს, სიდუხჭირეს. მათ ბევრი არ უნდათ. განა ახლა ისინი ელექტრონსა და გზებს მოითხოვენ? არა მათ პური უნდათ, ლუკმაპური, რომელსაც ვერ შოულობენ და ამიტომ დაძრწიან გასაწყლებულ ბრბოებად მთელს ჩვენ ქვეყანაში. ამ ხალხს სჭირდება სამუშაო, საჭმელი, პური“.

მაგრამ პანთურქისტული მთავრობა არა თუ არ იღებს რაიმე ზომებს ხალხის გადასარჩენად, არამედ პირიქით, თავის პოლიტიკით ხელს უწყობს ჭოროხის, რიზეს, ტრაპიზონის, ყარსისა და სხვა მათ მეზობელ ვილაიეთების მოსახლეობის ფიზიკურ განადგურებას.

ეკონომიურ და კულტურული ცხოვრების რომელ მხარესაც არ უნდა მივმართოთ ამ ვილაიეთებში, წარმოგვიდგება საშინელი ჩამორჩენილობის სურათი.

ტყეები გაიჩეხა, მიწა გამოიფიტა, წყაროები დაშრა. ლაზისტანში 70 გლეხის ოჯახზე მოდის ერთი გუთანი, დანარჩენებს უკეთეს შემთხვევაში აქვთ მხოლოდ ხის კავი. რაიმე აგროტექნიკურ წესების დაცვაზე აქ ლაპარაკიც კი ზედმეტია, მოსავლიანობა ყოველწლიურად მცირდება. ასე მაგალითად, პურეულის საერთო მოსავალი ჭოროხის ვილაიეთში ამ უკანასკნელ წლებში 52.793 ტონიდან შემცირდა 45.383 ტონამდე, რიზეს ვილაიეთში 20.781 ტონიდან 13.313 ტონამდე, გიმიუშანეში 151.418 ტონიდან 44.681 ტონამდე და ა. შ. სამაგიეროდ იზრდება ცხოვრების სიძვირე. თანახმად ოფიციალური თურქული სტატისტიკისა თურქეთის 20 მსხვილ ქალაქიდან ყველაზედ უფრო მეტად ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე გაიზარდა ტრაპიზონში, სადაც ფასები მეორე მსოფლიო ომის დროინდელ დონეს ამჟამად სჭარბობს თითქმის 4-ჯერ.

იმ გლეხებსაც კი, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენიათ მიწის მცირე ნაკვეთი, მოსავალი მხოლოდ 3-4 თვე ჰყოფნით, დანარჩენ დროს კი შიმშილობენ და მაწანწალობენ.

მართლაც რამდენ ხანს უნდა ეყოს ტრაპიზონისა ან რიზეს ვილაიეთებში მცხოვრებ გლეხს მოსავალი, რომელიც მან, გაზეთ „ჯუმჰურიეთის“ სიტყვით, მოიყვანა „ხელისგულივით პატარა სიმინდის ყანაში, რომლის სიგრძე არ აღემატება 5-6 მეტრს“.

ამ სამიოდე წლის წინათ მთავრობამ რიზეს ვილაიეთის გლეხობის ნაწილი აიძულა სიმინდის ნაცვლად გაეშენებინა ჩაის ბუჩქი. ჩაი გაშენდა ყოველგვარი აგროტექნიკური წესების გარეშე, პრიმიტიულად, და მიუხედავად იდეალური კლიმატური პირობებისა, რომელიც არსებობს ჩაის კულტურისათვის რიზესა და ტრაპიზონის ვილაიეთებში, მოსავალი საოცრად დაბალი აღმოჩნდა, სახელდობრ საშუალოდ 380 კილოგრამი მწვანე ფოთოლი ჰექტარიდან, წელიწადში. გლეხი ვალდებულია კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩააბაროს ჩაის ფაბრიკაში მეტად დაბალ ფასებში — 140 ყურუშად. თუ მივიღებთ მხედველობაში რომ ამ რაიონებში გლეხს საშუალოდ აქვს 2 დენიუმი (დენიუმი — ჰექტარის $^{1}/_{11}$) მიწის ნაკვეთი, გამოვა, რომ ჩაის რაიონებში გლეხის ოჯახის წლიური შემოსავალი არ აღემატება 100 ლირას. ეს თანხა რიზე-ტრაპიზონის რაიონში არსებულ ფასების მიხედვით, გლეხს ეყოფა არა უმეტეს 2 თვისა იმ პირობით, რომ ოჯახი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ პურით ან ჭადით გამოიკვებოს.

მოსახლეობა მოკლებულია საექიმო დახმარებასაც. თურქეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის უსთიუნდაღის სიტყვით, ამჟამად ჭოროხის ვილაიეთში ექიმების დიდი ნაკლებობაა, აქ ყოველ 9.000 მცხოვრებზე მოდის ერთი ექიმი. ექიმთა ეს მცირე რიცხვიც ძირითადად კერძო პრაქტიკას მისდევს და მოსახლეობის ფართო ფენებისათვის მიუწვდომელია.

ამ რაიონებში განათების ძირითადი საშუალებაა ჭრაქი, მოსახლეობის უმრავლესობისათვის ნავთიც კი მიუწვდომელია სიძვირის გამო. ელექტრონი ფაქტიურად არ არსებობს. ასე მაგალითად, რიზეს ვილაიეთში 172.000 მცხოვრებზე არსებობს მხოლოდ ერთი კომუნალური დანიშნულების ელექტროსადგური, რომელსაც ამუშავებს ერთი 50 ცხენისძალიანი ძრავი. მთელს ვილაიეთში ელექტროშუქი აქვს მხოლოდ 228 ბინას. ანალოგიური მდგომარეობაა ჭოროხის ვილაიეთშიც. ხოლო თუ ავიღებთ მთლიანად თურქეთის იმ 7 ვილაიეთს, რომლებიც საბჭოთა საქართველოს საზღვრებთან არიან განლაგებულნი, სახელდობრ: რიზეს, ჭოროხის, ტრაპიზონის, გირესუნის, გიმიუშანეს, ყარსისა და არზრუმის ვილაიეთებს, რომელთა მოსახლეობა 2 მილიონ კაცს აღემატება დავინახავთ, რომ ამ ვილაიეთების ყველა ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე არ აღემატება 1,8 ათას კილოვატს, ე. ი. 4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე კომუნიზმის დიად მშენებლობებზე მომუშავე ერთი ექსკავატორის „ეშ“-ს ელექტროძრავების სიმძლავრე. ეს ვილაიეთები მოკლებულნი არიან წყალსადენსაც. ასე მაგ. რიზეს ვილაიეთში არც ერთ დასახლებულ პუნქტს, მათ შორის ვილაიეთის ცენტრს ქ. რიზესაც, არა აქვს წყალსადენი, ჭოროხის ვილაიეთში ერთადერთი და ისიც პრიმიტული წყალსადენი არსებობს მხოლოდ ართვინში.

მოსახლეობა წერა-კითხვის უცოდინარია, სკოლები, როგორც წესი, არ არის. ჭოროხისა და რიზეს ვილაიეთებში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი აღწევს 82,6,%, ტრაპიზონის ვილაიეთში 88,2%, ყარსის ვილაიეთში 90,3% და ა. შ.

სკოლაში სწავლა რიგითი თურქ მოქალაქისათვის დიდი ფუფუნებაა. მძიმე მატერიალური მდგომარეობა არ აძლევს მას საშუალებას დაწყებითი განათლება მაინც მიაღები-

ეგრეთ წოდებული ამერიკული „დახმარება“ წარმოადგენს ხაფანგს იმ ქვეყნების დასამონებლად, რომლებმაც ეს „დახმარება“ მიიღეს. (გაზეთებიდან).

ნახატი მ. ოთაროვისა



# ეპიზოდი აჯანყება ბულგარეთში

**ოთარ გვინჩიძე**


ეროვნული ბიბლიოთეკა

**კ. ე. მაკოვსკი.**
**„წამებული ბულგარელი ქალები“**
**(1877).**

(დაცულია ბელორუსიის სსრ სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში, ქ. მინსკში. სურათის ზომა 206×140).

**ფოტორეპროდუქცია**
**გ. ბუგოენკოსი**

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აზვირთებულ ტალღასავით გადაუარა მთელ ბულგარეთს. ამ პერიოდში ბულგარელი ხალხის ბრძოლას თურქების წინააღმდეგ ხელმძღვანელობდნენ ისეთი გამოჩენილი ბელადები, როგორიც იყვნენ გიორგი რაკოვსკი, ვასილ ლევსკი და ხრისტო ბოტევი. ბულგარეთის სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და მისი ხელმძღვანელობის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშეს რუსეთის დიდი რევოლუციონერ-დემოკრატების ჩერნიშევსკის, გერცენის, დობროლუბოვის და პისარევის მოწინავე იდეებმა.

ბულგარეთის განთავისუფლების შესაძლებლობას ბულგარელი რევოლუციონერები ხედავდნენ გლეხთა ფართო მასებისა და ხელოსანთა აჯანყებაში, რომელსაც სათავეში მტკიცე რევოლუციური ორგანიზაცია ეყოლებოდა. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბულგარელი რევოლუციონერ-დემოკრატები უარს ამბობენ ბრძოლის ძველ პარტიზანულ ტაქტიკაზე და ისწრაფვიან წარმართონ ეს მოძრაობა საყოველთაო, სახალხო აჯანყების გზით. სწორედ ასეთი აჯანყების მოსამზადებლად მიმართული იყო გიურგევში ჩამოყალიბებული რევოლუციური ცენტრალური კომიტეტის მთელი მუშაობა.

აჯანყების დღედ დანიშნულ იქნა 1876 წლის 1 მაისი. მაგრამ შენიღბულმა მოღალატემ თურქებს ხელში ჩაუგდო აჯანყების ყველა გეგმა. თურქებმა დაიწყეს ჯარების თავმოყრა. აჯანყების დაყოვნება შეუძლებელი გახდა.

1876 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში ბულგარეთში აფრიალდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა. დაიწყო ცნობილი აპრილის აჯანყება, რომელიც კულმინაციური მომენტი იყო ბულგარელი ხალხის ბრძოლისა თავისი ნაციონალური განთავისვფლებისათვის.

თვალსაჩინო ადგილი აპრილის აჯანყების გმირულ ეპოპეაში უკავია ორ პატარა ქალაქს — პერუშიცას და ბატაკს. პერუშიცას მოსახლეობა თავგანწირულად შეეტაკა მახლობელ სოფლებიდან შემოსეულ ბაშიბუზუყთა ურდოებს, რომლებიც გზადაგზა დაუნდობლად ხოცავდნენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. მიუხედავად მტრის რიცხობრივი უპირატესობისა და კრუპის ზარბაზნებით შეიარაღებულ თურქთა არტილერიის გამანადგურებელი მოქმედებისა, ბულგარელი პატრიოტები არ ჰყრიდნენ იარაღს და მამაცურად უმკლავდებოდნენ იერიშზე გადმოსულ გაცოფებულ მტერს. პერუშიცას გმირული თავდაცვა სამ დღეს გაგრძელდა.

ასეთივე ბედი ეწია ბატაკსაც. ბაშიბუზუყთა რაზმები ახმედ-აღას მეთაურობით გარს შემოერტყნენ ქალაქს. ქუჩებში სისხლისმღვრელი, ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. დიდი და პატარა აღსდგა მშობლიური კერის დასაცავად. თავიანთი ქმრებისა და ძმების მხარდამხარ იშვიათი სიმამაცით იბრძოდნენ ქალებიც. სახლებში შემოჭრილ თურქებს ისინი წვრილად დაფშვნილ პილპილს აყრიდნენ თვალებში. ახმედ-აღამ პროვოკაციულ ხერხს მიმართა. იგი ზავსა და მოწყალებას შეპირდა აჯანყებულებს, თუ ისინი იარაღს დაყრიდნენ და დაიშლებოდნენ. ბატაკი დანებდა. და სწორედ ახლა ერთხელ კიდევ იჩინა თავი თურქ ბარბაროსთა ველურმა ბუნებამ. ისინი მუხანათურად ეკვეთნენ უიარაღო ხალხს და სისხლით მორწყეს ბატაკის მიწა. ამოხოცეს და ცოცხლად დასწვეს ბატაკის თითქმის მთელი მოსახლე·

---

ნოს თავის ბავშვებს. მეორეს მხრით, თურქეთში მცხოვრებ არა თურქ ეროვნებათა შორის თურქული სკოლა არავითარი პოპულარობით არ სარგებლობს, ვინაიდან ქემალისტებმა თურქულ სკოლას დაუსახეს სრულიად გარკვეული ამოცანა — სკოლამ უნდა აღზარდოს ახალგაზრდობა პანთურქისტულ იდეებზე და დააჩქაროს არა თურქ ეროვნებათა გათურქების პროცესი. ყველა ეს მიზეზები იწვევენ მოწაფეთა დიდ განთესვას. თურქეთის განათლების მინისტრის განცხადებით სკოლას თავს ანებებს მოწაფეების 75%. თურქეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ისმეთ ინენიუმ აღიარა, რომ „ხელმოკლე მშობლების ბავშვები ვადაზე ადრე სტოვებენ სწავლას რათა იმუშაონ“ და სკოლებიდან მოწაფეების განთესვას თურქეთის სკოლის „ყველაზედ უფრო მძიმე სენი“ უწოდა. ამავე დროს წლიდან წლამდე მცირდება დაწყებით სკოლებში მიღებულ ბავშვთა რიცხვი. გაზეთ „აქშამს“ 1952 წლის 30 სექტემბრის წერილში „საშინელი მდგომარეობა დაწყებით სკოლებში“, მოჰყავდა თურქეთის განათლების მინისტრის თევფიკ ილერის განცხადება 1952-1953 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. თევფიკ ილერის ოფიციალური ცნობის მიხედვით 1946-1947 სასწავლო წელს თურქეთის დაწყებით სკოლებში მიღებულ იქნა 56.792 მოსწავლე, 1947-1948 სასწავლო წელში 28.395 მოსწავლე, 1948-1949 სასწავლო წელში 26.958 მოსწავლე, ხოლო 1952-1953 სასწავლო წელს 8.032 მოსწავლე — და ეს თითქმის ოც მილიონიან ერზე.

ამ მონაცემების მიხედვით გამოდის, რომ ჭოროხის, რიზეს და სხვა მათ მეზობელ თვითეულ ვილაიეთში 1952-1953 სასწავლო წელს დაწყებით სკოლებში მიღებული იქნა 100-150 ბავშვი... ეს კი ნიშნავს იმას, რომ ამ ვილაიეთებში პრაქტიკულად სკოლა არ არსებობს. თურქეთის მესვეურებს რომ დავუჯეროთ, მათი ქვეყანა სკოლებით არის სავსე. თუ როგორი სკოლებია ეს, ამაზე მეტყველებს ტრაპიზონში გამომავალი „ჰალქ გაზეთესი“. 1952 წლის ნოემბრის ერთ-ერთ ნომერში იგი სწერდა, რომ ტრაპიზონს ამას წინათ ეწვია თურქეთის განათლების მინისტრი თევფიკ ილერი, რომელმაც იქ საქვეყნოდ განაცხადა, თურქეთის მთავრობა ტრაპიზონის ვილაიეთში გაალებს რამდენიმე საშუალო სკოლასო. მართლაც თევფიკ ილერმა ანკარაში დაბრუნებისთანავე დასწერა ბრძანება ტრაპიზონის სამ რაიონში — ბეშიქდიუზეში, ჩაიკარაში და მაჩხაში საშუალო სკოლების გახსნის შესახებ. ბრძანებას ხელი მოაწერა, ჩააკერა საქმეში, ტრაპიზონს შეატყობინა სკოლები გახსნილიაო და სკოლების გახსნის საქმე ჩასთვალა დასრულებულად... ეს ამბავი გაზეთმა „ულუსმაც“ კი აღწერა სათაურით „ქაღალდზე გაღებული სკოლები“. ცხადია ასეთი მეთოდით თურქეთის მთავრობას შეუძლია თვითეულ სოფელში ორ-ორი უნივერსიტეტი და თითო მეცნიერებათა აკადემიაც გახსნას!..

ამ რამდენიმე ხნის წინათ გაზეთმა „ულუსმა“ მოათავსა მეტყველი ფოტოსურათი: ტალახში ფართხალობს რამდენიმე კაცი, ფოტოსურათის ქვევით წარწერა კი გვამცნობს, რომ ეს არის გზატკეცილი ტრაპიზონის მახლობლად. ამ ვილაიეთებს ჰყავთ ასეთი გზების შესაფერი ტრანსპორტიც. ასე მაგალითად ჭოროხის ვილაიეთში, რომელსაც უკავია 7.955 კვ. კილომეტრი ფართობი, ხოლო მოსახლეობა უდრის 160.202 კაცს არის მხოლოდ 9 მსუბუქი და 62 საბარგო ავტომანქანა; რიზეს ვილაიეთში რომლის ფართობი უდრის 3.515 კვ. კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 172.104 კაცს, არის 22 მსუბუქი და 68 საბარგო ავტომანქანა; გიმიუშანეს ვილაიეთში რომლის ფართობი უდრის 10.100 კვადრატულ კილომეტრს ხოლო მოსახლეობა 190.073 კაცს არის 3 მსუბუქი და 63 საბარგო ავტომანქანა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს არის ის მანქანები, რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებიან, ხოლო ფაქტიურად კი მათგან ნახევარზე მეტი დამტვრეულია და ექსპლოატაციაში არ იმყოფება, ცხადი გახდება, რომ ტრანსპორტის ძირითადი სახე თურქეთის შავიზღვისპირა და აღმოსავლეთ ვილაიეთებში ისევ მამა-პაპური ორთვალა ურემია.

იმ მდგომარეობით, რომელიც შეიქმნა თურქეთში და კერძოდ შავიზღვისპირა და აღმოსავლეთ ვილაიეთებში უპირველეს ყოვლისა სარგებლობენ თურქეთის ნამდვილი პატრონები ამერიკელი იმპერიალისტები. მონოპოლიებისა და ე. წ. კოოპერატივების საშუალებით ისინი აწესებენ მონოპოლიურ ფასებს სასოფლო-სამეურნეო საქონელზე—თამბაქოზე, თხილზე, სიმინდზე, და ლაზისტანისა და აღმოსავლეთის ვილაიეთების სხვა ძირითად კულტურებზე, თითქმის მუქთად იგდებენ მათ ხელში და შემდეგ დასავლეთ ევროპაში ჰყიდიან სპეკულიანტურ ფასებში. იმ დროს როდესაც სოფელი სოფელს ვერ დაკავშირებია უგზოობის გამო, ამერიკელები გლეხობას საგზაო ბეგარის ანგარიშში ამუშავებენ სტრატეგიული მნიშვნელობის გზებისა და აეროდრომების მშენებლობებზე. თურქეთის მთავრობა გაზრდილი სამხედრო ხარჯებისა და ამერიკისათვის „დახმარების“ სახით მიღებულ მილიონობით ვალის გადასახდელად ყოველწლიურად უზომოდ ზრდის გადასახადებს, ატყავებს ისედაც დამშეულ გლეხობას. თურქეთის მმართველი წრეების პოლიტიკა და ამერიკელთა ბატონობა აჩანაგებს თურქეთს. ამის მეტყველი მაგალითია თურქეთის შავიზღვისპირა და აღმოსავლეთის ვილაიეთების — ჭოროხის, ყარსის, რიზეს, ტრაპიზონის, არზრუმისა და სხვათა დღევანდელი მდგომარეობა.

## საზღვარგარეთ



5391

ობა — 8 ათასი კაცი. 5 მაისს ლამაზი და სიცოცხლით სავსე ქალაქიდან მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩა.

მაისის ბოლო რიცხვებისათვის თურქებმა ყველგან ჩააქრეს აჯანყება. მთელი ქალაქები და სოფლები მათი მოსახლეობით დედამიწის პირიდან იქნა აღგვილი. ათასობით ბულგარელმა დაამთავრა თავისი გმირული სიცოცხლე სახრჩობელაზე და თურქ ჯალათთა ნაჯახის ქვეშ.

ბულგარელი ხალხი დამარცხდა ამ უთანასწორო ბრძოლაში.

იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები თვალს ხუჭავდნენ ბულგარეთში მომხდარ საშინელებებზე, ვიქტორიანული ინგლისის მთავრობის კაბინეტი კი დიზრაილ-ბიკონსფილდის მეთაურობით კალთას აფარებდა პირსისხლიან „ბრწყინვალე პორტას", რუსეთის პროგრესული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებმა ხმა აღიმაღლეს ბულგარელი ხალხის დასაცავად.

საზოგადოების ფართო წრეების აღშფოთებამ გამოხმაურება ჰპოვა მრავალრიცხოვან საგაზეთო სტატიებსა და ლექსებში, რომელთა ავტორები იყვნენ რუსეთის გამოჩენილი მწერლები და პოეტები: ტურგენევი, დოსტოევსკი, გარშინი, პოლონსკი და სხვ. პოლონსკიმ თავის პოემაში „აჰასფერი" ნიღაბი ახადა ინგლისის ვერაგულ პოლიტიკას, რომელიც „იუდასავით ცრუობდა და მზად იყო გაეყიდა ოქროზე თავისი ძმა და ქრისტიანი". თურქთა ბარბაროსობა ასახულ იქნა ხელოვნებაშიც. რუსმა მხატვარმა კ. მაკოვსკიმ ბულგარეთში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის შთაბეჭდილებების ქვეშ დახატა სურათი „წამებული ბულგარელი ქალები", რომელმაც სამართლიანად მოიხვეჭა ერთ-ერთი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოების სახელი. ამ სურათში მთელი რეალისტური სიძლიერითაა ასახული ბარბაროსობის ის შემზარავი მომენტი, როდესაც ბაშიბუზუკი ავაზაკები სარკასტულად დასცინიან და ფეხქვეშ სთელავენ შებილწულ ბულგარელ დედებს.

ბულგარეთის საშინელებებმა ევროპის პროგრესული საზოგადოებრივი აზრის ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა. დიდი ფრანგი მწერლისა და ჰუმანისტის ვიქტორ ჰიუგოს კალამს ეკუთვნის რისხვით აღსავსე პამფლეტი, რომელშიც იგი სასტიკად ამათრახებს ბულგარეთში მომხდარ თვითნებობის გულდამშვიდებით შემცქერალ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობების კაბინეტებს: „დადგა დრო, — წერდა ვიქტორ ჰიუგო, — როდესაც აუცილებელია ხმის ამოღება. მთელი მსოფლიო აღშფოთებას მოუცავს; არსებობს ისეთი წუთები, როდესაც ადამიანის სინდისი მოითხოვს სიტყვის თავისუფლებას და აიძულებს მთავრობებს დამორჩილდნენ".

ამ საერთო პროტესტის ხმას შეუერთდა ახალგაზრდა ბულგარელი მწერალი ი. ვაზოვი. 1876 წლის 5 აგვისტოს დაწერილ ლექსში „დიზრაელი" მან გამოააშკარავა მატყუარისა და მკვლელის ბიკონსფილდის პირსისხლიანი სახე, რომელიც ფარისევლურად ინიღბებოდა „ოტომანთა იმპერიის მთლიანობის შენარჩუნების" პოლიტიკით და უკრძალებდა სიცოცხლის დღეებს „ავადმყოფ ადამიანს".

თურქთა მხეცობით აღშფოთებული რუსეთის მოწინავე საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები არ დაკმაყოფილებულან მხოლოდ პროტესტის გამოთქმით. ისინი დაბეჯითებით მოითხოვდნენ, რომ ბულგარელი ხალხის გასათავისუფლებლად მიღებული ყოფილიყო გადამჭრელი ზომები. 1876 წ. ოქტომბერში ი. ტურგენევი წერდა: „ბულგარეთში მომხდარმა უმსგავსოებამ ჩემში ჰუმანური გრძნობები შეურაცხყო. მხოლოდ ეს სურათები მიდგია თვალწინ; და თუ ამას ომის მეტი ვერაფერი უშველის, დაე იყოს ომი! ყელგამოღადრული ბულგარელი ქალები და ბავშვები ქრისტიანული სარწმუნოებისა და ჩვენი სისხლი და ხორციც რომ არ ყოფილიყვნენ, ჩემი აღშფოთება თურქების მიმართ ერთი იოტითაც არ შემცირდებოდა".

1877 წ. აპრილში დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. რუსი ჯარების გამოჩენამ ბულგარეთში გამოიწვია ბულგარელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა. რუსეთის ჯარების დასახმარებლად ყალიბდებოდა ბულგარელ მოლაშქრეთა რაზმები, რომლებიც მათ მხარდამხარ იბრძოდნენ თავიანთი სამშობლოს გასათავისუფლებლად.

რუსეთის ჯარების გმირული ბრძოლა თურქთა სრული განადგურებით დამთავრდა. ბულგარეთი თურქთა მრავალსაუკუნოვანი მონობის უღლისაგან იქნა გათავისუფლებული. ეს იყო 75 წლის წინათ.

ბულგარელი ხალხის დამოუკიდებელი არსებობა განუყრელადაა დაკავშირებული დიდ რუს ხალხთან, რომელმაც ბულგარეთი მეორედ 1944 წელს იხსნა უცხოელთა ტირანიისგან. გმირულმა საბჭოთა არმიამ, გენიალური მთავარსარდლის გენერალისიმუს სტალინის ხელმძღვანელობით სასტიკად დაამარცხა ჰიტლერელთა ურდოები და თავისუფლება მოუტანა ბულგარელ ხალხსაც.

საბჭოთა კავშირის მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შედეგად ბულგარელმა ხალხმა დაამხო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა, ხელში აიღო ძალაუფლება და დაადგა სოციალიზმის მშენებლობის დიად გზას.

პ. ბახტურიძე

# „კიკვიძე"

## გრიბოედოვის სახელობის თეატრში

„კიკვიძე" გრიბოედოვის სახელობის თეატრში პოლიტიკურად მახვილი სპექტაკლია. პიესის დამდგმელს, რეჟისორ მ. გ. ოლშანიცკაიას უყურადღებოდ არ დაუტოვებია პიესის ძირითადი მომენტები, ავტორის შემოქმედებითი ჩანაფიქრი. რეჟისორმა შესძლო შეექმნა მაღალი გემოვნებით შესრულებული, ამაღელვებელი სპექტაკლი. სპექტაკლის ყველა მთავარი სცენა უკიდურეს დეტალებამდეა მხატვრულად დამუშავებული. ეს დადგმა აღბეჭდილია რომანტიკული ელფერით და ლირიული სითბოთი, რაც უფრო აძლიერებს ნაწარმოების იდეურ-შემეცნებით მხარეს, კიდევ უფრო მკაფიოდ უსვამს ხაზს მის პუბლიცისტურ ხასიათს.

კიკვიძის როლს ასრულებს მსახიობი ი. რუსინოვი. მან გამოამჟღავნა მდიდარი შესაძლებლობა გმირის სულიერი სამყაროს გადმოცემისა. მტერთან დაუნდობლად შემმართებელი, გულფიცხი მებრძოლი, მართალი საქმის ბოლომდე ერთგული და თავდადებული მამაცი ჯარისკაცი — ასეთია კიკვიძე ი. რუსინოვის შესრულებით.

მსახიობმა ღრმად განაცდევინა მაყურებელს კიკვიძის ბუნების, მისი სულისკვეთების ყოველი ნიუანსი. გჯერათ, რომ ასეთი ადამიანი ნამდვილად იქნებოდა ღირსი ხალხის სიყვარულისა, ეჭვი არ გეპარებათ, რომ იგი ნამდვილად შესძლებდა თავისი მგზნებარებით, ჭეშმარიტი მეომრის თვისებებით ყოფილიყო სახალხო, ლაშქრის ღირსეული მეთაური.

კიკვიძის მოადგილე მიხეილ მედვედოვსკი პარტიის ნებას ახორციელებს ცარიცინის რაიონში მოქმედი წითელი არმიის მე-16 დივიზიის მებრძოლთა შორის. იგი თავისი სიდინჯით, აუღელვებლობით, ცივი გონების ლოგიკით ავსებს კიკვიძის ხასიათს. უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა დ. სლავინმა მედვედოვსკის როლის განხორციელებით შექმნა მიმზიდველი სცენური სახე.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. ზაგორსკიმ მკაფიოდ დაგვიხატა ძველი კაზაკის, მეფის ტახტის ერთგული მინაი კორშუნოვის არსებაში მომხდარი გარდატეხა. გზა, რომლითაც განხორციელდა ადამიანის ბუნების ეს გარდაქმნა, ნაჩვენებია რეალისტური დამაჯერებლობით, ნათელი სცენური საღებავებით.

დასამახსოვრებელი სახე გამოჰკვეთა მსახიობმა გ. ჩიტაიშვილმა. ქართველი წითელარმიელის ტიტიკოს სახით მან წარმოგვიდგინა რევოლუციური იდეებით გატაცებული, უბრალო, ახალგაზრდა ჯარისკაცი. კიკვიძის რაინდული სიმტკიცით მოხიბლული და მისთვის თავდადებული მეგობრის შესანიშნავ პორტრეტს ხატავს მსახიობი თავისი სადა, დაკვირვებული თამაშით.

ასევე უნდა ითქვას კიკვიძის ადიუტანტ ხომენკოს როლის შემსრულებლის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ს. სმოროდინცევის შესახებ. ჯანსაღი იუმორი, უკრაინული ხალხური გონებამახვილობა უხვად აქვს გამოყენებული დრამატურგს ამ ტიპის ბუნების ნათელსაყოფად. მსახიობი არ ჰკარგავს არც ერთ ხელსაყრელ მომენტს, რომ მთელი შესაძლებლობით გამოიყენოს როლის ტექსტუალური მასალა გმირის ხასიათის ნამდვილად გახსნისათვის.

პიესაში მეტად კოლორიტული ფიგურაა პატარა გრიშუტკა. მას მთელი თავისი ბავშვური გულწრფელობით სურს რითიმე გამოადგეს რევოლუციას, სარგებლობა მოუტანოს საერთო საქმეს. მსახიობი ა. გუბარდინა კარგად ასრულებს მასზე მინდობილ როლს.

დრამატიზმით არის აღსავსე ექიმ ელიზავეტა დანილოვნას სცენური სახე. უკრაინის სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. მაქსიმოვა უტყუარი ალღოთი და ჭეშმარიტი განცდით გვიხატავს ცხოვრების რთულ ხლართში მოქცეული კეთილშობილი ქალის პორტრეტს.

ნაწილობრივ პიესის ავტორს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ასე მკრთალად გამოიყურება სპექტაკლში არმიის შტაბის წარმომადგენელი შილინი. არც ტექსტი იძლევა საკმაო მასალას მსახიობის შესაძლებლობათა სრული გამოვლინებისათვის და ვერც ამ როლის შემსრულებელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ა. ნირვანოვმა შესძლო დაეძლია ის სქემატიზმი, რაც შილინის როლს ახასიათებს პიესაში.

სამაგიეროდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგ სტალინის რწმუნებულის ეპიზოდურ როლში მსახიობმა ა. შმელიოვმა. მან მშვენივრად ჩაატარა მე-16 დივიზიისათვის დროშის საზეიმო გადაცემისა და კიკვიძის პირადი საჩუქრით — ხმლით დაჯილდოების სცენა..

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. დობუინსკი მეფის არმიის ძველი გენერლის დამაჯერებელ სახეს ქმნის სიტნიკოვის როლში.

მსახიობი ნ. ტროიანოვი ამომწურავად ვერ იყენებს ნიკოლაი კორშუნოვის როლის მასალას. მას დასჭირდება მუშაობის განგრძობა, რათა მიაღწიოს ტიპის სრულყოფილ წარმოსახვას. ასეთივე შენიშვნა შეიძლება გავაკეთოთ მსახიობ ა. მარკოვას მიმართაც, რომელიც პრასკოვია კორშუნოვას როლს ასრულებს.

ხალისით მიჰყავს მარფუშას პატარა როლი რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ნ. სპერანსკაიას. იგი გვიხატავს ღარიბი კაზაკობის იმ ფენას, რომელიც რევოლუციის დასახმარებლად მამაკაცებთან ერთად გზავნიდა ქალებსაც.

კომპოზიტორ ოლღა ბარამიშვილის მუსიკა ოსტატურად არის შეწნული პიესის ტექსტთან და ხელს უწყობს სპექტაკლის შემოქმედებითი ძალის გაღრმავებას.

კარგია მხატვარ ე. დონცოვას დეკორატიული ნამუშევარი. იგი სპექტაკლის ერთ-ერთ სერიოზულ კომპონენტს წარმოადგენს.

მოწონებას იმსახურებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ვ. ივაშკინის მიერ დადგმული ცეკვები.

ვანო დარასელის პიესა „კიკვიძე" გრიბოედოვის სახელობის თეატრში მებრძოლური ტემპერამენტის სპექტაკლია. მასში არ არის არც ერთი მომენტი, რომელიც შეიცავდეს ნაძალადევ „კოპწიაობას". სპექტაკლი მკაფიოდ მოგვითხრობს სამოქალაქო ომის პერიოდის უაღრესად რთულ ვითარებაზე, ბრძოლის საშინელ სიძნელეებზე, მშრომელი მასების წიაღიდან გამოსულ მეომართა გაუტეხელ ნებაზე. სპექტაკლში ნათლად არის ნაჩვენები წითელი არმიის ინტერნაციონალური ხასიათი, სხვადასხვა ერთა შვილების შეკავშირება საერთო მიზნისათვის საბრძოლველად. ნათელი ოპტიმიზმი წითელ ხაზად გასდევს მთელ სპექტაკლს. მაყურებელი გრძნობს, რომ რევოლუციური ბანაკის ბრძოლა თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ მიზნად ისახავს მშვიდობისა და დემოკრატიის დამკვიდრებას ქვეყნად. ეს ბრძოლა წარმართულია ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის უმაღლესი პრინციპით. ამით ეხმაურება სპექტაკლი დღევანდელ დღეს. ამაშია მისი იდეურ-მხატვრული ღირებულება და შემეცნებითი ძალა.



ფოტოზე: კიკვიძე (ი. რუსინოვი) და მარფუშა (ნ. სპერანსკაია).

ფოტო ვ. ტარხოვისა



ნინო ნაკაშიძე და ირადიონ ევდოშვილი „ნაკადულის“ რედაქციაში (1914 წ.).

(რ. აკოფოვის არქივიდან).

# ირ. ევდოშვილის ლექსები გაზეთ „ბრძოლაში“

## დაბადებიდან 80 წლისთავის გამო

პირველმა ქართულმა არალეგალურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ბრძოლამ“, რომელიც დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამოდიოდა, თეორიულ და პარტიულ-პოლიტიკურ სახელმძღვანელო წერილებთან ერთად დაბეჭდა რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული ექვსი ლექსი: ოთხი ორიგინალური და ორი თარგმნილი. ამათგან ორი ორიგინალური ლექსის: „ბრძოლას“ (1901 წ. № 2-3) X — (იქსი)-ს ხელმოწერითა და „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“ (1902 წ. № 4) — „ბუკის“ ფსევდონიმით, ავტორი დღემდე არ არის ცნობილი. საინტერესოა გაირკვეს, თუ ვინ არის ამ ლექსების ავტორი, რომელი ქართველი პოეტის ხმა გაისმის ამ ლექსებში ასე ძლიერად?

გაზეთ „ბრძოლაში“ ხელმოუწერლად დაიბეჭდა აგრეთვე რუსულიდან თარგმნილი ცნობილი რევოლუციური სიმღერა „ვარშაული“ (1901 წ. № 1) და „მარსელიოზა“ (1902 წ. № 4). ქართულ ლიტერატურაში დღემდე გამოურკვეველია ამ სიმღერათა მთარგმნელის ვინაობაც.

ლიტერატურულმა ანალიზმა და კვლევამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ, როგორც ორიგინალური ლექსების — „ბრძოლას“ და „ძმებო გავიდეთ ბრძოლისა ველზე“-ს ავტორი, ისევე თარგმნილი სიმღერების: „ვარშაულის“ და „მარსელიოზას“ მთარგმნელი ერთი და იგივე პირია — იროდიონ ევდოშვილი.

ამ დასკვნის საფუძველი მოგვცა ირ. ევდოშვილის ახლო მეგობრის ივანე მალხაზის-ძე ნადირაშვილის მოგონება-ჩანაწერის გაცნობამ.

რევოლუციური მოძრაობის პირველ პერიოდში აღნიშნული ლექსები ივ. ნადირაშვილს ხალხში ფარულად უვრცელებია. მაშინ ი. ევდოშვილის ავტოგრაფები ივ. ნადირაშვილს დაკარგვია და შერჩენია მხოლოდ თავისი ხელით გადაწერილი პირები. მისი მოგონება-ჩანაწერი და ლექსების პირები ადასტურებენ, რომ გაზ. „ბრძოლაში“ დაბეჭდილი აღნიშნული ლექსების ავტორი და მთარგმნელი ირ. ევდოშვილია. ეს მტკიცდება აგრეთვე სათანადო ლიტერატურული მონაცემებითაც.

ირ. ევდოშვილმა ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირა პრაქტიკულ-რევოლუციურ მოღვაწეობას. როდესაც 1901 წლის სექტემბერს ბაქოში გამოვიდა გაზ. „ბრძოლის“ პირველი ნომერი, ირ. ევდოშვილი უკვე ცნობილი პოეტი იყო. იგი ამავე დროს აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა.

ირ. ევდოშვილი იმ პერიოდში ცნობილი იყო უკვე არა მარტო ორიგინალური თხზულებებით, არამედ თარგმნილი ლექსებითაც. იგი ლექსის თარგმნას ყოველთვის უფარდებდა დროისა და მომენტის მნიშვნელობას.

გაზ. „ბრძოლაში“ დაბეჭდილი აღნიშნული ლექსებიდან თანამიმდევრობით პირველად დაიბეჭდა რუსულიდან თარგმნილი სასიმღერო ლექსი „ვარშაული“.

„მარსელიოზას“ პირველი ქართული თარგმანი ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზ. „ბრძოლაში“ (1902, № 4). ლიტერატურული მონაცემებით ეს თარგმანი არის პირველი ვარიანტი, რომელიც, როგორც დასტურდება, ირ. ევდოშვილის კალამს ეკუთვნის. მანვე შემდეგში 1907 წელს ხელახლა თარგმნა ეს ლექსი სრულიად განსხვავებული რედაქციით.

„მარსელიოზას“ პირველი თარგმანი შედგება ათი სტროფისაგან. მის ყოველ ორ სტროფს მოსდევს ოთხსტრიქონიანი მისამღერი ანუ რეფრენი. მთარგმნელს დაცული აქვს ორიგინალის მეტრული წყობა და სტროფიკა.

პირველისაგან სრულიად განსხვავებული, „მარსელიოზას“ მეორე თარგმანი, შედგება რვასტრიქონიანი სტროფისაგან, რომელსაც ყოველი რვა სტრიქონის შემდეგ მოსდევს ოთხსტრიქონიანი მისამღერი. აქაც ლექსი ათმარცვლიანი მეტრით არის გადმოღებული და პირველ ვარიანტს 16 სტრიქონით აღემატება.

პოეტის მთარგმნელობითი მუშაობის პრაქტიკაში არ არის შემთხვევითი, რომ მას ხშირად ერთი და იგივე ლექსი უთარგმნია რამდენიმე ვარიანტით. აღნიშნული მაგალითების გარდა, ირ. ევდოშვილმა განსხვავებული ვარიანტით სხვადასხვა დროს რუსულიდან ქართულად თარგმნა ერთი და იგივე ტექსტი — „ინტერნაციონალისა“. სამივე განსხვავებული თარგმანი ირ. ევდოშვილის ხელმოწერით სხვადასხვა დროს დაიბეჭდა.

ირ. ევდოშვილის მიერ „ბრძოლაში“ ხელმოუწერლად დაბეჭდილი ქართული „ვარშაული“ და „მარსელიოზა“ იმდენად სწრაფად გავრცელდა ხალხში, რომ შემდეგში, მის მიერ ხელახლა, უფრო გულდასმით შესრულებულმა იმავე ლექსების თარგმანებმა პოპულარობა ვეღარ ჰპოვეს.

ამრიგად, ლიტერატურული მონაცემებითაც გაზ. „ბრძოლაში“ დაბეჭდილ ლექსებიდან ირ. ევდოშვილის კალამს ეკუთვნის: „ბრძოლას“ — „X“-ის ხელმოწერით და „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!“ — „ბუკის“ ფსევდონიმით.

ლექსი „ბრძოლას“ მიძღვნილია დიდი პოლიტიკური მოვლენის — პირველი არალეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ბრძოლის“ დაარსებისადმი. ამ ლექსით პოეტმა გამოხატა საქართველოს მუშათა კლასის დიდი სიყვარული და იმედი ქართული ბოლშევიკური პრესის პირმშოსადმი. პოეტი გულის სიღრმეში ჩამწვდომი სიტყვებით მიმართავს „ბრძოლას“, რომ მან მედგრად შეუტიოს მშრომელი ხალხის მტრებს.

ლიტერატურული მონაცემების გარდა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეს ლექსები ევდოშვილს ეკუთვნიან აღსანიშნავია აგრეთვე ხელმოწერა — „X“ (იქსი). შემდეგში 1909 წელს ასეთივე ხელმოწერით გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა წერილების სერია ქიზიყის ცხოვრებიდან, რომელიც უდაოდ ირ. ევდოშვილის კალამს ეკუთვნის.

მეორე ორიგინალური ლექსის ავტორიც — „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!“ ირ. ევდოშვილია. ლექსის ცეცხლოვანი პათოსი, მუშათა კლასის ბრძოლისაკენ მომწოდებელი პოეტური ძახილი, მგზნებარე ხმა, მეტად დამახასიათებელია ირ. ევდოშვილის შემოქმედებისათვის.

პოეტი უდიდესი სიამაყის გრძნობითა და ვაჟკაცური ხმით მიმართავს ბრძოლის ველზე გამოსულ მუშათა მასებს.

ლექსი სამაისო სიმღერაა, რომელიც წარმოადგენს შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოწოდებას ცარიზმის დასამხობად.

საკმარისია გავიხსენოთ ირ. ევდოშვილის ზოგიერთი ორიგინალური და თარგმნილი ლექსები: „ძმებო, შავბედი თავს დაგვტრიალებს“, „ძმებო, დროშა გაიშალა“, „წითელი დროშა“, „ძმებო, გმირულად, მკერდით მივაწვეთ“, „წითელი დროშა გავშალოთ“ და სხვა, რომ ლექსი — „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“ ამავე ციკლს მივაკუთვნოთ, ხოლო მის უდაო ავტორად ირ. ევდოშვილი მივიჩნიოთ.

ამრიგად, გაზეთ „ბრძოლაში“ დაბეჭდილი თარგმნილი სიმღერები — „ვარშაული“ და „მარსელიოზა“, და ორიგინალური ლექსები — „ბრძოლას“ და „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“ — ირ. ევდოშვილის კალამს ეკუთვნის.

ამ ფაქტს ირ. ევდოშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი შეაქვს და თავისუფლებისათვის ბრძოლაში პოეტის კეთილშობილურ სახეს უფრო მეტ ნათელსა ფენს.

**შალვა გოზალიშვილი**

# გრიგოლ ორბელიანის უცნობი ავტოგრაფები

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის იონა მეუნარგიასეულ ფონდში დაცულია გრ. ორბელიანის ავტოგრაფთა მთელი კოლექცია, რომლის გამოუქვეყნებელ ნაწილში, სხვათა შორის მოიპოვება პოეტის მნიშვნელოვანი ავტოგრაფები. მათ შორის აღსანიშნავია: 1. „მუშა ბოქულაძე“ (№ 130), 2. დღიური (132), 3. „პლანი ახალწესისათვის ბატონყმობისა“ (№ 134) და 4. „პასუხი ერთი კრიტიკული სტატიისა“ (№ 143). მათი გაცნობა ასეთ სურათს იძლევა:

„მუშა ბოქულაძე“ წარმოადგენს ლექსის იმ რედაქციას, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1877 წლის ჟურნ. „ივერიის“ № 7-ში. ამას ადასტურებს ძნელად ამოსაკითხი სტრიქონების კიდერებზე გამოტანა ჟურნალის რედაქტორ ილია ჭავჭავაძის ხელით, და თვით ავტოგრაფული ტექსტის შედარება ივერიასეულ ტექსტთან. არც ერთ უკანასკნელ გამოცემაში არ არის შეტანილი სტრიქონები: „მაგრამ ჩემთვის დღე სიმწარით ღამდება, რათა? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარე?“ — ეს უკანასკნელი ტაეპი მეორდება აგრეთვე აქედან 32-ე სტრიქონად როგორც რეფრენი. „ივერიის“ ეს ტექსტი „მუშა ბოქულაძისა“ განმეორებული აქვს აგრეთვე გრ. ყიფშიძეს თავის „სიტყვიერების თეორიაში“ (1898 წ. გვ. 592).

ავტოგრაფი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის უნიკალურია, სხვა ავტოგრაფი ამ ლექსისა ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. არც ამის არსებობაზე იპოვებოდა რაიმე ცნობა. პირიქით, გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებულის უკანასკნელი გამომცემელი (1951) სავსებით უარყოფს ამ ლექსის ყოველგვარი ავტოგრაფის არსებობას. საგულისხმოა, რომ ეს ავტოგრაფი პირველი ვარიანტია და ისიც ილია ჭავჭავაძის მიერ შალაშინგაკრული. ტექსტს მოეპოვება ზოგიერთი გასწორებაც. მაგალითად, პირველად ყოფილა: „სიღარიბით დაჩაგრული სიყრმითვე, სულით ბნელი, გულით გაქვავებული“, — ავტორს ასე გადაუსწორებია: „კაცი გულით დაჩაგრული ბედითა, სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი“.. ან კიდევ: „დავივიწყე რაც ვიყავი ოდესმე“, — პირველი სიტყვა შესწორებულია „დამავიწყდა“. პირველად ყოფილა: „სიჭაბუკე შრომაში გავატარე“, — გადასწორებულია: „სიჭაბუკე ტანჯვით შრომამ წაიღო“ და სხვ., რომელთა შესწავლა ერთგვარ სხვაობასაც ავლენს უკანასკნელ გამოცემებთან შედარებით.

მეორე ავტოგრაფი წარმოადგენს 1839 წლის დღიურის ფრაგმენტს, სადაც მოთხრობილია პოეტის თავგადასავალი დაღისტნის ფრონტზე.

ავტოგრაფი, რომელიც ეხება საქართველოში ბატონყმობის გაუქმებას, დაყოფილია თერთმეტ საკითხად.

ეს საკითხები წარმოგვიდგენს გრიგოლ ორბელიანის შეხედულებებს ბატონყმობის გაუქმების შესახებ. როგორც ცნობილია, 1862 წ. მეფისნაცვლის საბჭოს წევრმა დიმიტრი ყიფიანმა კითხვარებით მიმართა თავად-აზნაურობას, რათა თავიანთი აზრი გამოეთქვათ ამ საკითხზე. პოეტს ამ საკითხზე თავისი შეხედულებების გამოსახატავად თვითონვე შეუდგენია 11-მუხლიანი კითხვარი, რომლის პასუხიც მოცემული ჰქონია ვრცელ მოხსენებაში.

მეოთხე ხელნაწერი პოეტისა პასუხია მ. პეტრიძის (მ. უმიკაშვილის) იმ კრიტიკული სტატიისა, რომელიც 1872 წ. „კრებულის“ № 10-11-12-შია დაბეჭდილი სათაურით „მცირე ტომთა ენებზე“ და რომელიც ეხება გ. ბაგრატიონის რუსულ ენაზე დაბეჭდილ ცნობილ ბროშურას „ნაციონალური ინდივიდუალობის“ შესახებ.

ამ წერილში გრ. ორბელიანი სულ სხვაგვარ გაშუქებას აძლევს გ. ბაგრატიონის წიგნში გამოქვეყნებულ აზრებს. პოეტის აზრით ძლიერი ხალხის მიერ დაპყრობილ მცირე ტომს საფრთხე მოელის თუ მან შეუპოვარი ბრძოლა არ აწარმოვა ეროვნულობისა და კერძოდ მისი ბურჯის — ენის სიწმინდის დასაცავად.

ამგვარად, დასახელებული ხელნაწერები პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი მომენტების შემცველი მასალაა, რომელთა სრული ტექსტები გამოქვეყნებულ იქნება ზუგდიდის მუზეუმის შრომებში.

**ს. ცაიშვილი**

# ჭადრაკი

## ეტიუდები

### გ. ნადარეიშვილი



თეთრები იწყებენ და იგებენ

1. კe3—g1 მფg4—g3
2· მb8—c6! . . . .

ამ სვლის შემდეგ შავები იძულებული არიან თავიანთი მეფე გადაიყვანონ g-2 უჯრაზე. 2. კb6? f5 და შავები იგებენ.

2 . . . . მფg3—g2

ამრიგად თეთრებმა მიზანს მიაღწიეს. თუ 2. ... f5 მაშინ 3. მd4 მფg2 4. მe2 (4. მ:f5? მფ:g1 5. მh4 მფf2 და შავები იგებენ) მფf3 5. მd4+მფg2 ყაიმით. თუ 4. ... მფf1 5.მf4 მფ:g1 6. მ:h3+ ყაიმით.

3. კg1—d4! h3—h2

მხოლოდ ასე. 3. ... f5 4. კe5 მფf3 5. კh2 ყაიმით·

4. კd4:f6 h2—h1ლ
5. კf6—b2! ლh1—h5
6. მc6—d4 . . . .

თეთრებმა შექმნეს ისეთი „სიმაგრე", რომლის დანგრევა შავებს არ შეუძლია, მაგრამ მათ ჯერ კიდევ მართებთ წინდახედული თამაში.

6. . . . ლh5—a5+
7· მფa2—b1 . . . .

7. მფb3? მფ~ თუ 8. მფc2 ლa2 და შავები იგებენ.

7. . . . . ლa5—a4
8. კb2—a1 და პოზიციური ყაიმია.

* * *



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.

1. მe6—f4 . . .

ცუდია 1. მg7+მფf7 (და არა 1. . . . მფe7 2. მf5+გამო).

1. . . . h5—h4
2. c2—c3! . . .

ერთადერთი სვლაა, რომელიც იძლევა ყაიმს. თუ თეთრები ითამაშებენ 2. მფb4? მაშინ ავტორის მიერ ჩანაფიქრი იდეა მიზანს ვერ მიაღწევდა. თამაში გაგრძელდებოდა ასე: 2. . . . c3 3. მფb4 h3 4. ეd5 f1ლ და თეთრები მუდმივ ქიშს ვერ აცხადებენ შავი ლაზიერის მიერ h5-უჯრაზე მუქარის გამო, რის შემდეგ შავების მოგება ნათელია.

2. ეf1? h2 3. მe2 g2 4. ე:f2 h2 5. ეg2 h1ლ და შავები იგებენ.

2. . . . h4—h3
3 მფa3—b4! . . .

მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი აქ სვლის თამაში.

3. . . . g3—g2
4. ეd1—d5 f1ლ ან g1ლ
5. ეd5—e5+და მუდმივი ქიშია მთელ დაფაზე.

# კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:**

1. ქალიშვილი. 3. გამომეტყველება. 5. ქალაქი ნორვეგიაში. 10. სადურგლო სახაზავი. 11. დემოკრატიული გერმანიის პოეტი. 13. მოცეკვავე და მომღერალი ქალი იაპონიის სახაიეებში. 14. რბილი, წმინდა ბუმბული. 15. ბაირაღი. 17. მომწამლავი ნივთიერება. 18. თმის საღებავი. 26. ბუნებრივად დაგუბებული წყალი. 28. მამაკაცის სახელი. 29. დაცინვის გამოხატვა. 30. სტ. ცვაიგის ნაწარმოები. 31. მდინარე ურალში. 37. ვ. ჰიუგოს ნაწარმოების მოქმედი პირი. 38. ცხვრის ავადმყოფობა, რომელიც უჩნდება ფილტვებში. 39. თბილისის კინოთეატრის სახელწოდება. 40. არაბული სიტყვა, გამომხატველი შვილისა (იხმარება როგორც ძე). 41. აღმოსავლური სათამაშო. 42. სამეტყველო ბგერის ნიშანი. 44. მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე. 45. ნაცვალსახელი. 46. წყება. 47. წარწერიანი დაფა მაღაზიებზე. 48. ვეფხვის ჯიშის ნადირი. 52. წონის ძირითადი ერთეული. 53. ჰაერის მოძრაობა. 54. გარეული ფრინველი. 55. გამხმარი ხილი. 57. ცეცხლგამძლე სალარო. 58. ჭრილობა.

**ვერტიკალურად:**

2. საოჯახო ნივთი. 4. გამოძახილი. 6. ქალის სახელი. 7. საზღვარგარეთული მსუბუქი ავტომანქანის მარკა. 8. მრავალწლოვანი მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ჰყვავის და ნაყოფის მომწიფების შემდეგ კვდება. 9. უნგრელი მოქანდაკე. 11. წყლის ჭურჭელი. 12. რაიმე მოძღვრების თავგამოდებული დამცველი, მომხრე. 16. სამკურნალო მცენარე. 19. სულისხუთვა. 20. სამხედრო ნადავლი. 21. მთის მაყვალი. 22. სიმებიანი საკრავი. 23. ოინი, ხრიკი. 24. ტროპიკული ქვეყნის გარეული ცხოველი. 25. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება. 27. წერილობითი თხოვნა, საჩივარი. 31. ლარნაკი. 32. სიგრძის საზომი ერთეული. 33. ანჩხლი, კაპასი. 34. ნერვული დაავადების ერთ-ერთი სახე. 35. უძველესი ქალაქი სომხეთში. 36. დადებითად ან უარყოფითად დამუხტული ატომი. 43. კათოლიკთა მღვდლის სახელწოდება საფრანგეთში. 46. სახელმწიფო აღმოსავლეთში. 48. გაწეული შრომა, მზრუნველობა. 49. სამჭედლო იარაღი. 50. ზმნისართი. 51. დღიური ნახნავი. 55. სუბტროპიკული მცენარე. 56. ქალაქი იაპონიაში.

---

**გარეკანის პირველ გვერდზე:** მოსკოვი. კრემლი
ფერადი ფოტო ნ. გრანოვსკისა

**მეორე გვერდზე:** მოსკოვი. 9 მაისის სალუტი.
ფოტო დ. ბალტერმანცისა

**მესამე გვერდზე:** სათაფლია. დინოზავრის ნაკვალევი.
ფოტო პ. ლუცენკოსი.

**მეოთხე გვერდზე:** ხელოვანი მებაღე მიხეილ მამულაშვილი.
ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა (წერილი იხ. მე-13 გვ.).

---


რედაქტორი — გრ. აბაშიძე

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91. ტელ. 3-95-38 | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას" ოფსეტმანქანაზე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/V-53 წ. გამომც. № 432 ფასი 3 მან. ნაბეჭდი ფურც. $3^1/_2$ ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 286 უე 04410

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а" (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



ეროვნული
ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა